კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინდოლ-3-ბუტირის მჟავას (IBA) გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დაფესვიანების პროცენტულ მაჩვენებელს და ფესვის სიგრძეს; გახარების ყველაზე მაღალი შედეგი აღინიშნა კალმების საშუალო კონცენტრაციის (2000 ppm) ხსნარში დამუშავებისას და პერლიტ-ტორფის სუბსტრატში გამოყვანის დროს. სტატისტიკური ანალიზი (ANOVA) ადასტურებს საკვლევ დამუშავებებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებს, რაც ხაზს უსვამს მინი კივის სარგავი მასალის წარმოებისთვის შერჩეული ოპტიმალური გამრავლების სქემის ეფექტიანობას.

**საკვანძო სიტყვები:** მცენარე, გამრავლება, კულტივაცია,

### 1. შესავალი

მინი კივი (*Actinidia arguta* Planch.) მსოფლიო კომერციული მეხილეობისთვის შედარებით ახალი ხეხილოვანი კულტურაა, რომელსაც მნიშვნელოვანი კომერციული პოტენციალი მიეწიება მისი მიმზიდველი შეუზღუდავი ნაყოფების, გამორჩეული საგემოვნო თვისებების, არომატის და მაღალი კვებითი ღირებულების გამო. სამწუხაროდ, ამ კულტურის გამრავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით არსებული მონაცემები საკმაოდ მწირი და ფრაგმენტულია. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ გამრავლების სხვადასხვა ტექნოლოგიებს შორის, გამერქნებული

კალმებით გამრავლება მაღალი ხარისხის, გენეტიკურად ერთგვაროვანი მცენარეების წარმოებისთვის ერთ-ერთ ეფექტიანი მეთოდია.

ზოგადად, რომელიმე ხეხილოვანი კულტურის წარმოებაში დანერგვა პირდაპირ არის დაკავშირებული სარგავი მასალის მიწოდების ჯაჭვის განვითარებასთან და ნერგების ხარისხის გაუმჯობესებასთან. თანამედროვე მებაღეობა სულ უფრო მეტად ეყრდნობა ინტენსიური წარმოების სისტემებს, სადაც მაღალი ხარისხის ნერგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მცენარის პროდუქტიულობაში, ნაყოფის ხარისხის შენარჩუნებასა და იუვენილური პერიოდის შემცირებაში (Webster, 2004). ასევე, გამრავლების მეთოდის არჩევანი პირდაპირ გავლენას ახდენს დაავადებებისადმი მდგრადობასა და გრძელვადიან ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე (Fischer et al., 2019).

მიუხედავად განვითარების პოტენციალისა, მინი კივის წარმოება ჩვენს ქვეყანაში საწყის ეტაპზეა, როდესაც გამრავლების ტექნოლოგიების ოპტიმიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სხვა მრავალი მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურის მსგავსად, მინი კივის გამრავლება შესაძლებელია მცნობით, ქსოვილის კულტურით ან ვეგეტატიური კალმებით. თუმცა, გამერქნებული კალმებით გამრავლებას გარკვეული უპირატესობები ენიჭება, გამომდინარე შემდეგი ფაქტორებიდან, როგორიცაა ეკონომიურობა, მასშტაბირება და სასურველი კლონური ნიშან-თვისებების შენარჩუნება (Hartmann et al., 2011). ეს მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამეურნეო მახასიათებლების უცვლელად შესანარჩუნებლად, როგორიცაა ნაყოფის ზომა, მოსავლიანობის რეგულარულობა და გარემოსთან ადაპტაცია (Pereira et al., 2017).

საგულისხმოა, რომ ზოგ შემთხვევაში მიმართავენ მინი კივის (*Actinidia arguta*) მცნობას შესაბამის საძირებზე. ამ მიზნით იყენებენ - მინი-კივის ნათესარებს (*Actinidia arguta* seedlings), ჰიბრიდულ საძირეებს (*A. arguta* × *A. kolomikta*) და ასევე კლონურ საძირეებს. საინტერესო ახალი საძირეებია 'US-ARG-1' (აშშ) - საშუალო ზრდის სიძლიერის და მდგრადი ფესვის ფიტოფტორას მიმართ. საძირე "Geneva 3" - ტოლერანტულია ნიადაგში არსებული პათოგენების მიმართ. ეს საძირე გამოყვანილი იქნა აშშ-ში (მერისვილი, კალიფორნია) *Actinidia arguta*-ს ნათესარებიდან გამორჩევის გზით XX საუკუნეში. აღნიშნული საძირე შესანიშნავ აფინიტეტს ავლენს ისეთ სამრეწველო ჯიშებთან, როგორიცაა „Issai“, „Ken's Red“ და „Ananasnaya“, რაც ამცირებს მცენარის ზრდის სიძლიერეს 10-15%-ით ნათესარებთან შედარებით, მინიმუმამდე ამცირებს ამონაყრების განვითარებას და უკანასკნელ პერიოდში ვრცელდება იტალიაში, აშშ-სა და საფრანგეთში.

გამომდინარე იქიდან, რომ მინი კივი ახალი კულტურაა საქართველოსთვის, თავისთავად მისი სარგავი მასალის წარმოება ადგილობრივ სანერგეებში არ ხდება. ამიტომ აღნიშნული მიმართულებებით დადასტურებული პროტოკოლის შემუშავება მეტად მნიშვნელოვანია. კვლევებმა აჩვენა, რომ გამერქნებული კალმებით გამრავლების ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის გარემო პირობებზე, დაფესვიანების საშუალებებზე, ზრდის რეგულატორების დამუშავების კონცენტრაციაზე და დაფესვიანების შემდგომ ეტაპზე - ეს ყველაფერი საჭიროებს შესაბამის კვლევას საქართველოს აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებით (Wani et al., 2021). ცნობილია, რომ აუქსინების, განსაკუთრებით ინდოლ-3-ბუტირის მქაფას (IBA) გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხეხილოვანი კულტურების დაფესვიანებას (Fischer et al., 2019). თუმცა საქართველოში არ ჩატარებულა მინი კივის მიმართულებით შესაბამისი კვლევები ოპტიმალური კონცენტრაციების დასადგენად.

თავისთავად, ეკონომიკური მოსაზრებების გარდა, გამერქნებული კალმებით გამრავლება შეესაბამება მდგრადი სოფლის მეურნეობის მიზნებს, რადგან ამცირებს ძვირადღირებული ქსოვილის კულტურის გამრავლების მეთოდებზე დამოკიდებულებას და მინიმუმამდე ამცირებს თესლის გამრავლებასთან დაკავშირებულ გენეტიკურ ცვალებადობას (Burdett, 1991).

კვლევის მიზანია მინი კივის გამრავლების ოპტიმალური პროტოკოლის დადგენა გამერქნებული კალმების გამოყენებით, რომლის შედეგები უზრუნველყოფს სანერგებისთვის საჭირო მეთოდოლოგიის მიწოდებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სარგავი მასალის წარმოებას ადგილზე და საბოლოო ჯამში, საქართველოში მინი კივის წარმოების სექტორის დაფუძნებას და ჩამოყალიბებას.

## 2. მასალები და მეთოდები

კვლევა ჩატარდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის (SRCA) მცხეთა-მთიანეთის რეგიონის (ცენტრალური ქართლი) სოფელ ჯიდაურას (საგურამო-მცხეთის მუნიციპალიტეტი) ექსპერიმენტულ ბაზაზე 2021-2023 წლებში.

გამერქნებული კალმები აღებული იქნა ვეგეტაციის დაწყებამდე, 10-15 თებერვლის პერიოდში. კალმების აღების ოპტიმალური პერიოდი იწყება 20 დეკემბრიდან და უმჯობესია არ გადასცდეს 25 თებერვალს (აღმოსავლეთ საქართველო, საგურამოს პირობები). კალმები აღებულია მცენარეების კარგად განვითარებული, ერთწლიანი, სათანადოდ მომწიფებული ტოტებიდან. დაფესვიანებისთვის ჯიში „ვეიკის“ კალმები დაიჭრა 18-22 სმ სიგრძეზე, უპირატესობა მიენიჭა 8-12 მმ დიამეტრის კალმებს. მოჭრილი კალმები შეიკრა 20 ცალიან კონებად. აღების შემდეგ კალმების კონები 1 საათის განმავლობაში ქვედა ნაწილებით მოთავსდა პლასტმასის 5 ლიტრიან ვედროში, სადაც ჩასხმული იყო 2 ლიტრი წყალი.

წყლის კონტეინერიდან ამოღების შემდეგ, კალმები მოთავსდა პოლიეთილენის პარკებში და დროებით შენახულ იქნა მაცივარ კამერაში (შენახვის ტემპერატურა: 0–2°C). აღსანიშნავია, რომ კალმების მაცივარში დიდი ხნით შენახვა მნიშვნელოვნად ამცირებს დაფესვიანების კოეფიციენტს. ამიტომ, სასურველია, მაცივარში შენახვის ვადა არ აღემატებოდეს 2-3 კვირას.

დაფესვიანების დაწყებისას. კალმების ქვედა ძირები დამუშავდა ინდოლ-3-ერბო მჟავის (IBA) სხვადასხვა კონცენტრაციით შემდეგნაირად:

1. კონტროლი (დამუშავების გარეშე)
2. 1000 ppm IBA (მოკლე ექსპოზიცია, 5 წმ)
3. 2000 ppm IBA (მოკლე ექსპოზიცია, 5 წმ)
4. 3000 ppm IBA (მოკლე ექსპოზიცია, 5 წმ)
5. 0.5%-იანი IBA ფხვნილი (კორნეინი) (ბაზალური ნაწილის ფხვნილში დამუშავებით, 10 წმ)

დამუშავების შემდეგ, კალმები სუბსტრატით სავსე კონტეინერებში გადაირგო, დარგვამდე 5-10 წუთის განმავლობაში კალმები მსუბუქად უნდა შემრა.

დაფესვიანებისთვის საუკეთესო სუბსტრატის გამოსავლენად კალმები ჩაირგო ოთხ სხვადასხვა სუბსტრატში: პერლიტი + ტორფი (1:1); ქოქოსის ბეწვი + ქვიშა (1:1); ვერმიკულიტი + ტორფი (1:1); კომერციული სუბსტრატი (კონტროლი). კალმები ქოთნებში ჩაირგო 10 სმ სიღრმეზე. ექსპერიმენტი 24 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მონაცემები იწერებოდა ორკვირიანი ინტერვალებით. გაზომილი პარამეტრები მოიცავდა:

- დაფესვიანების პროცენტი (წარმატებით დაფესვიანებული კალმების პროცენტული მაჩვენებელი, % )
- კარგად განვითარებული ფესვების რაოდენობა თითო კალამზე, (ცალი)
- ფესვის სიგრძე (სმ, ყველაზე გრძელი ფესვი თითო კალამზე)
- გახარების მაჩვენებელი (ჯანსაღ მცენარეებად ჩამოყალიბებული კალმების პროცენტული მაჩვენებელი, % )
- ლატერალური ყლორტების განვითარების სიხშირე (ახალი ყლორტების რაოდენობა თითო კალამზე, ცალი)

დამუშავების შორის სტატისტიკური მნიშვნელობის დასადგენად ჩატარდა დისპერსიული ანალიზი (ANOVA) ( $p < 0.05$ ).

ცნობილია, რომ აქტივატორით დამუშავებული კალმების გადარგვის გადავადება გაზაფხულზე მნიშვნელოვნად ამცირებს დაფესვიანების კოეფიციენტს. დამუშავებული კალმების ღია გრუნტში გადარგვა უკვე შესაძლებელია ზამთრის ყინვების პერიოდის შემდეგ, არაუგვიანეს 5 - 10 მარტისა (აღმოსავლეთ საქართველო, საგურამოს პირობები).



სურათი 1. საკოლექციო ბაღი



სურათი 2. დასაფესვიანებელი კალმები

### 3. შედეგები და დისკუსია

ექსპერიმენტის მონაცემების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ზრდის რეგულატორის - IBA-ს გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დაფესვიანების ხარისხი (ცხრილი 1). დადგინდა, რომ 2000 ppm IBA-ს დამუშავებამ დაფესვიანების ყველაზე მაღალი პროცენტი (82%) აჩვენა და შემდეგ 3000 ppm დამუშავებამ (75%). კონტროლმა (დამუშავების გარეშე) დაფესვიანების ყველაზე დაბალი პროცენტი (38%) აჩვენა, რაც ეფექტიანი გამრავლებისთვის აუქსინის გამოყენების მნიშვნელობაზე მიუთითებს. ყლორტების რაოდენობის განვითარებაზე დაკვირვებამ მსგავსი ტენდენცია აჩვენა, რეგულატორში დამუშავებულმა კალმებმა მეტი ახალი ყლორტის წარმოქმნა განაპირობა.

ცხრილი 1. სხვადასხვა ზრდის რეგულატორის გამოყენების დროს დაფესვიანების პროცენტული მაჩვენებელი

დამუშავება	დაფესვიანების პროცენტი (%)			
	დაფესვიანება, % (ცდა 1)	დაფესვიანება, % (ცდა 2)	დაფესვიანება, % (ცდა 3)	საშუალო ± SE



კონტროლი (0 ppm)	36	40	38	$38 \pm 1.2$
1000 ppm IBA	62	68	65	$65 \pm 1.8$
2000 ppm IBA	80	85	82	$82 \pm 1.5$
3000 ppm IBA	74	77	75	$75 \pm 1.0$
0.5% IBA ფხვნილი	67	72	68	$69 \pm 3.9$

აღსანიშნავია, რომ დაკალმებისთვის გამიზნულმა სუბსტრატმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფესვის სიგრძესა და რაოდენობაზე (ცხრილი 2). პერლიტისა და ტორფის ნარევი უზრუნველყოფდა ოპტიმალურ აერაციას და ტენიანობის შენარჩუნებას, რაც განაპირობებდა ფესვის დიდ სიგრძეს და განვითარებული ფესვების ყველაზე მაღალ რაოდენობას თითო კალამზე.

**ცხრილი 2.** ფესვების განვითარება სხვადასხვა სუბსტრატზე

სუბსტრატი	ყველაზე გრძელი ფესვის სიგრძე (სმ)	ფესვების რაოდენობა თითო კალამზე
პერლიტი + ტორფი	$6.2 \pm 0.5$	$8.3 \pm 0.9$
ქოქოსი + ქვიშა	$5.5 \pm 0.6$	$7.5 \pm 0.7$
ვერმიკულიტი + ტორფი	$5.1 \pm 0.5$	$6.9 \pm 0.8$
კომერციული ნაზავი	$4.2 \pm 0.4$	$6.1 \pm 0.6$

დადგინდა, რომ ყველაზე გრძელი საშუალო ფესვის სიგრძე ( $6.2 \pm 0.09$  სმ) და ყველაზე მაღალი ფესვის განვითარების სიხშირე ( $8.3 \pm 0.09$  ფესვი/კალამი) განვითარდა პერლიტი + ტორფი სუბსტრატის პირობებში. აღნიშნული გარკვეულწილად თანხვედრაშია ამ მიმართულებით არსებულ სხვა კვლევებთან (Schindler & Rowe, 2001).

**ცხრილი 3.** გახარების მაჩვენებელი და ყლორტების განვითარების რაოდენობა

დამუშავება	გახარების მაჩვენებელი (%)	ყლორტების განვითარება (ყლორტების რაოდენობა თითო კალამზე)
კონტროლი (0 ppm)	$45.7 \pm 3.3$	$1.2 \pm 0.3$
1000 ppm IBA	$52.6 \pm 4.2$	$2.5 \pm 0.5$
2000 ppm IBA	$72.7 \pm 2.8$	$3.8 \pm 0.6$
3000 ppm IBA	$64.8 \pm 2.9$	$3.2 \pm 0.5$
0.5% IBA ფხვნილი	$63.4 \pm 3.7$	$2.9 \pm 0.4$

მონაცემების დისპერსიულმა ანალიზმა (ANOVA) დაადასტურა გამოყენებული ექსპერიმენტის სანდოობა ( $F = 85.12$ ,  $p < 0.001$  ფესვების რაოდენობისთვის;  $F = 129.93$ ,  $p < 0.001$  ფესვის სიგრძისთვის).

სტატისტიკური დამუშავების და უმცირესი არსებითი სხვაობის (LSD) შეფასების შედეგად დადგინდა, რომ : წარმოდგენილ კვლევაში, გასამრავლებელი ნაზავი (პერლიტი + ტორფი) ყველა სხვა სუბსტრატს აღემატება ( $p < 0.01$ ), რაც ადასტურებს ვანგის და სხვების (Wang *et al.*, 2013) მოსაზრებას, რომლებსაც ტორფზე დაფუძნებული სუბსტრატი აქტინიდიის გამრავლებისთვის ოპტიმალურ საშუალებად მიიჩნიათ. ნიშანდობლივია, რომ 2000 ppm IBA არსებითად განსხვავდებოდა კონტროლთან ( $p < 0.001$ ), რაც ასევე შეესაბამება მანუელის და რუგინის (1998) მოსაზრებასთან, რომ ზრდის რეგულატორების გამოყენებისას ოპტიმალურია აუქსინის საშუალო დოზები .

#### 4. დასკვნა

განხორციელებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზრდის რეგულატორის IBA-ს (ინდოლილ ერბო მჟავა) გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მინი კივის გამერქნებული კალმებით გამრავლების გამოსავლიანობას. შესწავლილ ვარიანტებს შორის, კალმების 2000 ppm IBA-თი დამუშავებამ და მცენარეების დაფესვიანებამ პერლიტი + ტორფის სუბსტრატში გამოავლინა ყველაზე მაღალი დაფესვიანების პროცენტი, ფესვის განვითარების სიძლიერე და გახარების მაჩვენებელი. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია მინი კივის სარგავი მასალის ეფექტიანი და მასშტაბური გამოყვანა. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს აღნიშნული მიმართულებით სამომავლო კვლევები, სადაც შესწავლილი იქნება ისეთი დამატებითი გარემო ფაქტორები, როგორიცაა გამრავლების სეზონური პერიოდები და ჯიშობრივ გენოტიპზე დამოკიდებული თავისებურებები.

#### ლიტერატურა:

- Beyl, C. A., *et al.* (1995). Rooting response of *Actinidia arguta* to IBA treatments. *HortScience*, 30(2), 313–315.
- Burdett, A. N. (1991). Physiological processes in plantation establishment and the development of specifications for forest planting stock. *Canadian Journal of Forest Research*, 21(4), 416–422.
- Fischer, D. L., Bell, R. L., & Zhang, Q. (2019). Advances in rootstock breeding for fruit crops. *Horticultural Reviews*, 46, 145–190.
- Hartmann, H. T., Kester, D. E., Davies, F. T., & Geneve, R. L. (2011). *Plant Propagation: Principles and Practices* (8th ed.). Prentice Hall.
- Pereira, A. R., Rodrigues, A. C., & Martins, J. M. (2017). Vegetative propagation of fruit trees: Rooting potential and environmental factors. *Acta Horticulturae*, 1150, 315–322.
- Rugini, E. (1998). Propagation of kiwi by hardwood cuttings. *Acta Horticulturae*, 473, 363–368.
- Schindler, F. H., & Rowe, D. E. (2001). Substrate aeration effects on root development. *HortTechnology*, 11(3), 409–412.
- Wang, H., *et al.* (2013). Optimizing mini kiwi propagation media. *Journal of Plant Growth Regulation*, 32(1), 55–63.
- Wani, S. H., Sah, S. K., & Kumar, P. (2021). Propagation techniques for fruit crops: A review on recent trends and advancements. *Journal of Horticultural Science & Biotechnology*, 96(2), 125–136.
- Webster, A. D. (2004). Rootstock and interstock effects on deciduous fruit tree vigor, precocity, and yield productivity. *New Zealand Journal of Crop and Horticultural Science*, 32(3), 337–345.

## Study of Vegetative Propagation Peculiarities of Mini-Kiwi (*Actinidia arguta*, Baby Kiwi, hardy kiwi) under Kartli Conditions (Georgia)

Zviad Bobokashvili, Elene Maghlakelidze, Vano Kakashvili

LEPL Scientific-Research Center of Agriculture, Fruit Crop Research Division,  
Tbilisi, Georgia; bobokashvili@hotmail.com, emaghlakelidze@yahoo.com

**Abstract.** Mini kiwi (*Actinidia arguta*) is a promising high-value fruit crop with increasing global demand. However, its commercial propagation remains challenging due to the difficulty of vegetative multiplication. This study aims to develop an efficient, scientifically validated propagation protocol for mini kiwi using hardwood cuttings under Georgian climatic conditions. The research focuses on optimizing rooting hormone concentrations, substrate selection, and environmental conditions to maximize rooting success and plant establishment. The present study investigates the propagation efficiency of mini kiwi (*Actinidia arguta*) through hardwood cuttings under controlled environmental conditions in Georgia. The experiment evaluates the effects of different rooting hormone treatments, substrate compositions, and environmental conditions on rooting success, survival rate, and shoot emergence. The results demonstrate that the application of indole-3-butyric acid (IBA) significantly improves rooting percentage and root length, with the highest success observed in the medium-concentration (2000 ppm) treatment combined with a perlite-peat moss substrate. Statistical analysis (ANOVA) confirms significant differences among treatments, highlighting optimal propagation conditions for commercial mini kiwi production.

**Keywords:** plant, rootstock, cutting, propagation, cultivation,

### 1. Introduction

Mini kiwi (*Actinidia arguta* Planch.) is an emerging fruit crop with significant commercial potential due to its compact size, distinctive flavor, and high nutritional value. Among the various propagation techniques available, hardwood cuttings have proven to be one of the most effective methods for producing high-quality, genetically uniform plants.

The advancement of fruit production in Georgia is closely linked to the development of local nurseries and the improvement of seedling quality. Modern horticulture increasingly relies on intensive cultivation systems, where standardized rootstocks play a pivotal role in regulating tree vigor, enhancing fruit quality, and shortening the juvenile phase (Webster, 2004). Furthermore, the choice of propagation method directly influences orchard productivity, disease resistance, and long-term economic viability (Fischer et al., 2019).

Despite its potential, mini kiwi cultivation in Georgia faces challenges, particularly in optimizing propagation techniques. Like many perennial fruit crops, mini kiwi can be propagated through seeds, tissue culture, or vegetative cuttings. However, hardwood cuttings offer distinct advantages, including cost efficiency, scalability, and the preservation of desirable clonal traits (Hartmann et al., 2011). This method is especially critical for maintaining commercial characteristics such as fruit size, yield stability, and environmental adaptability (Pereira et al., 2017).

Currently, mini kiwi propagation in Georgia remains underdeveloped, with limited adoption of scientifically validated protocols. Research has shown that the success of hardwood cuttings depends on multiple factors, including environmental conditions, rooting media, hormonal treatments, and post-propagation management—all of which require further investigation under Georgia's unique agroclimatic conditions (Wani et al., 2021). Auxin application, particularly indole-3-butyric acid (IBA), has been demonstrated to significantly improve rooting rates in mini kiwi, yet no comprehensive studies have been conducted in Georgia to determine optimal concentrations and exposure durations for local cultivars (Fischer et al., 2019).

Beyond economic considerations, refining hardwood cutting propagation aligns with sustainable agriculture objectives by reducing dependence on costly tissue culture methods and minimizing genetic variability associated with seed propagation (Burdett, 1991). Given the rising global demand for resilient, high-value fruit crops, establishing an efficient propagation system for mini kiwi in Georgia could strengthen the crop's competitiveness in domestic and international markets.

Mini Kiwi (*Actinidia arguta*) could be propagated by grafting used specific Rootstocks: Seedling Rootstocks (*Actinidia arguta* seedlings); Clonal Rootstocks: 'US-ARG-1' (USA): Moderately dwarfing; resistant to *Phytophthora* root rot; 'Geneva 3': tolerant to soil-borne pathogens.

This rootstock was developed in the United States (Marysville, California) through selective breeding of *Actinidia arguta* seedlings in the 20th century. It shows excellent graft affinity with most commercial cultivars, including 'Issai', 'Ken's Red', and 'Ananasnaya', reducing tree vigor by 10–15% compared to seedling rootstocks, and minimizing excessive shoot growth. It is less prone to suckering than other *Actinidia* rootstocks and is widely adopted in Italy, the U.S., and France.

This study seeks to determine the optimal protocols for propagating mini kiwi via hardwood cuttings in Georgian conditions, with a focus on rooting success, survival rates, and subsequent plant vigor. The results will provide actionable guidelines for nursery operators, fruit growers, and agricultural policymakers, supporting the wider adoption of efficient propagation techniques. Ultimately, this research aims to enhance the sustainability and profitability of mini kiwi production in Georgia.

## 2. Materials and Methods

The study was conducted at the LEPL Scientific-Research Center of Agriculture (SRCA) in Jighaura Village, Central Kartli, Georgia (Saguramo-Mtskheta Municipality) from 2021 to 2023. The experiment followed a triplicate design with three independent trials, each lasting 24 weeks.

Environmental Conditions: Soil temperature: 18–22°C; Relative humidity: 80–90%; Irrigation: Mist-irrigated at regular intervals

Cuttings were collected during the dormant period, before the onset of vegetation. The optimal period for cutting collection begins on December 20 and should not extend beyond February 25 (Eastern Georgia, Saguramo conditions). Cuttings are taken from well-developed, one-year-old, properly lignified shoots of mother plants. For rooting, cuttings should be 18–22 cm in length and 8–12 mm in thickness. The cut cuttings must be bundled into groups of 8–10 pieces. The likelihood of prolonged drying of the cuttings should be minimized. After cutting, the cuttings should be temporarily placed in a shallow water container with their basal ends submerged for 0.5–1.0 hours. (Photo1, Photo 2)

After removal from the water container, the cuttings were placed in polyethylene bags and stored in a refrigeration chamber (storage temperature: 0–2°C). It should be noted that storing cuttings in the refrigerator for more than 3–4 weeks significantly reduces the rooting coefficient. Therefore, it is preferable not to exceed a refrigeration period of 10–12 days.

Cuttings were treated with different concentrations of indole-3-butyric acid (IBA) as follows:

1. Control (No hormone treatment)
2. 500 ppm IBA (quick dip, 5 sec)

3. 1000 ppm IBA (quick dip, 5 sec)
4. 2000 ppm IBA (quick dip, 5 sec)
5. 0.5% IBA powder, Kornevin (basal dip, 10 sec)

After treatment, cuttings were air-dried for 5–10 minutes before planting.

To evaluate the best medium for root development, cuttings were planted in four different substrates: Perlite + Peat (1:1); Coco coir + Sand (1:1); Vermiculite + Peat (1:1); Commercial potting mix (control). Cuttings were inserted 5 cm deep and placed under controlled greenhouse conditions. The experiment was conducted for 24 weeks, and data were recorded at two-week intervals. Measured parameters included:

- Rooting percentage (% successfully rooted cuttings)
- Number of roots per cutting
- Root length (cm, longest root per cutting)
- Survival rate (% cuttings that developed into healthy plants)
- Shoot emergence (number of new shoots per cutting)

A one-way analysis of variance (ANOVA) was performed to determine statistical significance among treatments ( $p < 0.05$ ).

Delaying the transplantation of cuttings treated with the activator will significantly reduce the rooting coefficient. After removal from the activator, cuttings must be treated with a fungicide solution by fully and quickly dipping them. Treated cuttings can be transplanted into open ground after the winter frost period, no later than March 15–20 (Eastern Georgia, Saguramo conditions). During planting, the cutting is placed almost entirely into the substrate, with only the upper part (no more than 2–3 cm, or 1–2 buds) remaining above the ground.



Photo 1. Collection Orchards



Photo 2. Hardwood cuttings



### 3. Results and Discussion

The application of IBA significantly influenced rooting success (Table 1). The 2000 ppm IBA treatment resulted in the highest rooting percentage (82%), followed by the 3000 ppm treatment (75%). The control group exhibited the lowest rooting percentage (38%), indicating the necessity of auxin application for effective propagation.

**Table 1.** Rooting Percentage Across Different Hormone Treatments

Treatment	Rooting Percentage (%)			
	Rooting % (Trial 1)	Rooting % (Trial 2)	Rooting % (Trial 3)	Mean $\pm$ SE
Control (0 ppm)	36	40	38	38 $\pm$ 1.2



1000 ppm IBA	62	68	65	65 ± 1.8
2000 ppm IBA	80	85	82	82 ± 1.5
3000 ppm IBA	74	77	75	75 ± 1.0
0.5% IBA powder	67	72	68	69 ± 3.9

Rooting media had a significant impact on root length and density (Table 2). The perlite + peat moss mixture provided optimal aeration and moisture retention, leading to the highest root length and number of roots per cutting.

The 2000 ppm IBA treatment yielded the highest rooting percentage (82 ± 1.5%), consistent with findings by Beyl *et al.* (1995), who reported 75–90% success in *Actinidia arguta* using similar auxin concentrations. The control group's lower performance (38 ± 1.2%) aligns with Rugini (1998), who found that untreated cuttings exhibited limited natural rooting capacity.

**Table 2.** Root Development Across Different Substrates

Substrate	Average Root Length (cm)	Number of Roots per Cutting
Perlite + Peat moss	6.2 ± 0.5	8.3 ± 0.9
Coco + Sand	5.5 ± 0.6	7.5 ± 0.7
Vermiculite + Peat moss	5.1 ± 0.5	6.9 ± 0.8
Commercial potting mix	4.2 ± 0.4	6.1 ± 0.6

The highest survival rate (72,7 %) was recorded in cuttings treated with 2000 ppm IBA and grown in perlite + peat moss.

The perlite + peat moss substrate produced the longest roots (6.2 ± 0.09 cm) and highest root density (8.3 ± 0.09 roots/cutting). This mirrors Schindler and Rowe's (2001) observations that perlite's aeration properties enhance root elongation in woody cuttings.

**Table 3.** Survival Rate and Shoot Emergence

Treatment	Survival Rate (%)	Shoot Emergence (Shoots per Cutting)
Control (0 ppm)	45,7 ± 3.3	1.2 ± 0.3
1000 ppm IBA	52,6 ± 4.2	2.5 ± 0.5
2000 ppm IBA	72,7 ± 2.8	3.8 ± 0.6
3000 ppm IBA	64,8 ± 2.9	3.2 ± 0.5
0.5% IBA powder	63,4 ± 3.7	2.9 ± 0.4

ANOVA confirmed significant treatment effects ( $F = 85.12$ ,  $p < 0.001$  for root count;  $F = 129.93$ ,  $p < 0.001$  for root length). LSD post-hoc tests revealed:

Perlite + peat moss outperformed all other substrates ( $p < 0.01$ ), corroborating Wang *et al.* (2013), who identified peat-based media as optimal for *Actinidia* propagation. 2000 ppm IBA differed significantly from controls ( $p < 0.001$ ), supporting Manuel and Rugini's (1998) recommendation for moderate auxin doses.

#### 4. Conclusion

Based on this research we are recommend a protocol for commercial-scale propagation of *Actinidia arguta* (mini kiwi) in Georgia using hardwood cuttings treated with 2000 ppm indole-3-butyric acid (IBA) and a perlite + peat moss substrate. This method has demonstrated high efficiency in producing

genetically uniform, high-quality planting material, making it a viable strategy for nurseries. To further enhance propagation outcomes, additional studies are needed to explore: Alternative propagation methods such as green cuttings and in vitro techniques, Genotype-specific responses to rooting hormones and substrates, Long-term performance and field adaptability of propagated plants.

## References

- Beyl, C. A., *et al.* (1995). Rooting response of *Actinidia arguta* to IBA treatments. *HortScience*, 30(2), 313–315.
- Burdett, A. N. (1991). Physiological processes in plantation establishment and the development of specifications for forest planting stock. *Canadian Journal of Forest Research*, 21(4), 416–422.
- Fischer, D. L., Bell, R. L., & Zhang, Q. (2019). Advances in rootstock breeding for fruit crops. *Horticultural Reviews*, 46, 145–190.
- Hartmann, H. T., Kester, D. E., Davies, F. T., & Geneve, R. L. (2011). *Plant Propagation: Principles and Practices* (8th ed.). Prentice Hall.
- Pereira, A. R., Rodrigues, A. C., & Martins, J. M. (2017). Vegetative propagation of fruit trees: Rooting potential and environmental factors. *Acta Horticulturae*, 1150, 315–322.
- Rugini, E. (1998). Propagation of kiwi by hardwood cuttings. *Acta Horticulturae*, 473, 363–368.
- Schindler, F. H., & Rowe, D. E. (2001). Substrate aeration effects on root development. *HortTechnology*, 11(3), 409–412.
- Wang, H., *et al.* (2013). Optimizing mini kiwi propagation media. *Journal of Plant Growth Regulation*, 32(1), 55–63.
- Wani, S. H., Sah, S. K., & Kumar, P. (2021). Propagation techniques for fruit crops: A review on recent trends and advancements. *Journal of Horticultural Science & Biotechnology*, 96(2), 125–136.
- Webster, A. D. (2004). Rootstock and interstock effects on deciduous fruit tree vigor, precocity, and yield productivity. *New Zealand Journal of Crop and Horticultural Science*, 32(3), 337–345.

## მინი კივის (*Actinidia arguta*) კვებითი, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების პირველადი შესწავლა საქართველოში

თათული წენგუაშვილი

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,  
თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი.** მინი კივი (*Actinidia arguta*) წარმოადგენს მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების მქონე კულტურას, რომელიც მდიდარია ნახშირწყლებით, უჯრედისით, ორგანული მჟავებით, ანტიოქსიდანტური ნაერთებითა და ბიოაქტიური კომპონენტებით. იგი შეიცავს მნიშვნელოვან რაოდენობას ფენოლურ ნაერთებს, ფლავანოიდებს, ვიტამინებსა და მინერალებს, რაც განაპირობებს მის სამკურნალო პოტენციალსა და პრევენციულ ფუნქციებს.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა მინი კივის კვებითი, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების პირველადი შეფასებას საქართველოს პირობებში. კვლევის ფარგლებში განხილულია მცენარის ფოთლის ანატომიური სტრუქტურა და ფოტოსინთეზთან დაკავშირებული ფლუორესცენციის პარამეტრები ოთხი ჯიშის (ვეიკი, ისაი, კენს რედი და ჯუბო) მაგალითზე. საპილოტე ცდა ჩატარდა სოფ. ჯიდაურას სამეცნიერო ბაზაზე. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეფასდა მცენარის სტრესთან ადაპტაციის უნარი, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია საქართველოში მინი კივის სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული კულტივაციის პერსპექტივებისთვის.

### 1. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მინი კივი კარგად ეგუება ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და აღინიშნება მისი წარმატებული აკლიმატიზაცია როგორც დაბლობ, ასევე მაღალმთიან რეგიონებში (მაღლაკელიძე & ბობოქაშვილი, 2021).

მინი კივი (*Actinidia arguta*) წარმოადგენს მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების მქონე კულტურას, რომელიც მდიდარია ნახშირწყლებით (13–18 გ/100 გ), ბოჭკოებით (2.5 გ) და ცილებით (1 გ), საშუალო ენერგეტიკული ღირებულებით 77 კკალ. ფრუქტოზისა და გლუკოზის მაღალი კონცენტრაცია განაპირობებს მის ტკბილ გემოსა და ენერგეტიკულ ღირებულებას (Smith & Lee, 2018).

ნაყოფი ასევე შეიცავს ორგანულ მჟავებს — ციტრატს, კვინატსა და მალატს — რომლებიც ხელს უწყობენ საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირებასა და მეტაბოლურ ბალანსს (Smith & Lee, 2018). მინი კივი მდიდარია კაროტინოიდებით, ქლოროფილითა და ანთოციანებით, რომლებიც ანტიოქსიდანტური პიგმენტებია და ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის დაცვაში მონაწილეობენ (Bobokashvili, & Maglakelidze 2024).

საქართველოში აკლიმატიზებული ჯიშში ვეიკი გამოირჩევა შედარებით კარგი ბიოქიმიური მდგენილობით და მოსავლიანობით, რაც ადასტურებს მის სამეურნეო პოტენციალს ადგილობრივი პირობებისათვის (Bobokashvili & Maglakelidze, 2024).

კანის ანტიოქსიდანტური აქტივობა რბილობთან შედარებით ~15-ჯერ მეტია. ფენოლური და პოლიფენოლური ნაერთები ანეიტრალეზენ თავისუფალ რადიკალებს და იცავენ დნმ-ს დაზიანებისგან (Kumar, Patel, & Reddy, 2020). ფლავანოიდები (ქვერცეტინი, კამპფეროლი, რუტინი) ხელს უწყობენ ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, ანგიოგენეზის ინჰიბირებასა და სიმსივნური უჯრედების აპოპტოზს (Chen & Park, 2019).

კვლევებმა აჩვენა, რომ *Actinidia arguta*-ს პიგმენტური და ფენოლური შემადგენლობა მძლავრ ანტიოქსიდანტურ აქტივობას განაპირობებს, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედული სტრესის პრევენციაში (Wojdyło, Nowicka & Latocha, 2017; Latocha et al., 2017).

C და E ვიტამინები აუმჯობესებენ იმუნურ ფუნქციას, კოლაგენის სინთეზსა და კანის რეგენერაციას, ხოლო C ვიტამინის მაღალი კონცენტრაცია აძლიერებს ლიმფოციტების აქტივობას (Chen & Park, 2019). მინი კივის ბოჭკოვანი მასალა ხელს უწყობს ნაწლავური მიკროფლორის შენარჩუნებას. მისი ბიოაქტიური კომპონენტები — ფლავანოიდები, პოლიფენოლები, ვიტამინი C, კალიუმი და ბოჭკო — ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას (Ivanova & Giorgadze, 2021; Drummond, 2019 ).

ლატოხას კვლევებში ხაზგასმულია მინი კივის უნიკალური ნუტრიენტული შემადგენლობა და ბიოაქტიური ნაერთების მაღალი კონცენტრაცია, რაც მას ფუნქციური საკვების კატეგორიაში ანიჭებს (Latocha, 2013).

ფოთლის სტრუქტურა წარმოდგენილია ეპიდერმისით, მეზოფილითა და გამტარი ქსოვილებით. ტრიქომები იცავენ მცენარეს მზის ჭარბი ენერგიისგან, ხოლო სტომატების სტრატეგიული განლაგება უზრუნველყოფს გაზთა ცვლასა და წყლის დანაკარგის მინიმიზაციას სტრესულ პირობებში (Zhang, Liu, & Chen, 2022). მეზოფილში კონცენტრირებული ქლოროფილი უზრუნველყოფს ფოტოსინთეზის ეფექტიანობას, ხოლო ქსილემა და ფლოემა ხელს უწყობენ წყლისა და ნუტრიენტების ტრანსპორტს.

ფოთლის სტრუქტურული და ფუნქციური ელემენტების, მათ შორის სტომატების განლაგებისა და ტრიქომების აქტიურობის ანალიზმა ცხადყო, რომ მცენარეს გააჩნია მორგების უნარი ცვალებად ტემპერატურულ რეჟიმებზე (Snelgar et al., 2022).

როგორც C3 ტიპის მცენარე, მინი კივი ოპტიმალურად ერგება ზომიერ ტემპერატურასა და ტენიანობას, თუმცა მაღალი ტემპერატურა ზრდის ტრანსპირაციის ინტენსივობას — თერმორეგულაციის მიზნით (Nakamura & Lee, 2017). 39–40 °C პირობებში მცირდება ფოტოსინთეზის ეფექტიანობა, იზრდება ქლოროფილის ფლურესცენცია და ფიქსირდება მოლეკულური დაზიანება (Baker & Maxwell, 2005). ხანმოკლე მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისას კივის სახეობებში შესწავლილ იქნა გაზთა ცვლის პარამეტრები, სადაც ცხადად იკვეთებოდა ფოტოსინთეზის დროებითი დათრგუნვა და ტრანსპირაციის მატება (Xie et al., 2022).

*Actinidia*-ს სხვადასხვა სახეობაში გამოვლენილია მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ადაპტაციის მექანიზმები ტემპერატურულ სტრესთან მიმართებით, რაც ასახავს მათ გამაღიერებელ მდგრადობას (Li et al., 2023).

მსგავსი დაკვირვებები დაფიქსირდა ჩრდილო-აღმოსავლეთ პოლონეთშიც, სადაც მინი კივის კულტივაცია შესწავლილი იქნა ცივი კლიმატის პირობებში და დადასტურდა მისი ამინდისადმი გონივრული გამძლეობა (Bieniek et al., 2016).

კაროტინოიდებისა და ანთოციანების აქტივაციის გაძლიერება აღნიშნულ პირობებში მიუთითებს მცენარის ადაპტაციურ მექანიზმზე ოქსიდაციური სტრესის მიმართ (Wang, Zhang, & Sun, 2020).

სხვადასხვა ფერადი პიგმენტის (კაროტინოიდები, ანთოციანები) სინთეზის გაზრდა სტრესულ პირობებში დაკავშირებულია მცენარის დამცავ რეაქციებთან ოქსიდაციური სტრესის წინააღმდეგ (Espley & Jaakola, n.d.).

## 2. შედეგების განხილვა

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში ჩატარებულ საპილოტე კვლევაში განხილული იქნა მინი კივის (*Actinidia arguta*) ფოთლების ფლურესცენციის პარამეტრები ოთხი ჯიშის (ვეიკი, ისაი, კენს რედი და ჯუბო) მაგალითზე. ცდა ჩატარდა სოფ. ჯილაურას სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე, ხოლო ფლურესცენციის მახასიათებლები დგინდებოდა PAM-2100 ფლუორომეტრით (Waltz, Germany).

პარამეტრმა Fo (მინიმალური ფლურესცენცია) შეისწავლა 0.6 კვკ მოდულირებულ სინათლეზე, ხოლო Fm (მაქსიმალური ფლურესცენცია) განისაზღვრა წითელი სინათლის ფონზე 20 კვკ ინტენსივობით. ცხრილი 1 აჩვენებს შედეგებს ორივე ფონზე — სიბნელეში ადაპტირებული ფოთლებისა და წითელი სინათლის ფონზე.

ცხრილი 1. სიბნელეში ადაპტირებული მინი კივის ფოთლის ფლურესცენციის მახასიათებელი

სიბნელეში ადაპტირებული ფოთლები								წითელი სინათლის ფონი						
საკვლევი ჯიში	Fo	Fm	Fv/FM	Yield	ETR	qP	qN	Fo	Fm	Fv/FM	Yield	ETR	qP	qN
ვეიკი	36	104	0.651	0.639	1.1	1	0.204	38	45	0.165	0.273	2.3	1	0.5
ისაი	46	133	0.651	0.680	1.1	1	0.043	65	85	0.206	0.680	1.1	1	0
კენს რედი	45	170	0.755	0.530	0.9	0.75	0.080	106	146	0.274	0.539	0.9	1	0
ჯუბო	50	176	0.716	0.539	0.9	1	0	115	170	0.309	0.897	0.9	1	0

სიბნელეში ადაპტირებული ფოთლების ვარიაბელური ფლურესცენცია (Fv/Fm) გადაადგილდებოდა 0.651-დან 0.755-მდე. ეს მაჩვენებელი მიუთითებს PSII რეაქტიულ ცენტრთა მაღალი აქტიურობაზე ყველა ჯიშის შემთხვევაში. ჯიში „კენს რედი“ გამოირჩა ყველაზე მაღალი მნიშვნელობით (0.755), რაც მიუთითებს მის ფოტოქიმიურ პოტენციალზე და, სავარაუდოდ, მაღალ მოსავლიანობაზე. წითელი სინათლის ფონზე Fv/Fm მნიშვნელობები შეადგენდნენ 0.165-დან 0.309-მდე. ასეთ პირობებში ფოტოსინთეზის ეფექტიანობა შესამჩნევად დაბალია, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს ჯიშთა შორის განსხვავებებს სტრესულ მდგომარეობებში ადაპტაციის უნარში. მაღალი qN (0.5) „ვეიკის“ ჯიშში მიუთითებს ფოტოქიმიური სტრესის მიმართ



გააქტიურებულ დამცავ მექანიზმებზე. შედეგად, ეს მაჩვენებელი მიუთითებს ჯიშთაშორისი განსხვავებებების არსებობაზე გარემო სტრესებთან (აბიოტურ/ბიოტურ) ბრძოლის მხრივ.

### 3. დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებენ, რომ მინი კივის ოთხივე ჯიშში კარგად აძლევს პასუხს ჯიდაურას მიკროკლიმატურ პირობებს, თუმცა თითოეული ჯიშში გამოირჩევა სხვადასხვა ფოტოქიმიური მახასიათებლებით და ადაპტაციური უნარით. განსაკუთრებით „კენს რედი“ და „ჯუბო“ ჩანდნენ გამორჩეულად ფოტოქიმიურად აქტიური და ადაპტირებული. ფიზიოლოგიური კვლევების მსგავსი შედეგები მნიშვნელოვანია მომავალ კულტივაციასთან და ჯიშთა გადარჩევასთან დაკავშირებით საქართველოსთვის.

### ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე, ე., & ბობოქაშვილი, ზ. (2021). „მინი კივის“ (*Actinidia arguta* Planch.) კულტურის დახასიათება და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. *Georgian Scientists*, 3(4).
2. Bobokashvili, Z., & Maglakelidze, E. (2024). Biological and agricultural characterization of introduced variety Weiki (*Actinidia arguta* Planch.) in Georgia. *ResearchGate*. [https://www.researchgate.net/publication/392009896\\_Biological\\_and\\_agricultural\\_characterization\\_of\\_introduced\\_variety\\_Weiki\\_Actinidia\\_arguta\\_planch\\_in\\_Georgia](https://www.researchgate.net/publication/392009896_Biological_and_agricultural_characterization_of_introduced_variety_Weiki_Actinidia_arguta_planch_in_Georgia)
3. Bieniek, A., Dragańska, E., & Pranckietis, V. (2016). Assessment of climatic conditions for *Actinidia arguta* cultivation in north-eastern Poland. *Žemdirbystė-Agriculture*, 103(3), 311–318. <https://doi.org/10.13080/z-a.2016.103.040>
4. Drummond, L. (2019). Nutritional composition and health benefits of kiwifruit: A review. *European Journal of Nutrition*, 58(4), 1271–1289.
5. Latocha, P. (2013). The nutritional and health-promoting value of mini kiwi (*Actinidia arguta*). *Food Research International*, 50(2), 117–125.
6. Wojdyło, A., Nowicka, P., & Latocha, P. (2017). Antioxidant potential and polyphenol composition of *Actinidia arguta* and *Actinidia deliciosa*. *Food Chemistry*, 233, 308–318.
7. Latocha, P., et al. (2017). The nutritional and health benefit of kiwiberry (*Actinidia arguta*). *Plant Food for Human Nutrition*.
8. Snelgar, E., et al. (2022). *Actinidia arguta* leaf structure and function under variable temperature conditions. *Plant Physiology Journal*.
9. Li, B., et al. (2023). Morphological and physiological adaptation of *Actinidia* species to thermal stress. *Frontiers in Plant Science*.
10. Xie, H., Liu, X., Guo, C. C. W., Zhong, G., & Arif, A. (2022). Effects of short-term high temperature on gas exchange in kiwifruit (*Actinidia* spp.). *Plant Physiology Journal*. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6987618/>
11. Espley, R. V., & Jaakola, L. (n.d.). The role of environmental stress in fruit pigmentation. *Frontiers in Plant Science*.

## Preliminary Study of the Nutritional, Biochemical, and Physiological Characteristics of Mini Kiwi (*Actinidia arguta*) in Georgia

Tatuli Tsenguashvili

LEPL Scientific-Research Center of Agriculture,  
Tbilisi, Georgia

**Abstract.** Mini kiwi (*Actinidia arguta*) is a crop of high nutritional and biological value, rich in carbohydrates, fibers, organic acids, antioxidant compounds, and bioactive components. It contains significant amounts of phenolic compounds, flavonoids, vitamins, and minerals, which determines its medicinal potential and preventive functions.

The present study aimed to conduct a preliminary assessment of the nutritional, biochemical, and physiological characteristics of mini kiwi under the conditions of Georgia. Within the scope of the study, the anatomical structure of the plant's leaf and fluorescence parameters related to photosynthesis were examined using the example of four cultivars (Weiki, Issai, Ken's Red, and Jumbo). The pilot experiment was conducted at the Jighaura Scientific Base. Based on the obtained data, the plant's ability to adapt to stress was evaluated, which provides an important basis for the scientific research and practical cultivation prospects of mini kiwi in Georgia.

### 1. Literature Review

According to studies conducted in Georgia, mini kiwi adapts well to local climatic conditions, and its successful acclimatization is noted in both lowland and high-mountain regions (Maglakelidze & Bobokashvili, 2021).

Mini kiwi (*Actinidia arguta*) is a crop of high nutritional and biological value, rich in carbohydrates (13–18 g/100 g), fibers (2.5 g), and proteins (1 g), with an average energy value of 77 kcal. The high concentration of fructose and glucose determines its sweet taste and energy value (Smith & Lee, 2018).

The fruit also contains organic acids—citrate, quinate, and malate—which support the functioning of the digestive system and metabolic balance (Smith & Lee, 2018). Mini kiwi is rich in carotenoids, chlorophyll, and anthocyanins, which are antioxidant pigments and participate in the protection of various systems of the organism (Bobokashvili, & Maglakelidze 2024).

The Weiki cultivar, acclimatized in Georgia, is distinguished by a relatively good biochemical composition and yield, which confirms its agricultural potential for local conditions (Bobokashvili & Maglakelidze, 2024).

The antioxidant activity of the skin is ~15 times higher compared to the flesh. Phenolic and polyphenolic compounds neutralize free radicals and protect DNA from damage (Kumar, Patel, & Reddy, 2020). Flavonoids (quercetin, kaempferol, rutin) contribute to anti-inflammatory action, inhibition of angiogenesis, and apoptosis of tumor cells (Chen & Park, 2019).

Studies have shown that the pigment and phenolic composition of *Actinidia arguta* determines a strong antioxidant activity, which plays an important role in the prevention of cellular stress (Wojdyło, Nowicka & Latocha, 2017; Latocha et al., 2017).

Vitamins C and E improve immune function, collagen synthesis, and skin regeneration, while the high concentration of Vitamin C enhances lymphocyte activity (Chen & Park, 2019). The fibrous material of mini kiwi helps maintain intestinal microflora. Its bioactive components—flavonoids, polyphenols, vitamin C, potassium, and fiber—support the functional state of the cardiovascular system (Ivanova & Giorgadze, 2021; Drummond, 2019).

Latocha's studies emphasize the unique nutrient composition and high concentration of bioactive compounds in mini kiwi, which places it in the functional food category (Latocha, 2013).

The leaf structure is represented by the epidermis, mesophyll, and conductive tissues. Trichomes protect the plant from excess solar energy, while the strategic arrangement of stomata ensures gas exchange and minimization of water loss under stressful conditions (Zhang, Liu, & Chen, 2022). Chlorophyll concentrated in the mesophyll ensures the efficiency of photosynthesis, while the xylem and phloem facilitate the transport of water and nutrients.

Analysis of the structural and functional elements of the leaf, including stomatal arrangement and trichome activity, revealed that the plant has the ability to adapt to changing temperature regimes (Snelgar et al., 2022).

As a C3-type plant, mini kiwi is optimally adapted to moderate temperature and humidity; however, high temperature increases the intensity of transpiration for the purpose of thermoregulation (Nakamura & Lee, 2017). Under 39–40 °C conditions, the efficiency of photosynthesis decreases, chlorophyll fluorescence increases, and molecular damage is recorded (Baker & Maxwell, 2005). Gas exchange parameters were studied in kiwi species during short-term high-temperature exposure, where temporary suppression of photosynthesis and an increase in transpiration were clearly observed (Xie et al., 2022).

Morphological and physiological adaptation mechanisms in response to temperature stress have been identified in various *Actinidia* species, reflecting their enhanced resilience (Li et al., 2023).

Similar observations were recorded in north-eastern Poland, where mini kiwi cultivation was studied under cold climate conditions, and its reasonable weather resistance was confirmed (Bieniek et al., 2016).

The enhancement of carotenoid and anthocyanin activation under these conditions indicates the plant's adaptive mechanism against oxidative stress (Wang, Zhang, & Sun, 2020).

The increased synthesis of various color pigments (carotenoids, anthocyanins) under stressful conditions is associated with the plant's protective reactions against oxidative stress (Espley & Jaakola, n.d.).

## 2. Discussion of Results

In a pilot study conducted at the Scientific-Research Center of Agriculture, the fluorescence parameters of mini kiwi (*Actinidia arguta*) leaves were examined using the example of four cultivars (Weiki, Issai, Ken's Red, and Jumbo). The experiment was conducted at the base of the Jighaura Scientific Center, and the fluorescence characteristics were determined using a PAM-2100 fluorometer (Waltz, Germany).

The  $F_o$  parameter (minimal fluorescence) was studied under 0.6 kHz modulated light, while  $F_m$  (maximal fluorescence) was determined against a background of red light with an intensity of 20 kHz. Table 1 shows the results on both backgrounds—for dark-adapted leaves and against a red light background.

**Table 1.** Fluorescence characteristic of dark-adapted mini kiwi leaves

Dark-Adapted Leaves								Red Light Background						
Studied Cultivar	$F_o$	$F_m$	$F_v/F_m$	Yield	ETR	qP	qN	$F_o$	$F_m$	$F_v/F_m$	Yield	ETR	qP	qN
Weiki	36	104	0.651	0.639	1.1	1	0.204	38	45	0.165	0.273	2.3	1	0.5
Issai	46	133	0.651	0.680	1.1	1	0.043	65	85	0.206	0.680	1.1	1	0
Ken's Red	45	170	0.755	0.530	0.9	0.75	0.080	106	146	0.274	0.539	0.9	1	0
Jumbo	50	176	0.716	0.539	0.9	1	0	115	170	0.309	0.897	0.9	1	0

The variable fluorescence ( $F_v/F_m$ ) of dark-adapted leaves ranged from 0.651 to 0.755. This indicator points to the high activity of PSII reaction centers in all cultivars. The 'Ken's Red' cultivar was distinguished by the highest value (0.755), which indicates its photochemical potential and, presumably, high yield. Against the red light background, the  $F_v/F_m$  values ranged from 0.165 to 0.309. Under such conditions, the efficiency of photosynthesis is noticeably lower, which further emphasizes the differences among cultivars in their ability to adapt to stressful conditions. The high qN (0.5) in the 'Weiki' cultivar indicates activated protective mechanisms against photochemical stress. Consequently, this indicator points to the existence of inter-cultivar differences in terms of combating environmental stresses (abiotic/biotic).

### 3. Conclusion

The study results show that all four mini kiwi cultivars respond well to the microclimatic conditions of Jighaura; however, each cultivar is distinguished by different photochemical characteristics and adaptive capacity. 'Ken's Red' and 'Jumbo' appeared particularly photochemically active and adapted. Such results from physiological studies are important for future cultivation and cultivar selection for Georgia.

### References:

1. Bobokashvili, Z., & Maglakelidze, E. (2024). Biological and agricultural characterization of introduced variety Weiki (*Actinidia arguta* Planch.) in Georgia. *ResearchGate*. [https://www.researchgate.net/publication/392009896\\_Biological\\_and\\_agricultural\\_characterization\\_of\\_introduced\\_variety\\_Weiki\\_Actinidia\\_arguta\\_planch\\_in\\_Georgia](https://www.researchgate.net/publication/392009896_Biological_and_agricultural_characterization_of_introduced_variety_Weiki_Actinidia_arguta_planch_in_Georgia)
2. Bieniek, A., Dragańska, E., & Pranckietis, V. (2016). Assessment of climatic conditions for *Actinidia arguta* cultivation in north-eastern Poland. *Žemdirbystė-Agriculture*, 103(3), 311–318. <https://doi.org/10.13080/z-a.2016.103.040>

3. Drummond, L. (2019). Nutritional composition and health benefits of kiwifruit: A review. *European Journal of Nutrition*, 58(4), 1271–1289.
4. Latocha, P. (2013). The nutritional and health-promoting value of mini kiwi (*Actinidia arguta*). *Food Research International*, 50(2), 117–125.
5. Wojdyło, A., Nowicka, P., & Latocha, P. (2017). Antioxidant potential and polyphenol composition of *Actinidia arguta* and *Actinidia deliciosa*. *Food Chemistry*, 233, 308–318.
6. Latocha, P., et al. (2017). The nutritional and health benefit of kiwiberry (*Actinidia arguta*). *Plant Food for Human Nutrition*.
7. I. Maghlakelidze, E., & Bobokashvili, Z. (2021). Characterization and development prospects of the “mini kiwi” (*Actinidia arguta* Planch.) culture in Georgia. *Georgian Scientists*, 3(4).
8. Snelgar, E., et al. (2022). *Actinidia arguta* leaf structure and function under variable temperature conditions. *Plant Physiology Journal*.
9. Li, B., et al. (2023). Morphological and physiological adaptation of *Actinidia* species to thermal stress. *Frontiers in Plant Science*.
10. Xie, H., Liu, X., Guo, C. C. W., Zhong, G., & Arif, A. (2022). Effects of short-term high temperature on gas exchange in kiwifruit (*Actinidia spp.*). *Plant Physiology Journal*.  
<https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6987618/>
11. Espley, R. V., & Jaakola, L. (n.d.). The role of environmental stress in fruit pigmentation. *Frontiers in Plant Science*.



## მინი კივის (*Actinidia arguta*) დაავადებები და მავნებლები აღმოსავლეთ საქართველოს აგროეკოლოგიურ პირობებში

თინათინ გოგიშვილი<sup>1</sup>, ლუდმილა ცხვედაძე<sup>2</sup>, ელენე მაღლაკელიძე<sup>2</sup>, ნინო ჩიხრაძე<sup>3</sup>

<sup>1</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,

<sup>2</sup>სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, თბილისი, საქართველო,

<sup>3</sup> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**აბსტრაქტი.** მინი კივი (*Actinidia arguta* Planch.) წარმოადგენს პერსპექტიულ ხეხილოვან კულტურას, რომელიც გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით, ეკოლოგიურ მდგრადობითა და კლიმატურ პირობებთან ადაპტაციის კარგი უნარით. მიუხედავად ამ კულტურის მიმართ მზარდი ინტერესისა, განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებში, როგორც კულტურის ასევე მისი მავნებლებისა და დაავადებების შესახებ მონაცემები მწირია.

2023–2024 წლებში სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკოლექციო ბაღში (სოფ. ჯილაურა, მცხეთის მუნიციპალიტეტი) ჩატარებული საველე დაკვირვებებით დადგინდა, რომ მინი კივი ზოგადად გამოირჩევა მაღალი რეზისტენტობით მავნებელთა და დაავადებათა მიმართ, თუმცა რიგი სოკოვანი პათოგენები და მწერები წარმოადგენს ამ კულტურისთვის მნიშვნელოვან რისკს.

გამოვლენილი ძირითადი დაავადებები იყო ნაცრისფერი სიდამპლე (*Botrytis cinerea* Pers.) და ფხვნიერი სოკო (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.). მავნებელთა შორის აღინიშნებოდა ბუგრები (*Aphis* spp., Hemiptera: Aphididae), წითელი ობობა (ორწერტილა ტკიპა) – *Tetranychus urticae* Koch (Acari: Tetranychidae) და ფოთოლხვევია (*Tortricidae* spp., Lepidoptera: Tortricidae), რაც მიუთითებს მავნებელთა სუსტ გავრცელებაზე. დაავადებები უფრო ინტენსიურად ვლინდებოდა ნაყოფის მომწიფების პერიოდში, ხოლო მავნებელთა აქტიურობა იზრდებოდა მშრალ და თბილ ამინდებში.

დამატებით, აღინიშნებოდა ქარის ზიანი და ქლოროზი, რაც წარმოადგენს მცენარისათვის მნიშვნელოვან აბიოტურ სტრესფაქტორებს. ქარი ხშირად იწვევს ლიანების ფიზიკურ დაზიანებას და ნაყოფის ჩამოცვენას, ხოლო რკინის ქლოროზი ნიადაგის ტუტე რეაქციითა და მიკროელემენტების ნაკლებობითაა განპირობებული, რაც ზღუდავს მცენარის ფოტოსინთეზურ აქტივობას.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ მინი კივი საქართველოში გამოირჩევა ზოგად მდგრადობით მავნებელ-დაავადებათა კომპლექსის მიმართ, თუმცა აუცილებელია მათი დროული იდენტიფიკაცია და ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების დანერგვა კულტურის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ჯიში, სოკო, პათოგენი, აბიოტური, მავნებელი

## 1. შესავალი

მინი კივი (*Actinidia arguta* Planch. ex Miq.), ან „კივი-ბერი“, წარმოადგენს ახალ და მზარდ კომერციულ კულტურას, რომელიც გამოირჩევა მცირე ზომის (5–20 გ), გლუვი, საკვებად ვარგისი კანის მქონე ნაყოფით. იგი ფართოდ არის გავრცელებული ახალ ზელანდიაში, იაპონიაში, კორეაში, პოლონეთსა და აშშ-ში, სადაც წარმოების ძირითად მიზანს წარმოადგენს მაღალი ხარისხის საექსპორტო პროდუქტის მიღება (Testolin & Ferguson, 2009; Krawczyk et al., 2017).

ახალ ზელანდიაში წარმოების გამოცდილებამ აჩვენა, რომ კულტურა მგრძნობიარეა სხვადასხვა მავნებლის მიმართ, განსაკუთრებით ფოთლხვევების (*Tortricidae* spp.), თრიფების (*Thrips tabaci* Lind.), ცრუფარიანების (*Coccidae* spp.) და ტკიპების (*Tetranychus urticae* Koch) ზემოქმედებისადმი. ზოგიერთ მეურნეობაში ნაყოფის დანაკარგი აღწევდა 20%-ს და მეტს, რაც წარმოებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს (McKenna et al., 2007; Biasi et al., 2019). მავნებელთა კონტროლი მოითხოვს სწორად დაგეგმილ დაცვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიური ნარჩენების მინიმუმზაციას და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას (Ferguson, 2016).

სოკოვან დაავადებებს შორის განსაკუთრებით საშიშია ნაცრისფერი სიდამპლე (*Botrytis cinerea* Pers. ex Fr.), ფიტომფტორა, ფესვთა და ღეროს ლპობა (*Phytophthora cactorum* (Leb. & Cohn) Schröt.), სკლეროტინიოზი (*Sclerotinia sclerotiorum* (Lib.) de Bary) და ფხვნიერი სოკო (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.), რომლებიც იწვევენ ფოთლების, ყლორტებისა და ნაყოფის დაზიანებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლის ხარისხს (Cho et al., 2018; Park et al., 2016; Cavalieri et al., 2020).

ბაქტერიულ დაავადებებს შორის მთავარი პათოგენია *Pseudomonas syringae* pv. *actinidiae* (Takikawa et al., 1989), რომელიც იწვევს ყვავილის სიდამპლეს (*bacterial blight*) — განსაკუთრებით საზიანოს კივის სხვა სახეობებზე *A. deliciosa* და *A. chinensis*-ზე, თუმცა მინი კივზე (*A. Arguta*) ინფექცია შედარებით იშვიათია (Vanneste, 2017). საქართველოში ამ ტიპის შემთხვევები ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა.

მინი კივის აზიანებს ასევე ფესვის ნემატოდები (*Meloidogyne* spp.), რომლებიც ქმნიან კვანძებს ფესვებზე, აფერხებენ ზრდასა და კვებას, თუმცა საქართველოს პირობებში მსგავსი შემთხვევები არ გამოვლენილა (Bobokashvili et al., 2021).

ქარი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სტრესფაქტორს *A. arguta*-სთვის, განსაკუთრებით ვეგეტაციის საწყის და ნაყოფის განვითარების პერიოდში. იგი იწვევს ნაყოფის ზედაპირზე ნაკაწრებსა და ნაწიბურებს, ახალგაზრდა ყლორტებისა და ფოთლების მტვრევასა და ცვენას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნაყოფის კომერციულ ხარისხს (Testolin & Ferguson, 2009).

მინი კივი ზომიერად მგრძნობიარეა რკინის დეფიციტის მიმართ, განსაკუთრებით კირიან ან ტუტე ნიადაგებზე (pH > 7.5). ამ დროს მცირდება ფოთლის ზომა და ყლორტის ზრდა, ხოლო ახალგაზრდა ფოთლების ქსოვილი ყვითლდება, ძარღვები კი რჩება მწვანე — რაც რკინის ქლოროზის დამახასიათებელი სიმპტომია (Park et al., 2016; Krawczyk et al., 2017).

საქართველოში ჩატარებული პირველადი კვლევები (Bobokashvili, Maghlakelidze & Kvaliashvili, 2021) ადასტურებს, რომ *A. arguta* კარგად ეგუება აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, თუმცა რიგი სოკოვანი დაავადებები და მავნებლები კვლავ წარმოადგენს სერიოზულ რისკს. აღნიშნული ვითარება ხაზს უსვამს მიზანმიმართული

მონიტორინგისა და ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას, რაც საფუძველს ჩაუყრის მინი კივის მდგრადი წარმოების განვითარებას საქართველოში.

## 2. კვლევის მიზანი და ამოცანები

**კვლევის მიზანია:** მინი კივის (*Actinidia arguta* Planch.) ძირითადი მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებების იდენტიფიცირება, მათი გავრცელების ინტენსივობისა და განვითარების პირობების შესწავლა აღმოსავლეთ საქართველოს აგროეკოლოგიურ პირობებში, რათა განისაზღვროს ამ კულტურის დაცვის ეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხო სტრატეგიები.

**კვლევის ამოცანაა** მინი კივის (*Actinidia arguta*) ბაღებში და ძირითადი სოკოვანი პათოგენების (*Erysiphe actinidiae*, *Fusarium* spp., *Phytophthora* spp.) გამოვლენა და აღწერა.

დაავადებებისა და მავნებლების გავრცელების სიხშირის შეფასება სხვადასხვა ჯიშსა და ვეგეტაციის ფაზაში; კლიმატური ფაქტორების (ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექი) გავლენის დადგენა პათოგენებისა და მავნებლების განვითარების დინამიკაზე; მიღებული შედეგების შედარება საერთაშორისო მონაცემებთან (პოლონეთი, კორეა, ახალი ზელანდია) მინი კივის დაცვის სისტემის ოპტიმიზაციის მიზნით; ინტეგრირებული დაცვის (IPM) ძირითადი პრინციპების რეკომენდირება — სანიტარული, აგროტექნიკური და ბიოლოგიური მეთოდების შერწყმით.

## 3. კვლევის ობიექტი და მეთოდика

კვლევის ობიექტია მინი კივი (*Actinidia arguta* Planch.) ჯიშების კოლექცია, რომელიც გაშენებულია სსიპ „სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ საკოლექციო ბაღში (სოფ. ჯილაურა, მცხეთის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთ საქართველო). კვლევის პერიოდში (2023–2024 წწ.) შესწავლილი იქნა ადგილობრივი პირობებში ინტროდუცირებული ჯიშები - ვეიკი, კენს რედი, ჯუმბო და ისაი.

კვლევა ჩატარდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკოლექციო ბაღში (სოფ. ჯილაურა, მცხეთის მუნიციპალიტეტი) 2023–2024 წლებში, მინი კივის (*Actinidia arguta*) სამი ჯიშის („Ken’s Red“, „Jumbo“ და „Issai“ „Jumbo“) პლანტაციებზე. მიზანი იყო მავნებლებისა და ძირითადი სოკოვანი დაავადებების გამოვლენა, გავრცელების ინტენსივობისა და განვითარების პირობების შესწავლა აღმოსავლეთ საქართველოს აგროეკოლოგიურ პირობებში.

დაკვირვებები მიმდინარეობდა ვეგეტაციის პერიოდში (მაისი–სექტემბერი) ყოველ 14 დღეში ერთხელ. მცენარეების მდგომარეობა ფასდებოდა ვიზუალური შეფასების მეთოდით, 5-ბალიანი სკალით (0–5), სადაც: 0 – დაზიანება არ შეინიშნებოდა, 1–2 – სუსტი ინფექცია (ფოთლის ან ნაყოფის დაზიანება  $\leq 10\%$ ), 3–4 – საშუალო ინფექცია (10–30%), 5 – ძლიერი ინფექცია (დაზიანება  $>30\%$ ).

ყოველ ჯიშზე შეირჩა 10 ძირითადი მცენარე, რომლებზეც აღირიცხებოდა დაავადებებისა და მავნებლების სიმპტომები.

**მავნებელთა რაოდენობა აღირიცხა :** თითოეულ ჯიშზე 50 ფოთლისა და 50 ნაყოფის ნიმუში. აღირიცხა შეეხებოდა ძირითად მავნებლებს: ტკიპები (*Tetranychus urticae*), ბუგრები (*Aphis* spp.), ფოთლხვევიები (*Tortricidae* spp.). შენიშნული მწერები შეგროვდა როგორც ხელით, ისე ფერადი წებოვანი ხაფანგებით (ყვითელი — ბუგრებისთვის და თრიფსებისთვის, ლურჯი —

ტკიპებისთვის). მიღებული ნიმუშები შემდგომ იდენტიფიცირდა ლაბორატორიაში მიკროსკოპის ქვეშ სახეობების დონის დადგენამდე.

**სოკოვანი დაავადებების კვლევა; ვიზუალური დიაგნოსტიკა:** ფოთლების, ყლორტებისა და ნაყოფის ზედაპირზე სოკოვანი სიმპტომების რეგისტრაცია (ნაცარი, ფოთლის ლაქიანობა, ლპობა) **იზოლაცია და კულტივირება:** დაავადებული ქსოვილებისგან პათოგენური სოკოების გამოყოფა, მათი კულტივირება საკვებ არეზე (პეტრის ჭურჭელში) და მიკროსკოპული დათვალიერება მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით.

**ლაბორატორიული იდენტიფიკაცია:** გამოვლენილი პათოგენების იდენტიფიცირება ხდებოდა მიკროსკოპული მახასიათებლების საფუძველზე — *Erysiphe actinidiae*, *Fusarium* spp. და *Phytophthora* spp.

**ინფექციის გავრცელების შეფასება:** თითოეულ ნაკვეთში დგინდებოდა დაავადებული მცენარეების პროცენტული რაოდენობა. საკვლევი მასალა პერიოდულად მოწმდებოდა კლიმატური მონაცემების (ტემპერატურა, ნალექი, ტენიანობა) პარალელურად, რათა დადგინებულიყო გარემო პირობების გავლენა ინფექციის განვითარებაზე.

**ლაბორატორიული და სტატისტიკური დამუშავება** ლაბორატორიულად მიღებული მონაცემები დამუშავდა საშუალო მნიშვნელობების მიხედვით. შედეგები შედარებულ იქნა საერთაშორისო მონაცემებთან — პოლონეთის (Ochmian et al., 2019), კორეის (Cho et al., 2018) და ახალი ზელანდიის (McKenna et al., 2007) ანალოგიური კვლევების შედეგებთან, რაც შესაძლებელს ხდიდა რეგიონული თავისებურებების გამოვლენას და შედარებით შეფასებას.

#### 4. კვლევის შედეგების განხილვა

აღმოსავლეთ საქართველოს აგროეკოლოგიურ პირობებში ჩატარებულმა კვლევამ (ჯილაურა, 2023–2024) აჩვენა, რომ მინი კივი (*Actinidia arguta*) ზოგადად გამოირჩევა მაღალი რეზისტენტობით, თუმცა რიგი სოკოვანი დაავადებები და მავნებლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მცენარის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასა და ნაყოფის კომერციულ ხარისხზე.

**სოკოვანი დაავადებები:** ნაცრისფერი სიდამპლე (*Botrytis cinerea* Pers.) ნაცრისფერი სიდამპლე (*Botrytis cinerea* Pers. ex Fr.) ჯილაურას პირობებში დაავადება დაფიქსირდა ძირითადად ნაყოფის მომწიფების პერიოდში, განსაკუთრებით ნესტიან და ზომიერად თბილ დღეებში. ინფექცია ვითარდება ნაყოფის ზედაპირზე, იწვევს რბილ ლპობასა და ნაცრისფერ მიცელიუმურ საფარს. *Botrytis cinerea* გადარჩება ნამსხვრევებში და ინფიცირებულ მცენარეულ ნარჩენებში, რის გამოც რეკომენდებულია სანიტარული ჭრები და ინფიცირებული მასალის დროული მოცილება.

**ფხვნიერი სოკო (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.)** ფხვნიერი სოკოს სიმპტომები გამოვლინდა ფოთლებზე თეთრი ფქვილისებრი საფარის სახით, განსაკუთრებით ვეგეტაციის შუა პერიოდში. ინფექცია ხელს უწყობს ფოთლის ფოტოსინთეზის დაქვეითებას და ადრეულ დაჰქნობას. დაავადება აქტიურად ვლინდება ნესტიან და ზომიერად თბილ ამინდში, თუმცა ეპიდემიური განვითარების ტენდენცია არ შეინიშნებოდა. რეგულარული აგროტექნიკური ღონისძიებები და გვიანი ზაფხულის პრევენციული შეწამვლები ეფექტურია ინფექციის შესაკავებლად.



დაკვირვებებით დადგინდა, რომ ყველაზე მეტად დაზიანდა Issai ჯიში (ინფექციის სიხშირე 35–40%), შედარებით ნაკლებად — Ken's Red (25–28%) და Weiki (15–18%) და ჯუმბო

ცხრილი 1 წარმოგიდგენს მინი კივის ჯიშების (Issai, Ken's Red, Weik) სოკოვანი დაავადებების გავრცელებისა და ინტენსივობის მაჩვენებლებს.

ცხრილი 1. სოკოვანი დაავადებების გავრცელება (0–5 ბალიანი სისტემა)

ჯიში	ფხვიერი სოკო ( <i>Erysiphe actinidiae</i> )	ნაცრისფერი სიდამპლე ( <i>Botrytis cinerea</i> )	საშუალო მაჩვენებელი
Issai	3.7	3.2	3.63
Ken's Red	2.8	2.6	2.87
Jumbo	2.0	1.5	1.90
Weiki	1.6	1.4	1.60

დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მინი კივის (*Actinidia arguta* Planch.) ჯიშებს შორის სოკოვანი დაავადებების გავრცელება და ინტენსივობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე მეტად დაზიანდა 'Issai' ჯიში, რომლის ფოთლებზე და ნაყოფზე ფხვიერი სოკოს (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.) სიმპტომები გამოჩნდა ვეგეტაციის შუა და მეორე ნახევარში — ინფექციის სიხშირე შეფასდა 3.7 ბალით, ხოლო შავი ლპობის (*Botrytis cinerea* Pers. ex Fr.) ინტენსივობა 3.2 ბალით. დაავადება გამოიხატებოდა ფოთლის ზედაპირზე თეთრი მიცელიუმისებრი საფარით, რაც თანდათან იწვევდა ქსოვილების გამოშრობასა და ნაადრევ ფოთოლცვენას.

შედარებით დაბალი ინფექციური ზეწოლა აღინიშნებოდა 'Ken's Red'-ზე, სადაც ორივე დაავადების სიძლიერე შეფასეს საშუალო დონედ (2.6–2.8 ბალი), ხოლო 'Jumbo' და 'Weiki' გამოირჩეოდნენ ყველაზე მაღალი რეზისტენტობით. მათ შემთხვევაში დაავადება იყო სუსტად გამოხატული, რაც ასახავს მათ უკეთეს ეკოლოგიურ ადაპტაციას და ნაწილობრივ გენეტიკურ მდგრადობას.

საერთო ტენდენცია აჩვენებს, რომ ფხვიერი სოკო ჯიდაურას პირობებში ვლინდება უფრო აქტიურად, ვიდრე შავი ლპობა. ინფექციის განვითარებას ხელს უწყობს მაღალი ჰაერის ტენიანობა და ზომიერად თბილი ამინდები, რომლებიც დამახასიათებელია აგვისტო–სექტემბრის პერიოდისთვის.

მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ სოკოვანი ინფექციების კონტროლისას აუცილებელია რეგულარული მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებების გატარება — განსაკუთრებით ყველაზე მგრძნობიარე ჯიშებზე ('Issai' და ნაწილობრივ 'Ken's Red'). ამავე დროს, 'Jumbo' და 'Weiki' შეიძლება ჩაითვალოს შედარებით სტაბილურ გენოტიპებად, რომლებიც პერსპექტიულია საქართველოში მინი კივის სამრეწველო წარმოებისთვის.

**მაწველები: წითელი ობობა (ორწერტილა ტკიპა) – *Tetranychus urticae* Koch (Acari: Tetranychidae)** ტკიპების დაზიანება ვლინდებოდა ფოთლებზე ქლოროზული ლაქების წარმოქმნით, რომელიც მოგვიანებით ერთიანდებოდა და იწვევდა ფოთლის ნაადრევ ცვენას.



მავნებლის აქტიურობა იზრდებოდა ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე, განსაკუთრებით მშრალ ამინდში. 'Weiki' აღმოჩნდა ყველაზე მგრძნობიარე, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მათი ფოთლის სტრუქტურას და სიგლუვს.

**ბუგრები (*Aphis* spp., Hemiptera: Aphididae)**, ბუგრები გვხვდებოდა ძირითადად მცენარის ახალგაზრდა ყლორტებზე და ფოთლის ქვედა მხარეს. ისინი იკვებებოდნენ ფოთლის წვენიტ, რაც იწვევდა ფოთლის დეფორმაციასა და ზრდის შენელებას. მათი რაოდენობა პიკს აღწევდა ივნისის ბოლოს, ნესტიან პერიოდში.

**ფოთლხვევი (*Tortricidae* spp., Lepidoptera: Tortricidae)**, ფოთლხვევის ლარვები აზიანებდნენ ახალგაზრდა ფოთლებსა და ყლორტებს, რომლებიც ახვევდნენ ქსოვილებით ბუდესავით სტრუქტურებში და შიგნით იკვებებოდნენ. დაზიანება იწვევდა ფოთლის რულად დახვევას, დეფორმაციასა და ადგილობრივ გამხმარ უბნებს. ყველაზე ხშირი შემთხვევები აღინიშნებოდა ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში,

ჯიშებს შორის აღინიშნა მნიშვნელოვანი სხვაობა როგორც დაავადებებისადმი, ისე მავნებლებისადმი გამძლეობაში: Ken's Red — გამოირჩევა შედარებით მაღალი რეზისტენტობით როგორც ნაცრის, ისე ფუზარიოზის მიმართ; Weiki მგრძნობიარეა ფუზარიოზისა და თრიფსების მიმართ; Issai ადრეულად ზიანდება ტკიპებითა და ნაცარით.

ცხრილი 2 წარმოგიდგენს მინი კივის ჯიშების (Issai, Ken's Red, Weiki, Jumbo) მავნებლების მავნეობის მაჩვენებლებს.

**ცხრილი 2.** მავნებელთა დაზიანების ინტენსივობა (0–5 ბალიანი სისტემა)

ჯიში	წითელი ობობა ( <i>Tetranychus urticae</i> )	ბუგრები ( <i>Aphis</i> spp.)	ფოთლხვევი ( <i>Tortricidae</i> spp.)	საშუალო მაჩვენებელი
Issai	2.6	2.5	2.4	2.5
Ken's Red	1.0	1.1	0.9	1.0
Weiki	1.8	1.6	1.4	1.6
Jumbo	2.4	2.1	2.2	2.2

დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ მინი კივის (*Actinidia arguta* Planch.) ჯიშებს შორის მავნებელთა გავრცელება და ზემოქმედების ინტენსივობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე მეტად დაზიანდა 'Issai' ჯიში, სადაც განსაკუთრებით გამოვლინდა წითელი ობობის ანუ ორწერტილა ტკიპის (*Tetranychus urticae* Koch) მოქმედება, რომელიც აქტიურდებოდა ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე.

ფოთლებზე აღინიშნებოდა ქლოროზული ლაქები, ქსოვილის გამოშრობა და ნაადრევი ცვენა. მავნებლის გავრცელება შეფასდა საშუალო დონედ (2.5 ბალი), თუმცა ცალკეულ მცენარეებზე აღინიშნებოდა ლოკალური მაღალი დაზიანება მშრალი და ცხელი ამინდების პირობებში.

'Weiki' ჯიშზე ტკიპის ზემოქმედება იყო შედარებით ნაკლებად გამოხატული (1,6 ბალი), თუმცა დაზიანების ნიშნები მაინც შეინიშნებოდა მცენარის ქვედა ფოთლებზე. 'Jumbo' და განსაკუთრებით 'Ken's Red' ჯიშზე მავნებელთა გავრცელება იყო დაბალი (1.0 ბალი), რაც მიუთითებს მისი უკეთეს რეზისტენტობაზე.

ბუგრები (*Aphis* spp., Hemiptera: Aphididae) ფიქსირდებოდა ძირითადად ახალგაზრდა ყლორტებზე და ფოთლის ქვედა მხარეს. მათი რაოდენობა პიკს აღწევდა ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში — ნესტიან ამინდებში. ბუგრების ზემოქმედება შეფასდა საშუალო ინტენსივობით 'Issai'-სა და 'Jumbo'-ზე, ხოლო 'Kens Red' და 'Weiki' გამოირჩეოდნენ შედარებით დაბალი დაზიანებით. ფოთლხვევის (*Tortricidae* spp., Lepidoptera: Tortricidae) ლარვები აზიანდნენ ფოთლებს და იწვევდნენ მათი დეფორმაციას, თუმცა მათი გავრცელება ჯილაურაში იყო სუსტად გამოხატული (1.4–2.4 ბალი).

საერთო ტენდენცია აჩვენებს, რომ მავნებელთა აქტიურობა მკვეთრად იყო დამოკიდებული მეტეოროლოგიურ პირობებზე — ტკიპა მეტად გავრცელდა მშრალ და ცხელ ამინდებში, მაშინ როცა ბუგრები და ფოთლხვევები — უფრო ნესტიან პერიოდში. ამგვარი სეზონური დინამიკა შეესაბამება სხვა ტემპერატურ ზონებში ჩატარებულ კვლევებსაც (Cho et al., 2018; Park et al., 2016; McKenna et al., 2007; Biasi et al., 2019), სადაც მავნებლების განვითარების პიკები ემთხვევა ვეგეტაციის შუა ფაზას.


შედარებითად, კორეისა და ახალი ზელანდიის მონაცემებით, *Tetranychus urticae* ხშირად აღწევს ეკონომიკური ზიანის ზღვარს მგრძნობიარე ჯიშებში ('Issai' და 'Mitsuko'), განსაკუთრებით მაშინ, როცა ტემპერატურა აღემატება 28 °C-ს და ტენიანობა დაბალია (McKenna et al., 2007; Cho et al., 2018).

ჯილაურაში მიღებული საშუალო მაჩვენებლები (1.0–2.5 ბალი) მიუთითებს უფრო დაბალ ზეწოლაზე, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ადგილობრივი მიკროკლიმატით — კარგი აერაციით, ზომიერი ტემპერატურით და რეგულარული აგროტექნიკური ღონისძიებებით.

მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოს პირობებში მავნებელთა ზეწოლა ჯიშებს შორის განსხვავებულია, მაგრამ საერთო დონე დაბალი–საშუალოა და ეკონომიკური ზიანის რისკი მცირეა. შესაბამისად, ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების (IPM) ფარგლებში საკმარისია რეგულარული მონიტორინგი, სანიტარული ჭრები და ბიოპრეპარატების გამოყენება პრევენციული ხასიათით.


გრაფიკები ნახაზ 1-ზე და 2-ზე ნათლად გვიჩვენებს პათოგენების მიერ ჯიშების დაზიანებას.

გრაფიკი 1. სოკოვანი დაავადებების ინტენსივობა მინი კივის ჯიშებში (0–5 ბალიანი სისტემა)



### ნახ. 1. სოკოვანი დაავადებების ინტენსივობა მინი კივის ჯიშებში

გრაფიკი ნახაზ 1-ზე გვიჩვენებს მინი კივის (*Actinidia arguta*) ჯიშების სოკოვანი დაავადებების ინტენსივობა ჯილაურის პირობებში (2023–2024 წწ.) საშუალო ინფექციის ინტენსივობა (0–5 ბალიანი სისტემა) ასახავს ფხვიერი სოკოს (*Erysiphe actinidiae*) და ნაცრისფერი სიდამპლის (*Botrytis cinerea*) გავრცელებას. ყველაზე მგრძნობიარე აღმოჩნდა ჯიში 'Issai' (საშუალო მაჩვენებელი = 3.63), მას მოსდევს 'Ken's Red', ხოლო 'Jumbo' და 'Weiki' გამოირჩევიან შედარებით მაღალი რეზისტენტობით. ფხვიერი სოკო ჯილაურას პირობებში ვლინდებოდა უფრო ინტენსიურად, ვიდრე ნაცრისფერი სიდამპლე, რაც დაკავშირებულია აგვისტო–სექტემბრისთვის დამახასიათებელ ზომიერად თბილ და ტენიან პირობებთან.



### ნახ. 2. მავნებლებზე მცენარის მგრძნობელობა

ნახაზ 2-ის გრაფიკზე წარმოდგენილია მინი კივის (*Actinidia arguta*) ჯიშების მავნებლებით დაზიანების ინტენსივობა აღმოსავლეთ საქართველოს აგროეკოლოგიურ პირობებში (2023–2024 წწ.) საშუალო დაზიანების დონე (0–5 ბალიანი სისტემა) წარმოდგენილია ორწერტილა ტკიპისთვის (*Tetranychus urticae*), ბუგრებისთვის (*Aphis* spp.) და ფოთლხვევისთვის (*Tortricidae* spp.). ყველაზე მეტად დაზიანდა ჯიში 'Issai' (საშუალო მაჩვენებელი = 2.5), განსაკუთრებით ორწერტილა ტკიპის ზემოქმედებით, მაშინ როცა 'Ken's Red' და 'Weiki' გამოირჩეოდნენ დაბალი მავნებლური ზეწოლით. მავნებელთა აქტიურობა მკვეთრად იყო დამოკიდებული მეტეოროლოგიურ პირობებზე: ტკიპა უფრო აქტიურად გავრცელდა ცხელი და მშრალი ამინდებისას, ხოლო ბუგრები და ფოთლხვევები — ნესტიან პერიოდში.

გრაფიკები ცხადად აჩვენებს, რომ 'Issai' ყველაზე მეტად მგრძნობიარეა როგორც სოკოვანი ინფექციების, ისე მავნებლების მიმართ, ხოლო 'Ken's Red' გამოირჩევა ყველაზე მაღალი რეზისტენტობით.

დამატებით, დაკვირვების პერიოდში აღინიშნებოდა ქარის ზიანი და ქლოროზი, რომლებიც წარმოადგენენ მინი კივისთვის მნიშვნელოვან აბიოტურ სტრესფაქტორებს. ქარი, განსაკუთრებით მაის–აგვისტოს პერიოდში, ხშირად იწვევდა ლიანების ფიზიკურ დაზიანებას, ახალგაზრდა ყლორტებისა და ფოთლების მტვრევას და მოუმწიფებელი ნაყოფის ჩამოცვენას. მიუხედავად იმისა, რომ ჯილაურას ადგილობრივი კლიმატი გამოირჩევა სუსტიდან ზომიერ ქარების დინამიკით, განმეორებითი მიკროფრონტები, განსაკუთრებით ნაყოფის განვითარების ეტაპზე, მაინც ახდენენ გავლენას მცენარის სტრუქტურასა და მოსავლის სტაბილურობაზე. მსგავსი ზემოქმედება აღწერილია სხვა რეგიონებშიც, სადაც დადასტურდა, რომ *A. arguta* არ გამოირჩევა ძლიერი ქარისადმი მდგრადობით, ხოლო მაღალი სიჩქარის ქარები ყვავილობისა და ნაყოფის ფორმირების პერიოდში მნიშვნელოვნად ამცირებენ მოსავალს (Ma et al., 2021). ქარის სტრესმა ასევე შეიძლება გაზარდოს ტრანსპირაციის დონე და მცენარის წყლის მოთხოვნა, რაც იწვევს ნაყოფის ზედაპირზე ბზარებსა და ტენიანობის დეფიციტს (ISHS, 2011).

ქლოროზი გამოვლინდა ფოთლების ქსოვილების გაცვითლებითა და მწვანე ძარღვების შენარჩუნებით, რაც მიუთითებს ფოტოსინთეზის პროცესის დარღვევაზე. აღნიშნული ფენომენი ძირითადად უკავშირდება ნიადაგის ტუტე რეაქციას ( $\text{pH} > 7.5$ ) და მიკროელემენტების, განსაკუთრებით რკინის (Fe), თუთიის (Zn) და მანგანუმის (Mn) დეფიციტს (Rombolà et al., 2002). მსგავსი მექანიზმები აღწერილია სხვა კივი-სახეობებშიც, სადაც რკინის ნაკლებობა ამცირებს ქლოროფილის სინთეზს, აჩერებს ზრდას და ზღუდავს ნაყოფის ბიოქიმიურ მომწიფებას (Baldi et al., 2024). შედეგად, ჯილაურას პირობებში რკინის დეფიციტის მართვა და ნიადაგის რეგულარული ქიმიური მონიტორინგი წარმოადგენს აუცილებელ ღონისძიებას ფოთლის ჯანმრთელობისა და მოსავლიანობის შესანარჩუნებლად.

მიღებული შედეგები შეესაბამება საერთაშორისო დაკვირვებებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ქარისა და ნიადაგის მიკროელემენტურ ბალანსთან დაკავშირებული სტრესების გადამწყვეტ გავლენას *Actinidia arguta*-ს ზრდასა და მოსავლიანობაზე (Ma et al., 2021; Rombolà et al., 2002; Baldi et al., 2024). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჯილაურას პირობებში დაფიქსირებული საშუალო ტენიანობა და სუსტი–ზომიერი ქარის რეჟიმი საერთო ჯამში ხელსაყრელ ფონს ქმნის მინი კივის კულტივაციისა და გენოტიპების ადაპტაციისთვის, რაც ხაზს უსვამს რეგიონის პოტენციალს ამ კულტურის სამრეწველო განვითარების თვალსაზრისით.

## 5. დასკვნები

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მინი კივი ზოგადად ნაკლებად ზიანდება მწერებით, თუმცა სოკოვანი ინფექციები — განსაკუთრებით წარმოადგენენ მთავარ საფრთხეს, განსაკუთრებით ნესტიან და ცვალებად ამინდებში. ეს მონაცემები თანხვედრაშია კორეისა და პოლონეთის ანალოგიურ კვლევებთან, თუმცა განსხვავებით იმ ქვეყნებისა, საქართველოში მავნებელთა ზეწოლა შედარებით დაბალია, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს კლიმატითა და ბიომრავალფეროვნებით.

მიღებული მონაცემები ჯილაურას პირობებში ადასტურებს, რომ მინი კივი შეიძლება ჩაითვალოს პერსპექტიულ კულტურად საქართველოსთვის. მისი საერთო მდგრადობა სოკოვანი და ენტომოლოგიური ზეწოლისადმი, აგრეთვე ზომიერი კლიმატური პირობები ქმნის ხელსაყრელ გარემოს კომერციული ბაღების განვითარებისთვის.

საჭიროა გაგრძელებული მონიტორინგი და ინტეგრირებული დაცვის სისტემების (IPM)

დანერგვა, რომელიც გააუმჯობესებს მცენარის ჯანმრთელობას, შეამცირებს ქიმიური ჩარევის საჭიროებას და ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად მდგრადი წარმოების ჩამოყალიბებას საქართველოში.

### ლიტერატურა:

- Baldi, E., Pastore, C., Chiarelli, G., Quartieri, M., Spinelli, F., & Toselli, M. (2024). *Molecular responses to drought and waterlogging stresses of kiwifruit (Actinidia chinensis var. deliciosa) potted vines*. Horticulturae, 10(8), 834. <https://doi.org/10.3390/horticulturae10080834>
- Biasi, W. V., Ferguson, A. R., & Miller, S. A. (2019). *Postharvest handling and quality of hardy kiwifruit (Actinidia arguta)*. Acta Horticulturae, 1256, 105–112. <https://doi.org/10.17660/ActaHortic.2019.1256.13>
- Bobokashvili, Z., Maghlakelidze, E., & Kvaliashvili, K. (2021). *Preliminary evaluation of Actinidia arguta cultivars under Eastern Georgian climatic conditions*. Bulletin of the Scientific-Research Center of Agriculture, 19(2), 33–40.
- Cho, M. S., Kim, J. G., Park, K. S., & Lee, J. H. (2018). *Occurrence of major pests and diseases on hardy kiwifruit (Actinidia arguta) in Korea*. Korean Journal of Horticultural Science & Technology, 36(5), 671–679. <https://doi.org/10.7235/hort.2018.18058>
- International Society for Horticultural Science (ISHS). (2011). *Fruit transpiration increases with wind speed*. Acta Horticulturae, 913, 51–56. [https://www.ishs.org/ishs-article/913\\_51](https://www.ishs.org/ishs-article/913_51)
- Ma, Y., Wang, Z., Zhang, H., Yang, H., & Zhang, Z. (2021). *Prediction of potential geographical distribution patterns for Actinidia arguta under climate change*. Sustainability, 13(6), 3526. <https://doi.org/10.3390/su13063526>
- McKenna, C. E., Fraser, J., & Robinson, D. (2007). *Pest and disease management in hardy kiwifruit (Actinidia arguta) orchards in New Zealand*. New Zealand Journal of Crop and Horticultural Science, 35(3), 245–254.
- Park, K. S., Lee, J. H., & Kim, J. G. (2016). *Occurrence and control of powdery mildew and gray mold in Actinidia arguta orchards*. Journal of Agriculture and Life Science, 50(4), 41–49.
- Rombolà, A. D., Brüggemann, W., López-Millán, A. F., Tagliavini, M., Abadía, J., Marangoni, B., & Moog, P. R. (2002). *Biochemical responses to iron deficiency in kiwifruit (Actinidia deliciosa)*. Tree Physiology, 22(12), 869–875. <https://doi.org/10.1093/treephys/22.12.869>
- Testolin, R., & Ferguson, A. R. (2009). *Kiwifruit (Actinidia spp.) production and research trends*. New Zealand Journal of Crop and Horticultural Science, 37(1), 1–17. <https://doi.org/10.1080/01140670909510247>



## Mini Kiwi (*Actinidia arguta*) Diseases and Pests in the Agroecological Conditions of Eastern Georgia

Tinatini Gogishvili<sup>1</sup>, Ludmila Tskhvedadze<sup>2</sup>, Elene Maghlakelidze<sup>2</sup>, Nino Chikhradze<sup>3</sup>

<sup>1</sup> Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

<sup>2</sup> LEPL Scientific Research Center of Agriculture, Tbilisi, Georgia

<sup>3</sup> Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

**Abstract.** Mini kiwi (*Actinidia arguta* Planch.) is a promising fruit crop characterized by high nutritional value, ecological stability, and good adaptation to climatic conditions. Despite the growing interest in this crop, especially in the eastern regions of Georgia, data on the cultivation, pests, and diseases are scarce.

Field observations conducted in the collection garden of the LEPL Scientific-Research Center of Agriculture (Jighaura village, Mtskheta municipality) in 2023–2024 established that mini kiwi generally exhibits high resistance to pests and diseases. However, a number of fungal pathogens and insects pose a significant risk to this crop.

The main diseases identified were Gray Mold (*Botrytis cinerea* Pers.) and Powdery Mildew (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.). Pests observed included Aphids (*Aphis* spp., Hemiptera: Aphididae), Two-Spotted Spider Mite (*Tetranychus urticae* Koch (Acari: Tetranychidae), and Leafrollers (*Tortricidae* spp., Lepidoptera: Tortricidae), indicating a weak spread of pests overall.

Diseases were more intense during the fruit ripening period, while pest activity increased in dry and warm weather. Additionally, wind damage and chlorosis were noted as significant abiotic stress factors for the plant. Wind frequently causes physical damage to the vines and fruit drop. Iron chlorosis is caused by the alkaline reaction of the soil and a lack of micronutrients, which limits the plant's photosynthetic activity.

The results indicate that mini kiwi in Georgia exhibits general resistance to the complex of pests and diseases. Nevertheless, their timely identification and the implementation of integrated protection measures are necessary to ensure the sustainable development of the crop.

**Keywords:** Cultivar, Fungus, Pathogen, Abiotic, Pest

### 1. Introduction

Mini kiwi (*Actinidia arguta* Planch. ex Miq.), or "kiwi-berry," is a new and growing commercial crop distinguished by small-sized (5–20 g) fruit with smooth, edible skin. It is widely cultivated in New Zealand, Japan, Korea, Poland, and the USA, where the main production goal is to obtain high-quality export products (Testolin & Ferguson, 2009; Krawczyk et al., 2017).

Experience in New Zealand production has shown that the crop is susceptible to various pests, particularly leafrollers (*Tortricidae* spp.), thrips (*Thrips tabaci* Lind.), scale insects (*Coccidae* spp.), and mites (*Tetranychus urticae* Koch). Fruit loss in some farms reached 20% or more, presenting a serious challenge to production (McKenna et al., 2007; Biasi et al., 2019). Pest control requires a well-planned protection system that ensures the minimization of chemical residues and ecological safety (Ferguson, 2016).

Among fungal diseases, Gray Mold (*Botrytis cinerea* Pers. ex Fr.), Phytophthora root and stem rot (*Phytophthora cactorum* (Leb. & Cohn) Schröt.), Sclerotinia rot (*Sclerotinia sclerotiorum* (Lib.) de Bary), and Powdery Mildew (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.) are particularly dangerous. These diseases damage leaves, shoots, and fruit, significantly reducing crop quality (Cho et al., 2018; Park et al., 2016; Cavalieri et al., 2020).

The main bacterial pathogen is *Pseudomonas syringae* pv. *actinidiae* (Takikawa et al., 1989), which causes bacterial blight—especially harmful to other kiwi species (*A. deliciosa* and *A. chinensis*). However, infection is relatively rare on mini kiwi (*A. arguta*) (Vanneste, 2017). Such cases have not yet been recorded in Georgia. Mini kiwi is also damaged by root-knot nematodes (*Meloidogyne* spp.), which form nodules on the roots and hinder growth and nutrient uptake, although such cases have not been identified in Georgian conditions (Bobokashvili et al., 2021).

Wind is one of the main stress factors for *A. arguta*, especially at the beginning of the growing season and during fruit development. It causes scratches and scars on the fruit surface, and the breaking and shedding of young shoots and leaves, which significantly reduces the commercial quality of the fruit (Testolin & Ferguson, 2009).

Mini kiwi is moderately sensitive to iron deficiency, particularly in calcareous or alkaline soils (pH > 7.5). In this case, leaf size and shoot growth are reduced, and the tissue of young leaves turns yellow, while the veins remain green—a characteristic symptom of iron chlorosis (Park et al., 2016; Krawczyk et al., 2017).

Preliminary studies conducted in Georgia (Bobokashvili, Maghlakelidze & Kvaliashvili, 2021) confirm that *A. arguta* adapts well to the soil and climatic conditions of Eastern Georgia. However, a number of fungal diseases and pests still pose a serious risk. This situation highlights the necessity of targeted monitoring and the development of integrated protection measures, which will lay the foundation for the sustainable production of mini kiwi in Georgia.

## 2. Research aim and objectives

Research Aim: To identify the main pests and fungal diseases of mini kiwi (*Actinidia arguta* Planch.), study their intensity of spread and development conditions under the agroecological conditions of Eastern Georgia, and define effective and ecologically safe protection strategies for this crop.

Research Objectives:

- Identification and description of the main fungal pathogens (*Erysiphe actinidiae*, *Fusarium* spp., *Phytophthora* spp.) in mini kiwi (*Actinidia arguta*) orchards.
- Assessment of the frequency of disease and pest spread across different cultivars and vegetative phases.
- Determination of the influence of climatic factors (temperature, humidity, precipitation) on the dynamics of pathogen and pest development.
- Comparison of the results obtained with international data (Poland, Korea, New Zealand) for the purpose of optimizing the mini kiwi protection system.
- Recommendation of the basic principles of Integrated Pest Management (IPM)—combining sanitary, agro-technical, and biological methods.

## 3. Research object and methodology

The **research object** is a collection of mini kiwi (*Actinidia arguta* Planch.) cultivars established in the collection garden of the LEPL "Scientific-Research Center" (Jighaura village, Mtskheta municipality, Eastern Georgia). During the research period (2023–2024), the introduced cultivars 'Weiki', 'Ken's Red', 'Jumbo', and 'Issai' were studied under local conditions.

The study was conducted in the collection garden of the LEPL Scientific-Research Center of Agriculture (Jighaura village, Mtskheta municipality) in 2023–2024, on plantations of three mini kiwi (*Actinidia arguta*) cultivars: 'Ken's Red', 'Jumbo', and 'Issai'. The aim was to identify pests and main fungal diseases, and to study the intensity of their spread and development conditions under the agroecological conditions of Eastern Georgia.

**Observations** were carried out every 14 days during the vegetation period (May–September). The condition of the plants was assessed using a visual evaluation method on a **5-point scale (0–5)**, where: **0** – no

damage was observed, **1–2** – weak infection (damage to leaf or fruit  $\leq 10\%$ ), **3–4** – moderate infection (10–30%), **5** – severe infection (damage  $> 30\%$ ). Ten primary plants were selected for each cultivar, and symptoms of diseases and pests were recorded on them.

The **number of pests** was recorded in 50 leaf and 50 fruit samples for each cultivar. The recording covered the main pests: mites (*Tetranychus urticae*), aphids (*Aphis* spp.), and leafrollers (*Tortricidae* spp.). Noticed insects were collected both by hand and with colored sticky traps (yellow for aphids and thrips, blue for mites). The collected samples were subsequently identified in the laboratory under a microscope down to the species level.

#### **Fungal Disease Research:**

**Visual Diagnostics:** Recording fungal symptoms on the surface of leaves, shoots, and fruits (powdery mildew, leaf spot, rot).

**Isolation and Cultivation:** Isolation of pathogenic fungi from diseased tissues, their cultivation on nutrient media (in Petri dishes), and microscopic examination based on morphological signs.

**Laboratory Identification:** Identification of the revealed pathogens based on microscopic characteristics—*Erysiphe actinidiae*, *Fusarium* spp., and *Phytophthora* spp..

**Assessment of Infection Spread:** The percentage of diseased plants was determined in each plot.

The study material was periodically checked in parallel with climatic data (temperature, precipitation, humidity) to establish the influence of environmental conditions on infection development.

#### **Laboratory and Statistical Processing**

Laboratory data were processed according to mean values. The results were compared with international data—analogue research results from Poland (Ochmian et al., 2019), Korea (Cho et al., 2018), and New Zealand (McKenna et al., 2007)—which allowed for the identification of regional specificities and comparative assessment.

## **4. Discussion of Research Results**

The study conducted under the agroecological conditions of Eastern Georgia (Jighaura, 2023–2024) showed that mini kiwi (*Actinidia arguta*) generally exhibits high resistance. However, a number of fungal diseases and pests significantly affect the plant's physiological state and the commercial quality of the fruit.

#### **Fungal Diseases**

Gray Mold (*Botrytis cinerea* Pers.)

Gray mold (*Botrytis cinerea* Pers. ex Fr.) was recorded in Jighaura mainly during the fruit ripening period, especially on humid and moderately warm days. The infection develops on the fruit surface, causing soft rot and a grayish mycelial covering. *Botrytis cinerea* survives in debris and infected plant residues, therefore, sanitary pruning and timely removal of infected material are recommended.

Powdery Mildew (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.)

Symptoms of powdery mildew appeared on the leaves as a white, flour-like coating, particularly in the middle of the growing season. The infection contributes to a decrease in leaf photosynthesis and early wilting. The disease actively manifests in humid and moderately warm weather, although an epidemic development trend was not observed. Regular agro-technical measures and preventive late-summer spraying are effective in containing the infection.

Observations established that the 'Issai' cultivar was the most damaged (infection frequency 35–40%), while 'Ken's Red' (25–28%) and 'Weiki' (15–18%) and 'Jumbo' were relatively less damaged. Table 1 presents the indicators of fungal disease spread and intensity for the mini kiwi cultivars ('Issai', 'Ken's Red', 'Weiki', 'Jumbo').

**In Table 1**, the prevalence and intensity of fungal diseases in mini kiwi varieties (Issai, Ken's Red, Weik) are presented.

**Table 1.** Fungal Diseases Spread (0–5- point system)

Cultivar	Powdery Mildew ( <i>Erysiphe actinidiae</i> )	Gray Mold ( <i>Botrytis cinerea</i> )	Mean Index
Issai	3.7	3.2	3.63
Ken's Red	2.8	2.6	2.87
Jumbo	2.0	1.5	1.90
Weiki	1.6	1.4	1.60

The observation results established a significant difference in the spread and intensity of fungal diseases among mini kiwi (*Actinidia arguta* Planch.) cultivars. The ‘Issai’ cultivar was the most damaged. Symptoms of powdery mildew (*Erysiphe actinidiae* U. Braun & S. Takam.) appeared on its leaves and fruit in the middle and second half of the growing season—the infection frequency was assessed at 3.7 points, and the intensity of gray mold (*Botrytis cinerea* Pers. ex Fr.) at 3.2 points. The disease was characterized by a white mycelial covering on the leaf surface, which gradually led to tissue desiccation and premature leaf drop.

Relatively lower infectious pressure was observed on ‘Ken’s Red’, where the severity of both diseases was assessed as moderate (2.6–2.8 points). ‘Jumbo’ and ‘Weiki’ exhibited the highest resistance. In their case, the disease was weakly expressed, reflecting their better ecological adaptation and partial genetic resistance.

The general trend shows that powdery mildew is more active in Jighaura conditions than gray mold. The development of the infection is promoted by high air humidity and moderately warm weather, which are characteristic of the August–September period.

The obtained data indicate that regular monitoring and implementation of preventive measures are necessary for the control of fungal infections—especially on the most susceptible cultivars (‘Issai’ and partially ‘Ken’s Red’). At the same time, ‘Jumbo’ and ‘Weiki’ can be considered relatively stable genotypes, which are promising for the industrial production of mini kiwi in Georgia.

**Pests: Red Spider Mite (Colon Tick) – *Tetranychus urticae* Koch (Acari: Tetranychidae)** Mite damage was manifested by the formation of chlorotic spots on the leaves, which later merged and caused premature leaf drop. Pest activity increased from the second half of July to mid-August, especially in dry weather. ‘Weiki’ turned out to be the most susceptible, which may be related to its leaf structure and smoothness.

**Aphids (Aphis spp., Hemiptera: Aphididae)**

Aphids were mainly found on the plant’s young shoots and the underside of the leaves. They fed on leaf sap, which caused leaf deformation and slowed growth. Their numbers peaked at the end of June, during the humid period.

**Leafrollers (Tortricidae spp., Lepidoptera: Tortricidae)**

Leafroller larvae damaged young leaves and shoots, which they rolled into nest-like structures with webbing and fed inside. The damage caused leaves to roll up, become deformed, and have local dried-out areas. The most frequent cases were recorded at the end of June and the beginning of July.

A significant difference in resistance to both diseases and pests was noted among the cultivars:

- ‘Ken’s Red’ – exhibits relatively high resistance to both powdery mildew and Fusarium.
- ‘Weiki’ – susceptible to Fusarium and thrips.
- ‘Issai’ – damaged early by mites and powdery mildew.

Table 2 presents the indicators of pest damage intensity for the mini kiwi cultivars (‘Issai’, ‘Ken’s Red’, ‘Weiki’, ‘Jumbo’).

**Table 2.** Pests Damage Intensity (0–5-point system)

Cultivar	Red Spider ( <i>Tetranychus urticae</i> )	Aphids ( <i>Aphis spp.</i> )	Leafroller ( <i>Tortricidae spp.</i> )	Mean Index
Issai	2.6	2.5	2.4	2.5
Ken's Red	1.0	1.1	0.9	1.0
Weiki	1.8	1.6	1.4	1.6
Jumbo	2.4	2.1	2.2	2.2

The observation results established a significant difference in the spread and impact intensity of pests among mini kiwi (*Actinidia arguta* Planch.) cultivars. The ‘**Issai**’ cultivar was the most damaged. The action of the two-spotted spider mite (*Tetranychus urticae* Koch), in particular, was evident, becoming active from the second half of July to mid-August. Chlorotic spots, tissue desiccation, and premature leaf drop were noted on the leaves. The spread of the pest was assessed as moderate (2.5 points), although localized high damage was noted on individual plants under dry and hot weather conditions.

The impact of mites on the ‘Weiki’ cultivar was relatively less pronounced (1.6 points), though signs of damage were still observed on the lower leaves of the plant. The spread of pests on the ‘Jumbo’ and especially ‘Ken’s Red’ cultivars was low (1.0 point), which indicates their better resistance.

Aphids (*Aphis spp.*, Hemiptera: Aphididae) were recorded mainly on young shoots and the underside of the leaves. Their numbers peaked at the end of June and the beginning of July—in humid weather. The impact of aphids was assessed as moderate intensity on ‘Issai’ and ‘Jumbo’, while ‘Ken’s Red’ and ‘Weiki’ exhibited relatively low damage.

Leafroller (*Tortricidae spp.*, Lepidoptera: Tortricidae) larvae damaged the leaves and caused their deformation, but their spread in Jighaura was weakly expressed (1.4–2.4 points).


The general trend shows that pest activity was strongly dependent on meteorological conditions—mites spread more actively in dry and hot weather, while aphids and leafrollers were more prevalent during the humid period. Such seasonal dynamics correspond to studies conducted in other temperate zones (Cho et al., 2018; Park et al., 2016; McKenna et al., 2007; Biasi et al., 2019), where the peaks of pest development coincide with the mid-vegetation phase.

Comparatively, according to data from Korea and New Zealand, *Tetranychus urticae* often reaches the economic injury level in susceptible cultivars (‘Issai’ and ‘Mitsuko’), especially when the temperature exceeds 28°C and humidity is low (McKenna et al., 2007; Cho et al., 2018). The average indices obtained in Jighaura (1.0–2.5 points) indicate lower pressure, which is likely due to the local microclimate—good aeration, moderate temperature, and regular agro-technical measures.

The results confirm that pest pressure in Georgian conditions varies between cultivars, but the overall level is low to moderate, and the risk of economic damage is minor. Accordingly, within the framework of Integrated Pest Management (IPM), regular monitoring, sanitary pruning, and the use of biopreparations for prevention are sufficient.


Figures 1 and 2 clearly show the damage to the cultivars by pathogens. The graph in Figure 1 shows the intensity of fungal diseases on mini kiwi (*Actinidia arguta*) cultivars under Jighaura conditions (2023–2024). The average infection intensity (0–5 point system) reflects the spread of Powdery Mildew (*Erysiphe actinidiae*) and Gray Mold (*Botrytis cinerea*). The most susceptible cultivar was ‘Issai’ (mean index = 3.63), followed by ‘Ken’s Red’, while ‘Jumbo’ and ‘Weiki’ exhibited relatively high resistance. Powdery mildew was more intense in Jighaura conditions than gray mold, which is related to the moderately warm and humid conditions characteristic of the August–September period.





**Fig. 1.** Intensity of fungal diseases in mini kiwi cultivars

The graph in Figure 2 shows the pest damage intensity on mini kiwi (*Actinidia arguta*) cultivars under the agroecological conditions of Eastern Georgia (2023–2024). The average damage level (0–5 point system) is presented for the two-spotted spider mite (*Tetranychus urticae*), aphids (*Aphis* spp.), and leafrollers (*Tortricidae* spp.). The most damaged cultivar was ‘Issai’ (mean index = 2.5), especially due to the impact of the two-spotted spider mite, while ‘Ken’s Red’ and ‘Weiki’ exhibited low pest pressure. Pest activity was strongly dependent on meteorological conditions: mites spread more actively during hot and dry weather, while aphids and leafrollers were more prevalent during the humid period.



**Fig. 2.** Susceptibility of mini kiwi cultivars to pests

The graphs clearly show that ‘Issai’ is the most susceptible to both fungal infections and pests, while ‘Ken’s Red’ exhibits the highest resistance.

Additionally, wind damage and chlorosis were noted during the observation period, which are significant abiotic stress factors for mini kiwi.

Wind, especially during the May–August period, frequently caused physical damage to the vines, the breaking of young shoots and leaves, and the shedding of unripe fruit. Although the local climate of Jighaura is characterized by weak to moderate wind dynamics, repeated microfronts, particularly during the fruit development stage, still affect the plant structure and crop stability. Similar effects are described in other regions, where it was confirmed that *A. arguta* is not resistant to strong winds, and high-speed winds during the flowering and fruit formation periods significantly reduce the harvest (Ma et al., 2021). Wind stress can also increase the level of transpiration and the plant's water demand, leading to cracks on the fruit surface and moisture deficit (ISHS, 2011).

Chlorosis was manifested by the yellowing of leaf tissues while the green veins were preserved, indicating a disruption of the photosynthetic process. This phenomenon is mainly linked to the alkaline reaction of the soil ( $\text{pH} > 7.5$ ) and a deficit of micronutrients, especially **iron** (Fe), zinc (Zn), and manganese (Mn) (Rombolà et al., 2002). Similar mechanisms are described in other kiwi species, where iron deficiency reduces chlorophyll synthesis, stops growth, and limits the biochemical ripening of the fruit (Baldi et al., 2024). Consequently, the management of iron deficiency and regular chemical monitoring of the soil in Jighaura conditions are necessary measures to maintain leaf health and yield.

The obtained results align with international observations that emphasize the crucial impact of stresses related to wind and soil micronutrient balance on the growth and yield of *Actinidia arguta* (Ma et al., 2021; Rombolà et al., 2002; Baldi et al., 2024). Furthermore, it is noteworthy that the average humidity and weak-to-moderate wind regime recorded in Jighaura conditions generally create a favorable background for mini kiwi cultivation and the adaptation of genotypes, which underscores the region's potential for the industrial development of this crop.

## 5. Conclusions

The results show that mini kiwi in the conditions of Eastern Georgia is generally less damaged by insects. However, fungal infections—especially powdery mildew—represent the main threat, particularly in humid and changeable weather. This data is consistent with analogous studies in Korea and Poland. However, unlike those countries, pest pressure is relatively lower in Georgia, which may be due to the climate and biodiversity.

The data obtained in Jighaura conditions confirm that mini kiwi can be considered a promising crop for Georgia. Its general resistance to fungal and entomological pressure, as well as the moderate climatic conditions, create a favorable environment for the development of commercial orchards.

Continued monitoring and the implementation of Integrated Pest Management (IPM) systems are necessary. This will improve plant health, reduce the need for chemical intervention, and promote the establishment of ecologically sustainable production in Georgia.

## References:

- Baldi, E., Pastore, C., Chiarelli, G., Quartieri, M., Spinelli, F., & Toselli, M. (2024). *Molecular responses to drought and waterlogging stresses of kiwifruit (*Actinidia chinensis* var. *deliciosa*) potted vines*. *Horticulturae*, 10(8), 834. <https://doi.org/10.3390/horticulturae10080834>
- Biasi, W. V., Ferguson, A. R., & Miller, S. A. (2019). *Postharvest handling and quality of hardy kiwifruit (*Actinidia arguta*)*. *Acta Horticulturae*, 1256, 105–112. <https://doi.org/10.17660/ActaHortic.2019.1256.13>

- Bobokashvili, Z., Maghlakelidze, E., & Kvaliashvili, K. (2021). *Preliminary evaluation of Actinidia arguta cultivars under Eastern Georgian climatic conditions*. Bulletin of the Scientific-Research Center of Agriculture, 19(2), 33–40.
- Cho, M. S., Kim, J. G., Park, K. S., & Lee, J. H. (2018). *Occurrence of major pests and diseases on hardy kiwifruit (Actinidia arguta) in Korea*. Korean Journal of Horticultural Science & Technology, 36(5), 671–679. <https://doi.org/10.7235/hort.2018.18058>
- International Society for Horticultural Science (ISHS). (2011). *Fruit transpiration increases with wind speed*. Acta Horticulturae, 913, 51–56. [https://www.ishs.org/ishs-article/913\\_51](https://www.ishs.org/ishs-article/913_51)
- Ma, Y., Wang, Z., Zhang, H., Yang, H., & Zhang, Z. (2021). *Prediction of potential geographical distribution patterns for Actinidia arguta under climate change*. Sustainability, 13(6), 3526. <https://doi.org/10.3390/su13063526>
- McKenna, C. E., Fraser, J., & Robinson, D. (2007). *Pest and disease management in hardy kiwifruit (Actinidia arguta) orchards in New Zealand*. New Zealand Journal of Crop and Horticultural Science, 35(3), 245–254.
- Park, K. S., Lee, J. H., & Kim, J. G. (2016). *Occurrence and control of powdery mildew and gray mold in Actinidia arguta orchards*. Journal of Agriculture and Life Science, 50(4), 41–49.
- Rombolà, A. D., Brüggemann, W., López-Millán, A. F., Tagliavini, M., Abadía, J., Marangoni, B., & Moog, P. R. (2002). *Biochemical responses to iron deficiency in kiwifruit (Actinidia deliciosa)*. Tree Physiology, 22(12), 869–875. <https://doi.org/10.1093/treephys/22.12.869>
- Testolin, R., & Ferguson, A. R. (2009). *Kiwifruit (Actinidia spp.) production and research trends*. New Zealand Journal of Crop and Horticultural Science, 37(1), 1–17. <https://doi.org/10.1080/01140670909510247>

## ***Actinidia arguta*, როგორც მეზღეობისა და ბიოტექნოლოგიური პოტენციური მოლდოვას რესპუბლიკაში კულტივაციისთვის**

კალუგარუ-სპატარუ ტატიანა<sup>1\*</sup>, კაუშ მარია<sup>1</sup>, დასკალიუკ ალექსანდრუ<sup>1</sup>, პარი ია<sup>2</sup>

<sup>1</sup> გენეტიკის, ფიზიოლოგიისა და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, RM, ელ. ფოსტა: tatiana.calugaru.spataru@sti.usm.md;

<sup>2</sup> უკრაინის მცენარეთა სელექციის სამეცნიერო ინსტიტუტი, კიევი, უკრაინა

**აბსტრაქტი.** *Actinidia arguta* (მდგრადი კივი, მინი-კივი ან პატარა კივი) წარმოადგენს სახეობას, რომელსაც აქვს მაღალი პოტენციური მოლდოვას რესპუბლიკაში მეზღეობის სექტორის დივერსიფიკაციისთვის, მისი უმაღლესი ეკოლოგიური მდგრადობის, ნაყოფის ბიოქიმიური ღირებულებისა და მიკროგამრავლების გზით სწრაფი გამრავლების შესაძლებლობების გამო. მიღებული შედეგების ბიოტექნოლოგიურ, ბიოქიმიურ და საბაზრო დონეზე ინტეგრაცია ადასტურებს, რომ *Actinidia arguta*-ს აქვს ყველა წინაპირობა, რომ გახდეს პერსპექტიული კულტურა მოლდოვას რესპუბლიკაში. გამოყენებითი კვლევის გაძლიერება, საპილოტე პლანტაციების განვითარება და პროდუქტის აქტიური პოპულარიზაცია მომხმარებლებისთვის შეიძლება ამ სახეობას ეროვნული მეზღეობის სტრატეგიულ ელემენტად და ფუნქციური ხილის პორტფელის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვან ფაქტორად აქცევდეს რეგიონულ და ევროპულ დონეზე. შედეგები აჩვენებს როგორც სახეობის აგრონომიულ, ასევე ბიოტექნოლოგიურ ღირებულებას, ასევე მისი ინტეგრაციის შესაძლებლობებს ადგილობრივ და საერთაშორისო „სუპერხილის“ ბაზარზე.

**საკვანძო სიტყვები:** *Actinidia arguta*, მიკროგამრავლება in vitro, SDS-PAGE, ქიტინაზას აქტივობა.

## ***Actinidia arguta* as a Horticultural and Biotechnological Potential for Cultivation in the Republic of Moldova**

Călugăru-Spătaru Tatiana<sup>1\*</sup>, Cauș Maria<sup>1</sup>, Dascaluic Alexandru<sup>1</sup>, Pariy Ya<sup>2</sup>,

<sup>1</sup> Institute of Genetics, Physiology & Plant Protection, Moldova State University, RM  
e-mail: tatiana.calugaru.spataru@sti.usm.md;

<sup>2</sup> Ukrainian Scientific Institute of Plant Breeding, Kyiv city, Ukraine

**Abstract.** *Actinidia arguta* (hardy kiwi, mini-kiwi, or baby kiwi) represents a species with high potential for diversifying the horticultural sector in the Republic of Moldova, due to its superior ecological resistance, the biochemical value of its fruit, and the possibilities of rapid multiplication through micropropagation. The integration of the obtained results at the biotechnological, biochemical, and market levels confirms that

*Actinidia arguta* has all the prerequisites to become a promising crop in the Republic of Moldova. Strengthening applied research, developing pilot plantations, and actively promoting the product to consumers could turn this species into a strategic element of national horticulture and an important factor in diversifying the functional fruits portfolio at regional and European levels. The results demonstrate both the agronomic and biotechnological value of the species, as well as opportunities for its integration into the domestic and international “superfruit” market.

**Keywords:** *Actinidia arguta*, micropropagation *in vitro*, SDS-PAGE, chitinase activity.

## 1. Introduction

The genus *Actinidia* (family *Actinidiaceae*) comprises approximately 54 species originating from East Asia (China, Korea, Japan, and the Russian Far East), of which only a few have been introduced into cultivation for food consumption or ornamental purposes (Zhang et al., 2023). The best-known species in the world is *Actinidia deliciosa* (kiwi), valued for its high vitamin C content and economic importance. In recent decades, however, increasing attention has been directed toward species with higher tolerance to stress factors and superior nutritional potential, such as *A. arguta* (mini-kiwi), due to its favorable biological characteristics and potential to be promoted as a functional fruit - “superfruit” (Kupska et al., 2016).

*A. arguta* plants exhibit high ecological adaptability and, according to Marosz (2009), can withstand extreme temperatures of up to  $-34^{\circ}\text{C}$ , which provides agronomic advantages in regions with continental climates, including the Republic of Moldova. An illustrative example is the winter of 2011–2012, when air temperatures dropped to  $-27^{\circ}\text{C}$ , yet locally cultivated plants survived without significant damage, confirming the feasibility of cultivating this species under the climatic conditions of Moldova.

From a nutritional perspective, *A. arguta* fruits are small, sweet, and have edible skin. They are rich in chlorophyll, lutein, and  $\beta$ -carotene, and are considered one of the most important sources of lutein among commonly consumed fruits (Nishiyama, 2005). Biochemical analyses carried out by our colleagues (Ivanova & Dascalu, 2010) confirmed high concentrations of vitamin C, significant levels of polyphenols, and strong antioxidant activity in *A. arguta* fruits, supporting the positioning of this species as a premium product with outstanding nutritional benefits. Furthermore, studies conducted by Nishiyama (2005) and Zuo (Zuo et al., 2012) have shown that some *A. arguta* genotypes, as well as certain varieties of *A. chinensis*, accumulate anthocyanins in the pulp during ripening, which enhances antioxidant activity and increases the commercial attractiveness of the fruits.

From the phytochemical and pharmacological point of view, the recent analysis by Zhang (Zhang et al., 2023) identified 539 compounds isolated from *A. arguta*, including terpenoids, flavonoids, phenols, phenylpropanoids, lignins, organic acids, volatile compounds, alkanes, coumarins, anthraquinones, alkaloids, polysaccharides, and inorganic elements. Analysis of the specialized literature shows that most of the pharmacological properties attributed to the plant, such as antioxidant, anti-inflammatory, and antitumor, are mainly associated with flavonoids, phenols, and polysaccharides, which have been repeatedly identified as the main biologically active classes. These properties, supported by local data on vitamin C and polyphenol content, classify *A. arguta* as both a functional fruit and a resource with phytotherapeutic potential.

In the Republic of Moldova, the introduction and cultivation of *Actinidia* species represent an emerging direction for diversifying the horticultural sector in a context of climate change and growing consumer orientation towards healthy fruits with high functional value. The domestic market is currently dominated by the hairy kiwi (*A. deliciosa*, *A. chinensis*), imported mainly from Greece, Italy, and New Zealand, with consumption almost entirely covered by imports. This dependence reveals a supply deficit in the local market and opens opportunities for the introduction and expansion of *A. arguta* cultivation.

Although commercial mini-kiwi plantations have not yet been widely developed in the Republic of Moldova, there are promising experimental results. Locally adapted *A. arguta* has demonstrated a productivity



of 2–10 kg per plant at maturity and superior biological quality, confirming the agronomic feasibility of the species under local pedoclimatic conditions. The harvest season in October–November, when the availability of domestic fruits is limited, represents a significant competitive advantage, supporting the positioning of *A. arguta* in both domestic and international markets, especially in premium segments (HoReCa, organic retail, niche export).

However, the development of this crop is constrained by several key factors, including the lack of certified and standardized planting material on a large scale, the need for significant investments in auxiliary infrastructure (trellises, pergolas), as well as the biological characteristics of the species associated with dioecy and the need for effective pollination. In addition, low consumer awareness of the product in the domestic market necessitates educational campaigns to familiarize consumers with mini-kiwi fruits and their uses.

From a scientific perspective, research carried out in the Republic of Moldova on this species has focused on three major areas: rapid propagation through *in vitro* culture techniques to meet the demand for planting material; proteomic characterization of leaves to identify molecular markers for sex differentiation in dioecious plants; and the study of biochemical defense mechanisms against biotic stress, with emphasis on interactions with pests such as the greenhouse whitefly. The results of these studies confirm not only the agronomic potential but also the biotechnological importance of *A. arguta*.

Therefore, this article aims to integrate available data on the biology, micropropagation, and biochemical value of *A. arguta* with the analysis of market trends and technological constraints, to highlight the prospects for the introduction and expansion of this crop in the Republic of Moldova.

## 2. Materials and Methods

### *Micropropagation and ex vitro acclimatization*

The research was carried out in the Laboratory of Plant Biochemistry at the Institute of Genetics, Physiology and Plant Protection, using biological material of *A. arguta*. The plant material was obtained from mother plants maintained in the experimental collection of the institute.

Explant material consisted of meristematic apices and fragments of young shoots. Sampling was performed during the active growth phase of shoots, in April–May. Explants were surface-sterilized by sequential immersion in ethanol solution (70%) and sodium hypochlorite solution (0.5–1.0%), followed by repeated rinsing with sterile distilled water.

For shoot initiation and proliferation, Murashige and Skoog (MS) medium variants (Murashige & Skoog, 1962) were used, in some cases with the salt concentration reduced by half. Growth regulation was achieved by supplementation with 6-benzylaminopurine (BAP, 0.5–1.0 mg/L) and indole-3-acetic acid (IAA, 0.1–0.2 mg/L), in combination with activated charcoal (1200 mg/L) to reduce browning and stimulate rhizogenesis. This composition enabled the simultaneous development of shoot regeneration and root formation. Cultures were maintained under controlled conditions: photoperiod of 16 h light/8 h dark, light intensity of 3000–3500 lux (cool white fluorescent tubes), and constant temperature of  $24 \pm 2$  °C.

Plants with developed root systems were transferred to a sterilized substrate composed of peat: perlite (3:1). *Ex vitro* acclimatization was achieved by initially maintaining plants in mini-greenhouses under high humidity (90–95%), followed by a gradual reduction of humidity and an increase in light intensity. After 4–6 weeks, plants were transferred to the greenhouse, where the survival rate ranged between 70 and 75%.

### *Analysis of polypeptide spectra*

Leaves from male and female plants grown in the greenhouse (3 years old, obtained through micropropagation) and in lysimeters (11 years old, mature plants) were used for protein extraction. Polypeptides were separated by SDS-PAGE (10–15% polyacrylamide gradient gels) according to the method of Laemmli (1970). Gels were stained with Coomassie Brilliant Blue R-250 and analyzed using specialized software for gel image analysis and quantification.

### *Determination of chitinase activity*

Chitinase activity was measured in protein extracts from healthy and *Trialeurodes vaporariorum*-infested leaves of male and female *A. arguta* plants. The method was based on spectrophotometric determination of the hydrolysis products of N-acetyl-D-glucosamine.

### 3. Results and Discussion

The micropropagation procedure developed for *A. arguta* aimed to optimize *in vitro* multiplication by reducing culture time and increasing the multiplication coefficient. Experiments demonstrated that the use of Murashige–Skoog (MS) medium with half-strength salts, supplemented with 1200 mg/L activated charcoal, enabled the simultaneous occurrence of shoot regeneration and root induction. Under these conditions, accelerated plantlet development was achieved, with the formation of 3–5 cm shoots 30 days after inoculation and a high rhizogenesis rate.

Unlike classical protocols, which require two distinct stages (shoot proliferation followed by rooting), the developed procedure enabled micropropagation in a single stage, reducing the *in vitro* culture period from 14–16 weeks to 10–12 weeks. Under these conditions, the multiplication coefficient increased significantly, from approximately 300 plants/year using the standard method to about 8000 plants/year—an improvement of more than 26-fold (Călugăru-Spătaru & Dascalu, 2013).

During *ex vitro* acclimatization, the obtained plants showed a survival rate of 70–75%, confirming the efficiency of the procedure. The methodological advantage consisted not only in the increased yield but also in the reduced consumption of reagents and culture space, thereby lowering the production costs of planting material.


Micropropagation of *Actinidia* species is considered an essential method for obtaining planting material; however, a number of limitations have been noted in the international literature, especially concerning rhizogenesis and plant survival during acclimatization. Classical protocols show a multiplication rate of 3–6 shoots/explant and rooting rates between 40 and 70% (Goralski et al., 2005; Rugini & Gutiérrez-Pesce 2003; Wu & Long, 2011). In addition, the duration of the complete cultivation cycle is 14–16 weeks, which limits annual yield and increases costs.

By comparison, our results demonstrate higher efficiency, both through the integration of multiplication and rhizogenesis stages into a single cycle and due to the higher survival rates during acclimatization (70–75%). Thus, the developed and patented procedure not only exceeds performances reported in the international literature but also has great practical importance for horticulture in the Republic of Moldova, where the lack of certified planting material remains one of the main obstacles to the expansion of commercial plantations.

The results obtained for *A. arguta* confirm both the agronomic value and the biotechnological potential of the species under Moldovan conditions. By optimizing the micropropagation method, it was possible to integrate multiplication and rhizogenesis into a single cycle, which led to a significant increase in yield and a reduction in cultivation time. This methodological innovation directly meets the need for certified planting material for the creation of commercial plantations.

Integration of these biotechnological results with molecular biology studies opens new perspectives for understanding and exploiting the species. While efficient micropropagation provides practical solutions for multiplication and cultivation expansion, proteomic characterization supplies fundamental insights into the genetic and physiological peculiarities of the plants.

Electrophoretic analysis (SDS-PAGE) of protein extracts from *A. arguta* leaves revealed a complex spectrum of polypeptides with molecular weights ranging from 14 to 97 kDa (Fig. 1). Both male and female plants displayed a common set of constitutive proteins, but with qualitative and quantitative differences in the



**Figure 1.** Polypeptide profile of *A. arguta* plants obtained by SDS-PAGE (10–15% gradient). M – PageRuler™ molecular marker (11–250 kDa); 1–2 – plants grown in lysimeters; 3–4 – plants grown under greenhouse conditions.

30–70 kDa range. These differences suggest the existence of molecular markers useful for sex differentiation at juvenile stages, which would represent a major technological advance for this dioecious species. International studies have confirmed the importance of protein markers for sex identification in *Actinidia*. Polypeptides with molecular weights between 24–45 kDa have been reported as more abundant in male plants, while fractions of 60–70 kDa were found in female plants (Zhang et al., 2021). These observations partially coincide with our results obtained in Moldova, where stable protein differences between sexes were identified, suggesting their potential use for early selection of planting material.

Furthermore, the literature shows that certain heat shock proteins and antioxidant proteins, with molecular weights between 45–70 kDa, are associated with increased resistance to abiotic stress. Their presence in the protein spectrum of *A. arguta* supports the hypothesis of a correlation between protein profile and the high adaptability of the species to the continental conditions of Moldova.

The polypeptide profile of *A. arguta* leaves obtained in this study falls within the range previously described for the genus *Actinidia*, where bands between 13 and 95 kDa and a denser distribution in the 55–20 kDa region have been reported (Khukhunaishvili & Dzhokhadze, 2006). The present results (14–18 fractions) confirm the conserved character of the protein core in this genus.

The constant element identified was a fraction of ~30 kDa, corresponding to actinidin, a protease specific to the genus *Actinidia*, previously reported in fruits, seeds, and leaves, which plays a role in digestive processes and possible insecticidal effects (Boyes et al., 1997). Its presence in all samples, regardless of sex and culture conditions, confirms its stability as a biochemical marker.

In addition, a fraction of ~28–29 kDa was detected that was compatible with kiwellin, a major allergen documented in kiwi fruits (*A. chinensis*, *A. deliciosa*) (Tamburrini et al., 2005; Wang et al., 2019). Its expression in leaves is rarely mentioned in the literature, which adds interest to this observation and justifies targeted testing using modern proteomic methods (LC-MS/MS, Western blotting).

With regard to sex differences, the results obtained confirm previous findings that SDS-PAGE does not allow the identification of exclusive sex-specific protein markers and that variations are often attributed to environmental conditions and developmental stage (Khukhunaishvili & Dzhokhadze, 2006). This is in line with the international trend of combining protein analysis with genomic markers for reliable sex determination in *Actinidia* (Zhou et al., 2020a).

In parallel, recent literature highlights the role of quantitative proteomics in elucidating responses to biotic and abiotic stress, identifying proteins involved in defense (PR proteins, chitinases) when interacting with pathogens such as *Pseudomonas syringae* (Zhu et al., 2020). Thus, future research directions for *A. arguta*

should include the integration of quantitative proteomics with sex-specific molecular markers, as well as extending the analysis to fruits, seeds, and roots.

Overall, the present study is consistent with international observations on protein diversity in *Actinidia* and contributes by identifying relevant fractions (actinidin, kiwellingin) that may serve as potential biochemical markers.

Under conditions of experimental infestation with greenhouse whitefly (*Trialeurodes vaporariorum*), *A. arguta* leaves exhibited a significant increase in chitinase activity. After 24 hours, enzymatic activity increased by 60% compared to the control, reaching a maximum at 48 hours (twice the initial level), and subsequently remaining above control values. This rapid response suggests that chitinase-type enzymes represent a major defense mechanism of *A. arguta* against biotic stress (Cauș & Călugăru-Spătaru, 2020).

Chitinases are considered worldwide as classical markers of plant defense responses, as they are involved both in protection against fungal pathogens and in insect resistance mechanisms (Kasprzewska, 2003). In the case of the genus *Actinidia*, studies have revealed increased activity of chitinases and  $\beta$ -1,3-glucanases following fungal infections and insect attacks.

Compared to literature data, our results demonstrated that *A. arguta* leaves exhibit high resistance to infestation by greenhouse whiteflies, which partially explains the species' high tolerance to biotic stress. This data confirms the value of *A. arguta* not only as a fruit crop but also as an experimental model for studying the enzymatic defense mechanisms of perennial plants.

Overall, the combination of efficient micropropagation, identification of molecular markers, and characterization of biochemical responses to stress places *A. arguta* in a strategic position for the development of niche horticulture in the Republic of Moldova. Integration of these results provides a solid basis for expanding applied research and economic valorization of the species in the context of a regional “superfruit” market.

#### 4. Conclusions

The integration of the obtained results at the biotechnological, biochemical, and market levels confirms that *Actinidia arguta* has all the prerequisites to become a promising crop in the Republic of Moldova. Strengthening applied research, developing pilot plantations, and actively promoting the product to consumers could turn this species into a strategic element of national horticulture and an important factor in diversifying the functional fruits portfolio at regional and European levels.

**Acknowledgment.** Research was carried out within the framework of the *Subprogram 011101*, funded by the *Ministry of Education and Research of Moldova*, and within the *Moldova-Georgia Bilateral Project*, #25.80013.7007.01GEO financed by the *National Agency for Research and Development of the Republic of Moldova*.

#### References:

- Boyes, S.; Strubi, P.; & Marsh, H. (1997). Actinidin levels in fruit of *Actinidia* species and some *Actinidia arguta* rootstock-scion combinations. *Lebensmittel-Wissenschaft & Technologie*. 30(4): 379-389.
- Cauș, M., & Călugăru-Spătaru, T. (2020). Chitinase activity in the leaves of *A. arguta* L. plants grown in greenhouse conditions and infested with the greenhouse whitefly (*Trialeurodes vaporariorum*). *Plant Protection – Achievements and Perspectives* (57th ed.). Chișinău: Print-Caro LLC. 15–19.
- Călugăru-Spătaru, T.; Dascaliuc, A. (2013). Patent: Process for micropropagation of *Actinidia arguta* plants *in vitro*. MD 605 Z. 2013-10-31.
- Goralski, G.; Marzena, O.; Slesak, H.; Siwinska, D.; Batycka, M. (2005). Organogenesis in endosperm of *Actinidia deliciosa* cv. Hayward cultured *in vitro*. *Acta Biologica Cracoviensia Series Botanica*, 47.

- Ivanova, R.; Dascalu, A. (2010). *In vitro* study of antioxidant capacity of *Actinidia* fruits growing in Moldova. *Medium Amb.* 4(52): 29–31.
- Kasprzewska A. (2003). Plant chitinases-regulation and function. *Cell Mol Biol Lett.* 8(3):809-24.
- Khukhunaishvili, R.; Dzhokhadze, D. (2006). Electrophoretic study of the proteins from actinidia leaves and sex identification. *Applied Biochemistry & Microbiology*, 42(1): 107-110.
- Kupska, M.; Wasilewski, T.; Jędrkiewicz, R.; Gromadzka, J.; Namieśnik, J. (2016). Determination of terpene profiles in potential superfruits. *Int. J. Food Prop.* 19: 2726–2738.
- Laemmli, U.K. (1970). Cleavage of structural proteins during the assembly of the head of bacteriophage T4, *Nature*, 227: 680-685.
- Marosz, A. (2009). Comparison of winter hardiness and growth of *Actinidia arguta* and *A. kolomikta* cultivars grown in central Poland. *Acta Agrobot*, 62(2): 79–85.
- Murashige T., Skoog F. (1962). A revised medium for rapid growth and bioassays with tobacco tissue cultures. *Physiol Plant*, 15: 473–497.
- Nishiyama, I.; Fukuda, T.; Oota, T. (2005). Genotypic differences in chlorophyll, lutein, and beta-carotene contents in the fruits of *Actinidia* species. *J Agr. Food. Chem.* 53(16): 6403–6407.
- Rugini, E.; Gutiérrez-Pesce, P. (2003). Micropropagation of kiwifruit (*Actinidia* spp.). In *Micropropagation of Woody trees and fruits*. Dordrecht: Springer Netherlands. 647-669.
- Tamburrini, M.; Cerasuolo, I.; Carratore, V.; Stanziola, L., Zofra, S.; & Ciardiello, M. A. (2005). Kiwellin, a novel protein from kiwi fruit with allergenic properties. *Protein Journal*, 24(7–8), 423–429.
- Wang, J.; Vanga, SK.; McCusker, C.; Raghavan, V. (2019). A Comprehensive Review on Kiwifruit Allergy: Pathogenesis, Diagnosis, Management, and Potential Modification of Allergens Through Processing. *Compr Rev Food Sci Food Saf.* 18(2):500-513
- Wu, Y., Xie, M., & Long, Q. (2011). *In vitro* organogenesis and plant regeneration from leaves of *Actinidia eriantha* Benth. cv White (kiwifruit). *New Zealand Journal of Crop and Horticultural Science*, 39(4), 231–240.
- Zhang, Y., Wang, Y., Zhou, W. et al. (2021). Comparative proteomics analysis reveals differentially accumulated proteins associated with male and female *A. chinensis* var. *chinensis* bud development. *Proteome Sci.* 19, 8.
- Zhang, H.; Teng, K.; Zang, H. (2023). *Actinidia arguta* (Sieb. et Zucc.) Planch. ex Miq.: A Review of Phytochemistry and Pharmacology. *Molecules*. 28(23):7820.
- Zhou, J.; Wang, Z.; Li, Y., et al. (2020). Development of sex-linked molecular markers in *Actinidia arguta*. *BMC Plant Biology*, 20, 58.
- Zhu, L.; Zhao, H.; Zhang, H.; et al. (2020). Quantitative proteomics reveals defense responses in kiwifruit (*Actinidia chinensis*) against *Pseudomonas syringae*. *Frontiers in Plant Science*, 11, 1354.
- Zuo, L. L.; Wang, Z. Y.; Fan, Z. L., et al. (2012). Evaluation of antioxidant and antiproliferative properties of three *Actinidia* (*Actinidia kolomikta*, *Actinidia arguta*, *Actinidia chinensis*) extracts *in vitro*. *Int. J. Mol. Sci.* 13, 5506–5518.



## პერსპექტიული კენკროვანი კულტურის იოშტას (*Ribes × nidigrolaria*) მოყვანის შესაძლებლობები საქართველოს პირობებში

ლალი გოგინავა<sup>1,2</sup>, მარიკა ვახტანგაშვილი<sup>1</sup>, ვანო კაკაშვილი<sup>1</sup>, ლაშა ციგრიაშვილი<sup>1</sup>

<sup>1</sup> სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მეხილეობის კვლევის სამსახური, თბილისი, საქართველო;

<sup>2</sup> ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, თბილისი, საქართველო  
ელ.ფოსტა: laligoinava12@gmail.com

**აბსტრაქტი.** ცნობილია, რომ იოშტა (*Ribes × nidigrolaria*) წარმოადგენს მეტად საინტერესო და პერსპექტიულ კენკროვან კულტურას, რომელიც მიღებულია შავი მოცხარის (*Ribes nigrum*) და ხურტკმელის (*Ribes grossularia*) შეჯვარების საფუძველზე, სასელექციო მეთოდებით. საქართველოში იოშტას გავრცელება დაიწყო XX საუკუნის 1990-იან წლებში, თავდაპირველად მოყვარული მეხილეობის ინიციატივით. ხოლო სამეცნიერო მიზნებისთვის მისი ინტროდუქცია განხორციელდა 2000-იანი წლების შუა პერიოდში, მეზღვრობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთებში.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია იოშტას ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების კომპლექსური შესწავლა და მისი გავრცელების პოტენციალის შეფასება საქართველოს პირობებში, კერძოდ — ცენტრალურ ქართლში. სტატიამი წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილაურას ბაზაზე ჩატარებულ პირველადი დაკვირვებების შედეგები.

მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ იოშტა იწყებს სიმწიფეს ივნისის ბოლოს — ივლისის პირველ დეკადაში, რაც ხელს უწყობს ადრეული მოსავლის მიღებას და კენკროვანი კულტურების სეზონურ დივერსიფიკაციას. მისი სიმწიფის პერიოდი სრულდება აგვისტოს მეორე ნახევარში, და მცენარეს არ ახასიათებს რემონტანტური (განმეორებითი) მოსავლიანობა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, უნდა აღინიშნოს, რომ იოშტა შეიძლება შეფასდეს როგორც პერსპექტიული კულტურა მცირე ფერმერული მეურნეობებისთვის, რომლებიც უკვე დაკავებული არიან ან გეგმავენ შავი/წითელი მოცხარისა და ხურტკმელის წარმოებას. იოშტას მოყვანას თან ახლავს რამდენიმე მნიშვნელოვანი აგრონომიული უპირატესობა: ეკლების არარსებობა ამარტივებს მოსავლის აღებას და ამცირებს შრომით დანახარჯს, განსაკუთრებით ხურტკმელთან შედარებით, ნაყოფის შედარებით დიდი ზომა (შავი მოცხარის ფონზე) ზრდის სავაჭრო ღირებულებას და მომხმარებლის ინტერესს, ხსნადი მშრალი ნივთიერების მაღალი შემცველობა (<sup>o</sup>Brix) ხელს უწყობს გადამუშავების მრავალმხრივ შესაძლებლობებს — ჯემების, წვენების, კომპოტებისა და კონცენტრატების და სხვა პროდუქტების სახით.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, იოშტას გააჩნია ნიშური პოტენციალი კენკროვანი კულტურების მწარმოებელი ფერმერებისთვის - როგორც პერსპექტიული. ნაკლებად გავრცელებული, მაგრამ მაღალი საგემოვნო და კვებითი ღირებულების მქონე კენკრა.

**საკვანძო სიტყვები:** კენკროვანი კულტურები, პომოლოგიური მაჩვენებლები, საქართველო, იოშტა, შესწავლა

## 1. შესავალი

ცნობილია, რომ გასული XX საუკუნის პირველი ნახევრიდან მსოფლიოს წამყვანი მეხილე სელექციონერების კვლევითი ინტერესების ცენტრში მოექცა ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურების სახეობათშორისი ჰიბრიდიზაცია. აღნიშნული მიმართულება ძირითადად მიზნად ისახავდა როგორც აგრონომიული თვისებების გაუმჯობესებას (უხვმოსავლიანობა, დაავადებებისადმი გამძლეობა, კლიმატური-ნიადაგობრივი პირობებისადმი ადაპტაცია), ასევე სრულიად ახალი, კომერციულად მიმზიდველი ნაყოფის მომცემი კულტურების შექმნას.

სწორედ ამ მრავალწლოვანი სელექციური მუშაობის შედეგია, რომ 1960-იანი წლებიდან მეხილეობაში გამოჩნდა რამდენიმე საინტერესო ჰიბრიდული კულტურა, მათ შორის: Cerapadus, Padoceras - მიღებული საბჭოთა სელექციონერის, ივან მიჩურინის მიერ; Pluot, Aprium, Apriplum, Plumcot — შექმნილი ამერიკელი სელექციონერის, ფლოიდ ზაიგერის მიერ, Kroma - ფ. ნილსონი, და სხვა.

თუმცა, სამართლიანად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათგან არც თუ ისე ბევრმა მოიპოვა ადგილი კომერციულ მეხილეობაში. მათგან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ინტეგრირდა სამოყვარულო თუ მცირე ფერმერულ მეურნეობებში, როგორც ადგილობრივი ბაზრის დივერსიფიკაციისა და ნიშური მიმართულების თვისებების მქონე კულტურა.

აღნიშნულთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სწორედ კენკროვანი კულტურა - იოშტა, რომელიც მიღებულია ხურტკმელისა და შავი მოცხარის შეჯვარებით. კულტურის სახელწოდება - Josta, Josta berry - წარმოიშვა ორი გერმანული სიტყვის — Johannesbeere (მოცხარი) და Stachelbeere (ხურტკმელი) — პირველი მარცვლების გაერთიანებით. მისი წარმოშობა უპირატესად დაკავშირებულია ცნობილი გერმანელი სელექციონერის რუდოლფ ბაუერის მრავალწლოვან შრომატევად სამუშაოსთან, რომლის მიზანი იყო უეკლო, დაავადებების მიმართ გამძლე გენოტიპების მიღება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მის შრომას წინ უძღოდა 1920-იანი წლებიდან ცნობილი მეცნიერის პოლ ლორენცის აღნიშნული მიმართულებით დაწყებული სელექციური სამუშაოები.

იოშტა (*Ribes × nidigrolaria* Rud.Bauer & A.Bauer) ბოტანიკურად ვარდისებრთა ოჯახის რთული ინტერსპეციფიკური ჰიბრიდია, რომელიც მიღებულია კლასიკური ჰიბრიდიზაციის გზით კომპლექსური მშობელი ფორმების შეჯვარების შედეგად. მისი გენეტიკური საფუძველი მოიცავს შავი მოცხარის (*Ribes nigrum*) ნაცრისადმი გამძლე F1-ჰიბრიდს (*R. nigrum* 'Langtraubige Schwarze' × *R. divaricatum*) და ფიჭვის ჟანგისადმი რეზისტენტულ ფორმას (*R. nigrum* 'Silvergieters Schwarze' × *R. grossularia* 'Grüne Hansa'). აღნიშნული კომბინაცია უზრუნველყოფს იოშტას გამორჩეულ აგრონომიულ თვისებებს, მათ შორის ზოგიერთი პათოგენის (ნაცარი (*Sphaerotheca mors-uvae*), ფიჭვის ჟანგა (*Cronartium ribicola*). კვირტის ტკიპა (*Cecidophyopsis ribis*)) მიმართ გამძლეობას, უეკლო ფორმას და გარემო პირობებთან მაღალ ადაპტაციას.

საქართველოში იოშტას შემოტანა საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში ძირითადად მოყვარული მეხილეების მიერ. მისი სამეცნიერო მიზნით შემოტანა განხორციელდა 2000 წლების შუა პერიოდში მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკოლექციო ნარგაობებში.

იომტას კენკრა შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მრავალ ნივთიერებას. კერძოდ, შაქარებს, ორგანულ მჟავებს, პექტინს, მასში შემავალი ქიმიური ელემენტებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რკინა, კალიუმი, იოდი და სხვა. მისი ნაყოფები მდიდარია C და P ვიტამინებით. იომტა ანტოციანებსაც (წითელი, ლურჯი და იისფერი პიგმენტები) შეიცავს, რომლებსაც დაავადების გამომწვევ ბაქტერიებთან ბრძოლის, სისხლძარღვების კედლების გამაგრებისა და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესების თვისებები აქვს. რაც შეეხება მის კვებით ღირებულებას, იომტა დაბალკალორიული პროდუქტია (100 გრ. – 45 კკალ), რაც მის დიეტოლოგიაში გამოყენების საშუალებას იძლევა. იომტას შეუძლია სისხლში ჰემოგლობინის გაზრდა, რეკომენდებულია როგორც ანემიის ასევე, ჰიპერტონიის დროს. ნაყოფი განსაკუთრებით სასარგებლოა დიდ ქალაქებში მცხოვრები ადამიანებისთვის, რადგან მას ორგანიზმიდან მძიმე ლითონების, ტოქსინების, მარილების და რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყვანა შეუძლია; C-ვიტამინის რაოდენობით ის არ ჩამოუვარდება ლიმონს, ასკილს, შავ მოცხარს; მისი რეგულარული მოხმარება აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს. იმის გათვალისწინებით, რომ იომტა შაქარის შედარებით დაბალი შემცველობით ხასიათდება, – სასარგებლოა დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვისაც.

ბოტანიკურად იომტა (*Ribes × nidigrolaria* Rud.Bauer & A.Bauer) ვარდისებრთა ოჯახის მრავალწლიანი ბუჩქოვანი მცენარეა ფუნჯა ფესვთა სისტემით, რომელიც ხასიათდება საკმაოდ ძლიერი 1.2 -2.0-მდე ზრდით. მცენარის სიცოცხლის კომერციული ხანგრძლივობა 20-25 წელია, მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მეორე-მესამე წელს, ხოლო სრული მსხმოიარე მეოთხე წლიდან ხდება. საშუალო მოსავლიანობა 1 ჰა-ზე განსხვავებული აგრონომიული მოვლის პირობებში 6- 8 ტონას შეადგენს 1 ჰა-ზე.

იომტას ყვავილები ღია ოქროსფერია, ნაყოფი მრგვალი, შავი ფერის, მეწამული ელფერით. იომტას ნაყოფები ზომით ხურტკმელზე პატარაა, მაგრამ შავ მოცხარზე გაცილებით უფრო მსხვილია. ნაყოფი წვნიანია, მოტკბო მომჟავო, მაღალი შაქრიანობით და დაბალი მჟავიანობით, ორიგინალური არომატით. ადრეულ სიმწიფეში საგემოვნო თვისებები წააგავს ხურტკმელს, ხოლო სრულ სიმწიფეში შავ მოცხარს, თუმცა ნედლად მოხმარების გაცილებით უკეთესი საგემოვნო მაჩვენებლებით. მისი დადებითი თვისებაა, რომ მწიფე ნაყოფები დიდხანს ჩერდება მცენარეზე და ნაკლებად ახასიათებს ცვენადობა.

იომტა ჯიდაურას (მცხეთა-მთიანეთი) პირობებში ყვავილობს მაისის მეორე ნახევრიდან, ხოლო მწიფდება 5 ივლისიდან, მცენარე ხასიათდება მაღალი ზამთარგამძლეობით ( $-18-20^{\circ}\text{C}$ ), მრავლდება ვეგეტატიურად: კალმებით, ამონაყრებით, ბუჩქის დაყოფით.

იომტა, როგორც *Ribes*-ის გვარის სხვა მრავალი წარმომადგენელი, მდიდარია C ვიტამინით, ამიტომ მისი მოხმარება უმჯობესია ნედლად, რაც შავ მოცხართან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რადგან ამ უკანასკნელის ნედლად მოხმარება მარტივი არ არის. ისევე როგორც სხვა კენკროვანი კულტურები, იომტა ასევე ფართოდ გამოიყენება გადამუშავებისთვისაც, წვენების, კომპოტების, ჯემების, პიურების დასამზადებლად და გაყინვისთვის. იომტას შედარებით მკვახე ნაყოფი შეიძლება გამოყენებულ იქნას კულინარიულ რეცეპტებში, როგორც ხურტკმელის შემცვლელი.

## 2. მასალები და მეთოდები

კვლევის მიზანია შესწავლილი იქნას იომტას ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებები საქართველოს პირობებში. ქვემოთ მოცემულია შესწავლის პირველადი შედეგები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიდაურას ბაზაზე. კვლევა ჩატარებულია 2025 წელს. საკოლექციო ნარგავი გაშენებულია 2020 წელს. კვების არე: 3.0 მეტრი \* 1.75 მეტრი,

მორწყვა წვეთოვანი ირიგაციის საშუალებით. ფორმირება - ბუჩქის ტიპის. მოვლისთვის გამოყენებულია სტანდარტული აგრონომიული ოპერაციები: სარეველების კონტროლი, განოყიერების სისტემა და მავნე პათოგენებისგან დაცვის ღონისძიებები. საკონტროლოდ აღებულია ხურტკმელის ჯიში - ჰინომაკი რედი (ნახ.1).



ნახ. 1. იოშტა (მარცხნივ), ჰინომაკი რედი (მარჯვნივ)

### 3. შედეგები და დისკუსია

მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ იოშტას (*Ribes × nidigrolaria*) ნაყოფების სიმწიფის პერიოდი იწყება ივლისის პირველი დეკადიდან. ნაყოფების საშუალო მასა მერყეობს 2.9-დან 3.9 გრამამდე, ხოლო დიამეტრი შეადგენს 13.7–14.6 მმ-ს, რაც მიუთითებს ზომიერად კომპაქტურ, მაგრამ სტაბილურ პომოლოგიურ მახასიათებლებზე. მიმდინარე წლის მონაცემებით, ერთ ბუჩქზე მიღებულმა მოსავლიანობამ შეადგინა - 1.479 კგ-ს, რაც 0,364 კგ-ით ნაკლებია საკონტროლო ჯიშზე — ჰინომაკი რედი, რომლის მოსავლიანობა აღწევდა 1.843,2 კგ-ს. მიუხედავად ამისა, დადგინდა, რომ იოშტას ნაყოფები გამოირჩევა მაღალი ბიოქიმიური მაჩვენებლებით. ხსნადი მშრალი ნივთიერების შემცველობა მის ნაყოფებში მერყეობს 11.4–12.8 °Brix-ის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ჰინომაკი რედის შესაბამის მაჩვენებელს — 10.3 °Brix.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს იოშტას პოტენციალზე როგორც ხსნადი მშრალი ნივთიერების მხრივ უპირატეს კენკროვან კულტურაზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც ნედლად, ასევე საკონსერვო, გადამუშავების მიმართულებით. ცხრილი 1-ში მოცემულია საკვლევი ჯიშების ნაყოფის პომოლოგიური მახასიათებლები და მოსავლიანობის მაჩვენებლები (2025 წელი).

ცხრილი 1. საკვლევი ჯიშების ნაყოფის პომოლოგიური მახასიათებლები და მოსავლიანობა (2025 წელი)

ჯიში	ნაყოფის მასა, გრამი	ნაყოფის დიამეტრი, მმ	ნაყოფის ფერი	მოსავალი 1 მცენარეზე, გრამი	ხსნადი მშრალი ნივთიერება, °Brix
იოშტა	3,3	14,2	მუქი იისფერი - შავი	1 479,6	12,4



ჰინომაკი რედი (ხურტკმელი)	4,8	24,7	წითელი - მუქ წითელში გარდამავალი	1 843,2	10,3
------------------------------	-----	------	----------------------------------------	---------	------

მცენარეების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე დაკვირვებების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები იოშტასა და საკონტროლო ჯიშ ჰინომაკის ბუჩქის ფორმას და აგრონომიულ მახასიათებლებს შორის. იოშტას მცენარე გამოირჩევა უეკლო ტოტებით, რაც კრეფის პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს და ზრდის მისი გამოყენების ეფექტიანობას როგორც სამეურნეო, ისე სამრეწველო პირობებში. ამის საპირისპიროდ, ჰინომაკი რედი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ეკლიანობით, რაც მუშაობისას დამატებით სირთულეებს ქმნის, განსაკუთრებით ხელით კრეფისას (ნახ. 2).



ნახ. 2. მცენარეების ეკლიანობა. ჰინომაკი რედი (მარცხნივ); იოშტა (მარჯვნივ)

ბუჩქის ფორმის მიხედვით, იოშტა გამოირჩევა გადაშლილი და ნახევრად სწორმდგომი სტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს უკეთეს განათებას და ჰაერის ცირკულაციას, თუმცა ამონაყრების რაოდენობით იგი ჩამორჩება საკონტროლო ჯიშს: იოშტაზე დაფიქსირდა 9–11 ძირითადი ტოტი, მაშინ როცა ჰინომაკი რედიზე — 12–16 ტოტი, რაც მიუთითებს ხურტკმელის უფრო ინტენსიურ ზრდაზე და ფესვის კვირტებიდან ტოტების განვითარების მაღალ ინტენსივობაზე (ცხრილი 2)

ცხრილი 2. საკვლევი ჯიშების მცენარეების მორფოლოგიური მახასიათებლები (2025 წელი)

ჯიში	მცენარის ფორმა	ტოტების რაოდენობა	ჰინომაკი რედი (ხურტკმელი)	ეკლიანობა
იოშტა	გადაშლილი- ნახევრად სწორმდგომი	7	ჰინომაკი რედი (ხურტკმელი)	არ აქვს
ჰინომაკი რედი (ხურტკმელი)	ნახევრად სწორმდგომი	12	ჰინომაკი რედი (ხურტკმელი)	ეკლიანია

იოშტას კულტურაზე საქართველოს პირობებში (მცხეთა-მთიანეთის პირობები) პირველადი დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ იოშტა სიმწიფეს იწყებს ივნისის ბოლოს-ივლისის პირველ დეკადაში, რაც ადრეული მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა და ხელს



უწყობს კენკროვანი კულტურების სეზონურ დივერსიფიკაციას. იოშტა სიმწიფეს ამთავრებს აგვისტოს მეორე ნახევრისთვის და მას არ ახასიათებს რემონტატულობა.

საკვლევი ჯიშის ნაყოფის საშუალო მასა (2.3–2.9 გ) და დიამეტრი (13.7–14.6 მმ) მიუთითებს სასურველ პომოლოგიურ მახასიათებლებზე, თუმცა მოსავლიანობით (1.479 კგ/ბუჩქზე) იგი ჩამორჩება საკონტროლო ჯიშ ჰინომაკი რედს (1.843 კგ). ხსნადი მშრალი ნივთიერების შემცველობა (11.4–12.8 °Brix) იოშტას ნაყოფებში მნიშვნელოვნად აღემატება ჰინომაკი რედის მაჩვენებელს (10.3 °Brix), რაც იოშტას უპირატესობას ანიჭებს გადამუშავებისა და საკონსერვო მიმართულებით. მცენარეზე მორფოლოგიური დაკვირვებით დადასტურდა, რომ იოშტას ბუჩქი არ არის ეკლიანი, რაც კრეფის პროცესს ამარტივებს, თუმცა ამონაყრების რაოდენობით (5–9 ტოტი) იგი მცირედით ჩამორჩება ჰინომაკი რედს (10–15 ტოტი).

#### 4. რეკომენდაციები

ქვემოთ მოყვანილი გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი აგრონომიული ასპექტი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული კულტურის ბაღის გაშენების დროს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გასაშენებელი ადგილმდებარეობის შერჩევას, მისი გაშენება საქართველოში უმჯობესია შედარებით გრილი ზაფხულის მქონე რეგიონებში, სავარაუდოდ არანაკლებ ზღვის დონიდან 600 -700 მეტრიდან 1500 -1700 მეტრამდე პირობებში. მისთვის ყველაზე უკეთესია ვაკე ადგილი, 5-7 გრადუსის დაქანებით. აუცილებელია, ნარგავების გარშემო იყოს ჰაერის სათანადო მოძრაობა, რომელიც ამცირებს ტენიანობას მცენარეთა გარშემო და ხელს უშლის ფოთლების დაავადების ხელშემწყობი პირობების შექმნას. მცენარისთვის ნიადაგის ოპტიმალური მჟავიანობა შეადგენს pH 6.0-7.2 -მდე.

ნიადაგის მოსამზადებელი სამუშაო უნდა განხორციელდეს ხეხილის ბაღის გაშენებისთვის გამოყენებული სტანდარტული აგროტექნოლოგიის შესაბამისად, კერძოდ. ნაკვეთი უნდა გაიწმინდოს წინა კულტურის დარჩენილი ნებისმიერი ნარჩენებისგან, ნიადაგი უნდა გასწორდეს, მოიხნას ნახევრად პლანტაჟით, 40 -45 სმ-ზე, შემოდგომაზე, მომავალ გაზაფხულზე დასარგავად; აუცილებელია ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება - ნიადაგის ზედაფენაში ორგანული ნივთიერებების (ბიოჰუმუსის, კომპოსტის ან ტორფის) შეტანა; მინერალური ნივთიერებების (ფოსფორი, კალიუმი) დამატებით ნიადაგის ანალიზის საფუძველზე.

იოშტას ბაღს აშენებენ 3,0 X 1.5 – 1,8 მ კვების არეზე, იოშტას ახლად გაშენებულ ბაღში უნდა დამონტაჟდეს წვეთოვანი სისტემა. მიჩნეულია, რომ იოშტა თვითდამტკერავია, თუმცა პრაქტიკის მიხედვით აუცილებელია დამამტკერიანებლად ხურტკმელის დარგვა, პროპორციით 5-6 რიგი \* 1 რიგი.

იოშტას დარგვა შესაძლებელია როგორც გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. იღებენ 30-40 სმ დიამეტრის და სიღრმის ორმოს, დარგვის წინ ყურადღება უნდა მიექცეს, რომ მოხდეს ნერგების ფესვების გამოშრობა; ნერგის ფესვთა სისტემა კარგად უნდა გაიშალოს ნიადაგში; დარგვის შემდეგ ნიადაგი შესაბამისად უნდა დაიტკეპნოს და მოირწყას.

იოშტას ბუჩქის სხვა- ფორმირების პროცესს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს როგორც მცენარის სიჯანსაღეზე, ასევე მოსავლის ხარისხსა და რაოდენობაზე. პრაქტიკაში იოშტას ფორმირებას ხშირად ახორციელებენ ხურტკმელის ტიპის მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა მისი გაშენება განხორციელდეს როგორც კლასიკური ბუჩქოვანი სისტემით, ასევე შპალერული (საყრდენიანი) სისტემით, რომელიც აქტიურად გამოიყენება თანამედროვე კენკროვანი კულტურების წარმოებაში. შპალერული სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფს უკეთეს განათებას, აერაციას და

მოსავლის ხარისხის ზრდას, მოითხოვს დამატებით ინვესტიციას საყრდენი სტრუქტურის მოწყობისთვის, რის გამოც მისი არჩევა უნდა მოხდეს ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე, ფერმერული რესურსებისა და წარმოების მიზნების გათვალისწინებით.

კლასიკური ბუჩქოვანი სისტემის შემთხვევაში, გასხვლა უნდა დაიწყოს ადრე გაზაფხულზე, კვირტების დაბერვამდე. მისი ძირითადი მიზანია მცენარის მდგომარეობის გაუმჯობესება და ძირითადი/სანაყოფე ტოტების ზრდის სტიმულირება რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოშტასთვის, რადგან იგი ბუნებრივად ივითარებს გადაშლილ, თავისუფალ ბუჩქს.

რეგულარული გასხვლა არა მხოლოდ ხელს უწყობს ნაყოფის ხარისხის და მოსავლიანობის გაუმჯობესებას, არამედ უზრუნველყოფს ზომის კონტროლს, ამცირებს გადატვირთვის რისკს, და ხელს უშლის ჩახშირებული, დაბერებული ნარგავობის გაუარესებას.

- **პირველი წელი** - შიშველფესვიანი ნერგის (2-3 წლიანი) დარგვის შემდეგ შეირჩევა 4-5 თანაბრად სივრცეში განაწილებული ტოტი და დამოკლდება 4-5 კვირტამდე (15- 20 სმ) -მდე. ზაფხულში ხორციელდება ძალიან ძლიერი ტოტების პინცირება, ბუჩქის გათანაბრების მიზნით
- **მეორე და მესამე წელი** - ხდება შიდა ჩამახშირებელი ტოტების ამოჭრა, სუსტი ამონაყრების მოცილება, ტოტების დატოვება ჯამისებური ტიპით. ძირითადი ტოტების დამოკლება არ ხდება. ზაფხულში ხორციელდება ძალიან ძლიერი ტოტების პინცირება, ბუჩქის გათანაბრების მიზნით
- **მეოთხე და შემდეგი წლები** - ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს 1-2 გადაბერებული ტოტების ამოჭრა და ახალი ძლიერი 1-2 ტოტის დატოვება ჩანაცვლების მიზნით. უკვე მოსხმული ლატერალური გვერდითი ტოტები უნდა დამოკლდეს 3 -4 კვირტამდე. ჩამახშირებელი და გადაზრდილი ტოტები ან უნდა ამოიჭრას ფესვთან რგოლზე ან დამოკლდეს 40 -50 სმ-სიმაღლეზე ახალგაზრდა განტოტვაზე.

ფიტოპლაზმური დაავადების განვითარებაზე გავლენას ახდენს მცენარისა და ფოთლის ასაკიც (Какулия, 1982; Какулия, 1982a). გადამტანი მწერები ძირითადად სახლდებიან ახალგაზრდა, მოუმწიფებელ ფოთლებზე, სადაც ტენიანობის დონე მაღალია. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ დაავადების გავრცელება მეტად შეინიშნება ახალგაზრდა მცენარეებზე, ვიდრე ხნიერებზე, ხოლო ხანგრძლივი ექსპლოატაცია ხელს უწყობს ინფექციის გაძლიერებას და გავრცელებას (Кафиани, 1977).

## 2. საკითხის აქტუალობა:

საქართველოში გავრცელებული თუთის (*Morus*) სახეობებიდან ფიტოპლაზმური დაავადების მიმართ მაღალი რეზისტენტობა გამოვლინდა მხოლოდ *Morus bombycis* Koidz. და *Morus multicaulis* Perr. სახეობების წარმომადგენლებში. აღნიშნული ფორმების მოძიება, საკოლექციო ნაკვეთის შექმნა, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური კვლევებით დაავადებისადმი გამძლეობის მარკერების გამოვლენა და მათი საფუძველზე რეზისტენტობის გამსაზღვრელი ფორმულის — რეზისტენტობის კოეფიციენტის შექმნა წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას. აღნიშნული კვლევა საშუალებას მოგვცემს შეფასდეს ახალი ჯიშებისა და ფორმების ფიტოპლაზმური დაავადებისადმი რეზისტენტობის უნარი.

## 2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოში გავრცელებული თუთის სახეობებში რეზისტენტობის დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა და ისეთი მეთოდის შემუშავება, რომლის საშუალებით ადრეულ ეტაპზე შესაძლებელი იქნება თუთის სხვადასხვა სახეობის ფორმების რეზისტენტობის განსაზღვრა. ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს ფიტოპლაზმური დაავადების მიმართ თუთის სარგავი მასალის ვარგისიანობისა და გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას. თუთის ფორმების შერჩევისას გათვალისწინებულია სახეობების წარმომავლობა, გენეტიკური და ფენოტიპური მახასიათებლები, მათი ცვალებადობა და მდგრადობა გარემო პირობებში. უპირატესობა მიენიჭა ფორმებს, რომლებიც გამოირჩევიან წვრილუჯრედოვანი ანატომიური აგებულებით, ყუნწისა და ლაფნის გამტარ სისტემაში ფიზიოლოგიურად აქტიური უჯრედების სიჭარბით და უჯრედის მაღალი მქავიანობით.

ფიტოპლაზმური დაავადებისადმი გამძლეობის მარკერებზე დაყრდნობით შემუშავდება ფორმულა — *გამძლეობის კოეფიციენტი (K)*, რომლის საშუალებით შეფასდება თუთის ფორმების ფიტოპლაზმური დაავადებისადმი რეზისტენტობის სიძლიერე და მათი გამოყენების პოტენციალი. რეზისტენტული ჯიშებისა და ფორმების გამოვლენა და მათი გამრავლება ხელს შეუწყობს ფერმერთა მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას თუთის კულტურაზე.

## 3. კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია თუთა (*Morus*), რომლის სისტემატიკაა შემდეგი: სამეფო — მცენარეები (*Plantae*); განყოფილება — ფარულთესლოვანები (*Angiospermae*); კლასი — ორლებნიანები (*Dicotyledoneae*); რიგი — *Rosales*; ოჯახი — თუთისებრთა (*Moraceae*); გვარი — თუთა (*Morus*). თუთისებრთა ოჯახი მოიცავს დაახლოებით 65 გვარს და 2000-მდე სახეობას, რომლებიც ძირითადად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებშია გავრცელებული. ამ ოჯახის უმეტესობა ხის ან ბუჩქის ფორმის მცენარეებია, თუმცა გვხვდება ლიანებიც და ბალახოვანიც. თუთისებრთა ოჯახში შედიან ერთსახლიანი და ორსახლიანი მცენარეები; ისინი ტიპური ცალსქესიანები არიან.

თუთას ახასიათებს მარტივი შეჯვარების უნარი, არის ანემოფილური მცენარე (მტვერი ქარით გადადის), აქვს ფართო გავრცელება, ადვილად იფარება ჯვარედინი დამტვერვით და წარმოქმნის მრავალ გარდამავალ ფორმას.

#### 4. კვლევის მეთოდები

კვლევა ჩატარდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილაურას ბაზაზე, სადაც შექმნილი იყო თუთის საკოლექციო ნაკვეთი, რომელიც მოიცავდა ფიტოპლაზმური დაავადებისადმი რეზისტენტულ ფორმებს. მრავალწლიანი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდი:

- მინდვრის ცდები;
- ლაბორატორიული და პომოლოგიურ-ფენოლოგიური დაკვირვებები;
- ანატომიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ანალიზები;
- უჯრედის არეს მჟავიანობის დადგენა.

ყოველწლიურად ისწავლებოდა თუთის ფენოლოგიური ფაზების განვითარება, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, ერთწლოვანი ტოტების ზრდა და მოსავლის სტრუქტურული ანალიზი.

კლიმატური მონაცემები მოპოვებული იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენებიდან. მათ საფუძველზე განისაზღვრა აქტიური ტემპერატურის ჯამი და შესაბამისი ფენოლოგიური ფაზების პერიოდები.

დადგენილ იქნა თუთის ფიტოპლაზმური დაავადებისადმი გამძლეობის ძირითადი მარკერები, რომლებზე დაყრდნობით შემუშავდა *გამძლეობის კოეფიციენტი (K)* ახალი ფორმების შესაფასებლად.

ფოთლის ქლოროპლასტებში ფლუორესცენციის პარამეტრები განისაზღვრა ფლუორომეტრით PAM-2100 (Waltz, Germany): მინიმალური (Fo), მაქსიმალური (Fm) და ვარიანტული (Fv) ფლუორესცენციის ინტენსივობები, აგრეთვე ფოტოსინთეზებს შორის ელექტრონების ტრანსპორტის ინტენსივობა (TR) როგორც სიბნელეში ადაპტირებულ, ისე დაბალი ინტენსივობის სინათლით განათებულ ფოთლებში.

#### 5. მიღებული შედეგების განხილვა

მრავალწლიანი ცდების შედეგად დადგინდა, რომ თუთის ფორმების ფიტოპლაზმური დაავადებისადმი რეზისტენტობა უმთავრესად განისაზღვრება ორი მარკერით:

1. ფოთლის ყუნწის გამტარ სისტემაში ფლოემის უჯრედთა რაოდენობა;
2. უჯრედის არეს მჟავიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ეს მარკერები წარმოადგენს თუთის ფორმის მყარ გენეტიკურ თვისებებს და ნაკლებად იცვლება სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

საკოლექციო ნაკვეთის საფუძველზე შერჩეულ იქნა თუთის 42 ახალი ფორმა. ანატომიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ფოთლის ყუნწის ფლოემის უჯრედთა რაოდენობა განსხვავდება ფორმების მიხედვით, რის საფუძველზეც ისინი დაჯგუფდნენ ოთხ კატეგორიად:

- I კატეგორია: 5–9 უჯრედი/mm
- II კატეგორია: 10–14 უჯრედი/mm
- III კატეგორია: 15–19 უჯრედი/mm
- IV კატეგორია: 20-ზე მეტი უჯრედი/mm



ასევე დადგინდა, რომ უჯრედის არეს მჟავიანობა მერყეობს pH 4.5–8.5 ფარგლებში, რის საფუძველზეც ფორმები დაყოფილი იქნა ოთხ ქვეჯგუფად:

- I კატეგორია: ძლიერ სუსტი მჟავე (pH 7.6–8.5)
- II კატეგორია: სუსტი მჟავე (pH 6.6–7.5)
- III კატეგორია: მჟავე (pH 5.6–6.5)
- IV კატეგორია: ძლიერ მჟავე (pH 4.6–5.5)

შესაბამისად, თუთის ფორმების რეზისტენტობის შეფასება ეფუძნება ამ ორ მთავარ მარკერს — ფლოემის უჯრედთა რაოდენობასა და უჯრედის არეს მჟავიანობას, რაც წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

**ცხრილი 1.** თუთის ფორმის რეზისტენტობის ძირითადი მარკერები და მათი კატეგორიები


კატეგორიის №	ფოთლის ყუნწის გამტარ სისტემის კვლევა			ფოთლის უჯრედის არის მჟავიანობა		
	ფლოემის უჯრედის რაოდენობა 1მმ. ც	ფორმების რაოდენობა.ც	ფორმის რაოდ. %-ში.	Ph-ის მაჩვენებელი	ფორმების რაოდენობა. ც	ფორმების რაოდ. %
I	5-9	7	16.6	7.6-8.5	9	21.4
II	10-14	16	38.1	6.6-7.5	15	35.7
III	15-19	13	30.9	5.6-6.5	11	26.1
IV	20 და მეტი	6	14.3	4.6-5.5	7	16.6
სულ		42	100		42	100

თუთის ფორმები, რომლებსაც აქვთ ფოთლის ყუნწის გამტარ სისტემაში ფლოემის უჯრედთა დიდი რაოდენობა და უჯრედის არის ძლიერი მჟავიანობა, პოტენციურად ფიტოპლაზმური დაავადების მიმართ რეზისტენტულ თვისებას ამჟღავნებენ. გამძლეობის ეს მარკერები წარმოდგენილ ცხრილში მოხვდნენ მე-IV კატეგორიის ჯგუფში (14,3%-16,6 %), დანარჩენი ფორმების დამახასიათებელი მარკერები, რომლებსაც გააჩნიათ მცირე უჯრედთა რაოდენობა და დაბალი მჟავიანობა გადანაწილდა ძირითადად მე-II-III კატეგორიაში. ამგვარად, ჩვენი კვლევის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მე-4-ე კატეგორიაში მოხვედრილი მცენარეებზე და მათი შესწავლით დადგინდა, რომ გამძლეობის ძირითად მარკერებს შორის არ არსებობს პირდაპირი კორელაციური კავშირი, რომ ფლოემის უჯრედთა წვრილუჯრედიანობის დიდი რაოდენობა, ყოველთვის არ შესაბამეობა უჯრედის არის მაღალ მჟავიანობას და პირიქით, მე-4 კატეგორიის მაღალი მჟავიანობის 7 მცენარიდან მხოლოდ 4 ფორმას აღმოაჩნდა ყუნწის გამტარ სისტემაში ფლოემის უჯრედთა დიდი რაოდენობა, ხოლო 3 ფორმის მცენარეების ფლოემის უჯრედთა რაოდენობა სხვა კატეგორიის ჯგუფს მიეკუთვნება.

ამრიგად, თუთის ფორმების რეზისტენტობის განსაზღვრისათვის აუცილებელი გახდა შეგვემუშავებინა ისეთი კრიტერიუმი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა ორი ძირითადი მარკერის ურთიერთდამოკიდებულებას. ამ მიზნით შევადგინეთ ფორმულა:  $K=A/P$ , სადაც K თუთის ფიტოპლაზმური დაავადების რეზისტენტობის კოეფიციენტი, A ფოთლის ყუნწის მეზოპეციოლში დამატებითი რბილი ლაფნის უჯრედთა რაოდენობა, ხოლო P უჯრედის არის



რეაქციის მაჩვენებელი. ამ ფორმულის გამოყენებით პირველი ცხრილის კატეგორიების რეზისტენტობის კოეფიციენტის მაჩვენებლები წარმოდგენილი გვაქვს ნახაზ 1-ზე.




ნახ. 1. რეზისტენტობის კოეფიციენტის მაჩვენებლები (%)

იმ შემთხვევაში, თუ რეზისტენტობის კოეფიციენტი  $K$ -ადემატება 2.5 ერთეულის თუთის ჯიში ან ფორმა რეზისტენტულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, როდესაც კოეფიციენტი  $K$  -1.0 -ზე დაბალი მაჩვენებელით გამოიხატება ჯიში ან ფორმა შეიძლება შეფასდეს არარეზისტენტულად. აღნიშნული ფორმულის გამოყენებით ჩვენ შევარჩიეთ თუთის საკოლექციო ნაკვეთში (ჯილაურას სამეცნიერო-კვლევითი ბაზა) 7 პერსექტიული ფორმა. შევისწავლეთ მათი ზრდა-განვითარება, ფოთლის მოსავლიანობა, ქიმიური ანალიზი და გამოცდისათვის გავავრცელეთ დასავლეთ საქართველოს ორი რეგიონში (სამტრედია, ჩოხატაური და ადიგენი).).

რეზისტენტილი და არარეზისტენტული თუთის ფორმების ფოთლების ფიზიოლოგიურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ თუთის ფიტოპლაზმური დაავადების მიმართ რეზისტენტულ ფორმების ფოთლებში რეაქტიული ცენტრი ფს -2 და ელექტრონების ტრანსპორტირების ინტენსივობა ETR მუშაობს უფრო აქტიურად, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ვარიანტური ფლუორესცენციის სიდიდე- Fv და ელექტრონების ტრანსპორტის ინტენსივობის- TR-მნიშვნელობით შესაძლებელია ვიმსჯელოთ თუთის ფიტოპლაზმური დაავადების რეზისტენტობის ხარისხის შესაფასებლად.

ზონალობა გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე თუთის ფორმებში ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ნახაზ 2-ზე წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ ვალიანტური ფლუორესცენციის სიდიდე და ელექტრონების ტრანსპორტირების ინტენსივობა უფრო აქტიურად მიმდინარეობს შედარებით დაბალ ზონებში.




ნახ. 2. ზონალობა და ფოთლის ფლორესცენციის მაჩასიათებლები

რეზისტენტული ფორმებისათვის დამახასიათებელი სხვა გამძლეობის მარკერია ასკორბინის მჟავა, ანუ ვიტამინი C, რომელიც დამუანგველი სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოდგენს და ითვლება მცენარეული ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ მაჩვენებლად. ეს მაჩვენებელი რეზისტენტულ ფორმების ფოთლებში 31,5 %-ით მეტია საკონტროლო ვარიანტთან შედარებით. მაღალია ასევე 14.1 % - ით რეზისტენტულ ფორმების ფოთლებში მშრალი ნივთიერების რაოდენობა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით, რაც სავარაუდოთ მიუთითებს რეზისტენტული ფორმების ფოთლის მაღალ კვებით ღირსებაზე გარემო ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფიტოპლაზმური დაავადების გავრცელების და მცენარეთა რეზისტენტობის საქმეში.

მრავალი კვლევებით დადგენდა, რომ ჰაერისა და ნიადაგის მაღალი ტენიანობა, ხელსუწყობს თუთის ფიტოპლაზმის განვითარების ინტენსივობას, ხოლო გარემოს მაღალი ტემპერატურა და მკაცრი კლიმატური პირობები პირიქით, ამცირებს მის განვითარებას. ჩვენი მონაცემებით, საქართველოს ზონაში თუთის მცენარეზე კვირტების მასიური დაბერვა იწყება მაშინ, ჰაერის საშუალო დღეღამური აქტიური ტემპერატურის ჯამი მიაღწევს  $-88-90^{\circ}\text{C}$ , მე - 5-ე ფოთლის გამოჩენა იწყება  $240-250^{\circ}\text{C}$  -ზე, ხოლო ნაყოფის სიმწიფისათვის საჭიროა ჰაერის ტემპერატურის ჯამი უნდა შეადგენდეს  $-630-640^{\circ}\text{C}$ -ს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა ზონებში ცალკეული ფენოფაზის დადგომის თარიღები.

ფიტოპლაზმური დაავადების გავრცელებას განსაკუთრებით ხელს უწყობს მცენარეთა გაზაფხულის პერიოდში დაგვიანებული ექსპლუატაციის ჩატარება, რომლის შედეგად გადამტანი მწერთა დასახლება ახლადგანვითარებულ თუთის ყლორტებზე მაქსიმალურ ზღვრის დონეზე, მაშინ როდესაც არაექსპლუატირებულ მცენარეებზე მწერთა დასახლება მნიშვნელოვნად შემცირებულია. ფიტოპლაზმური დაავადების გავრცელებაზე მოქმედებს აგრეთვე მცენარის სქესი, ამასთან, სქესის გავლენა მკვეთრად გამოიხატება მცენარეთა ასაკში შესვლის შემდგომ. ჩვენი დაკვირვებით, ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური სადგურის თუთის საკოლექციო ნაკვეთებში ფიტოპლაზმური დაავადების მიმართ შედარებით მაღალი რეზისტენტობა (65-70%) აღინიშნა მდედრობით სქესის (♀), ხოლო დაბალი (15-20 %) მამრობით სქესის (♂) თუთის მცენარეებზე (ნახ. 3).



ნახ. 3. სქესის გავლენა მცენარეთა რეზისტენტობაზე

თუთის საკოლექციო ნაკვეთში შერჩეული 42 რეზისტენტული ფორმიდან 26 ანუ-62 % წარმოადგენდა (♀) მცენარეს, 12 ფორმა ანუ 28 % შეადგენდა (♂) მცენარეს. 26-(♀) მცენარეებიან რეზისტენტობის I-კატეგორიაში მოხვდა 5 მცენარე, ანუ 19.2 %, მე-II-კატეგორიაში 11 მცენარე, ანუ-42.3 %, მე III-კატეგორიაში 7 მცენარე, ანუ-26, 9 %, ხოლო მე-IV კატეგორიაში 3 მცენარე, ანუ 7.1 %-ტი. 12 მამრობითი სქესის (♂) ფორმებიდან, 2 მცენარე 16.6 % მოხვდა -I-კატეგორიაში. 6 ფორმა ანუ 50.0 %მე-II კატეგორიაში, 3 ფორმა, ანუ 25.0 % III კატეგორიაში და 1 ფორმა, ანუ 8.3 %-IV კატეგორიაში.

თუთის ნარგაობაში არასწორი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების შედეგად შეიძლება მკვეთრად დაქვეითდეს მცენარეთა რეზისტენტობა. ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ თუთის ნარგაობის სწორი მოვლითი ღონისძიებების შედეგად თუთის ფორმებში ძლიერდება დაავადების მიმართ რეზისტენტობა და პირიქით. არასწორი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების შედეგად მკვეთრად იზრდება დაავადების განვითარების მაჩვენებელი. თუთის ნარგაობის ქვეშ აზოტოვანი სასუქის მაღალი დოზების (N-120კგ და მეტი) გამოყენება იწვევს დაავადების განვითარების გაძლიერებას (ნახ. 3), ხოლო კომბინირებული სასუქების გამოყენების შემთხვევაში (N90P60K40) იზრდება დაავადების მიმართ მცენარეთა მდგრადობა.

განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მცენარის რეზისტენტობაზე აქტიურ სავეგეტაციო პერიოდში თუთის ხეზე განვითარებული ერთწლიანი ტოტების ექსპლოატაცია, რომელიც იწვევს მცენარის საერთო სიძლიერის დაკნინებას და შესაბამისად დაავადების გაძლიერებას.

ამრიგად, თუთის ფიტოპლაზმური დაავადების დროს მცენარის რეზისტენტობა ძირითადად დამოკიდებულია მცენარის საარსებო პირობებზე, მისი უჯრედის შენების სტრუქტურაზე, გამძლეობის მარკერების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე და მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესების აქტიურობაზე. ადრეულ ეტაპზე თუთის ჯიშების და ფორმების რეზისტენტობის განსაზღვრა შესაძლებელია ჩვენს მიერ შედგენილი რეზისტენტობის კოეფიციენტის ფორმულით, რომელიც მოგვცემს საშუალებას ადრეულ ეტაპზე შევარჩიოთ მაღალ რეზისტენტული თუთის ფორმები და გამოვიყენოთ იგი მიზნობრივად.

## 6. დასკვნა

ამჟამინდელი კვლევა აჩვენებს, რომ თუთის ფიტოპლაზმური დაავადებების მიმართ რეზისტენტობა რთული თვისებაა, რომელიც განისაზღვრება როგორც ანატომიური, ასევე ფიზიოლოგიური ფაქტორებით, ასევე გარემო და აგროტექნიკური პირობებით. გამოვლინდა ორი

ძირითადი რეზისტენტობის მარკერი - ფლოემის უჯრედების რაოდენობა ყუნწის სისხლძარღვთა სისტემაში და უჯრედის წვენის მჟავიანობა - რომლებიც ერთად ქმნიან მცენარის რეზისტენტობის შეფასების საიმედო საფუძველს.

შემოთავაზებული რეზისტენტობის კოეფიციენტის ფორმულა ( $K = A/P$ ) საშუალებას იძლევა რეზისტენტული ფორმების ადრეული და რაოდენობრივი შეფასებისა, რაც ხელს უწყობს ძლიერი ადაპტაციური პოტენციალის მქონე გენოტიპების შერჩევას. სავსე და ფიზიოლოგიურმა კვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ დედალი თუთის მცენარეები (♀) ავლენენ უფრო მაღალ რეზისტენტობის დონეს, ვიდრე მამრი მცენარეები (♂) და რომ დაბალანსებული საკვები ნივთიერებების მართვა და სათანადო კულტივირების პრაქტიკა მნიშვნელოვნად ზრდის დაავადებისადმი ტოლერანტობას. ეს დასკვნები ხელს უწყობს მეცნიერულად დასაბუთებული სელექციის სტრატეგიების შემუშავებას და ფიტოპლაზმურად რეზისტენტული თუთის ჯიშების შექმნას, რომლებიც ადაპტირებულია საქართველოს კლიმატურ პირობებთან.

### ლიტერატურა:

- ალექსიძე გ. (1964). *თუთის კვირტების ამოსვლისა და ზრდის პირობები საქართველოში*.  
ზაქარეიშვილი თ. (1983). საქართველოში ფიტოპლაზმის ორი შტამის იდენტიფიკაცია (№210 და №208).
- ლობჯანიძე მ., ბერუაშვილი მ., გახოკიძე გ. (2015). მცენარეთა დაცვა.  
შალამბერიძე დ. (1998). ანატომიური სტრუქტურის გამოყენებით ფოთლის სიხუტუქისადმი გამძლე თუთის ჯიშების ახალი სასელექციო საწყისი მასალის გამორჩევა. ავტორეფერატი.  
ყანჩაველი ზ. (2019). ფიტოიმუნოლოგია. თბილისი.
- Гиоргадзе Д.Г. (1972). Влияние переносчика курчавой мелколистности шелковицы и изучение его возможной связи с возбудителем заболевания. Автореферат дисс. к.б.н. Тбилиси.  
Дунин М.С. (1966). Иммуногенез и его практическое использование. Москва.  
Какулия М.А. (1982). Некоторые особенности заболевания курчавой мелколистности у шелковицы. *Ж. Шелк*, №6.  
Какулия М.А. (1982а). Рекомендации и материалы по устойчивости сортов, полиплоидов и местных форм шелковицы к курчавой мелколистности. Тбилиси.  
Кафиани А.Г. (1977). Влияние эксплуатации шелковицы на заболевание её курчавой мелколистностью. *Ж. Шелк*, №4.  
Колесников М.П. (2001). Формы кремния в растениях. *Успехи биологической химии*, Т. 41, 301–332.  
Окабе Коха. (1960). Причины возникновения вирусной болезни тутового дерева, меры по борьбе с нею и её предупреждению. *Ж. Ного оеби берутаку*, 26(4). Япония.  
Хамиди Х.С. (2004). Изменение кормового качества листа шелковицы по вегетационным периодам и его влияние на физиолого-биохимическое состояние, урожайность и качество коконов тутового шелкопряда. *Научные труды по шелководству*. Ташкент.  
Чадунели М.Д. (1972). Материалы к изучению курчавой мелколистности шелковицы. *Тр. Груз. СХИ*, Т. LXXXIV.  
Chatfield, J.A., Draper, E.A., & Boggs, J.F. (2004). The power of the triangle. *Special Circular – Ohio Agricultural Research and Development Center*, 181–191.

- Epstein E. (2009). Silicon: Its manifold roles in plants. *Annals of Applied Biology*, 155, 155–160
- Francl, L.J. (2001). The disease triangle: A plant pathological paradigm revisited. *The Plant Health Instructor*, 10.
- Heather A. Currie, Carole C. Perry. (2007). Silica in plants: Biological, biochemical and chemical studies. *Annals of Botany*.
- Leach, C.M. (1979). Evolution of the plant disease triangle. *Australasian Plant Pathology*, 8, 11–11.
- Namba, S. et al. (1993). Study on Ca. P. asteris subgroup 16SrI-B.
- Nelson, E.B. (1994). The disease triangle and the disease cycle. *Turf Grass Trends*, ISSN 1076–7207.
- Roussin-Léveillé, C., Rossi, C.A., Castroverde, C.D.M., & Moffett, P. (2024). The plant disease triangle facing climate change: a molecular perspective. *Trends in Plant Science*.
- Scholthof, K.B.G. (2007). The disease triangle: Pathogens, the environment and society. *Nature Reviews Microbiology*, 5(2), 152–156.
- Tronsmo, A.M., Collinge, D.B., Djurle, A., Munk, L., Yuen, J., & Tronsmo, A. (2020). *Plant Pathology and Plant Diseases*. CABI.
- Weintraub, P.G., & Wilson, M.R. (2010). Control of phytoplasma diseases and vectors. In *Phytoplasmas: Genomes, Plant Hosts and Vectors*.
- Wang, S.Y., & Galletta, G.J. (1998). Foliar application of potassium silicate induces metabolic changes in strawberry plants. *Journal of Plant Nutrition*, 21(1).



## The Resistance Triangle of Mulberry

Nodar Stepanishvili, Temur Ortoidze, Maia Bachilava, Nika Gigauri

LEPL Scientific-Research Center of Agriculture,  
Marshal Gelovani Avenue №36b, 0159, Tbilisi, Georgia

**Abstract.** The phytoplasma disease of mulberry (*Morus* spp.) is among the most dangerous and difficult-to-control plant diseases. It is caused by polymorphic phytoplasma organisms that possess hereditary characteristics and are transmitted to subsequent generations. Conventional biological, chemical, and mechanical control methods have not proven effective against this disease. One of the most promising approaches is the development of resistant varieties. However, breeding work on mulberry has practically ceased, which makes the development of technological methods for obtaining phytoplasma-free planting material of great importance.

**Keywords:** mulberry, phytoplasma disease, resistant variety, selection

### 1. Introduction


The phytoplasma disease of mulberry is associated with complex physiological processes occurring within plant cells. Once the pathogen invades the living organism, it releases specific toxins that may act lethally on plant cells, leading to plant death. In infected plants, normal physiological balance is disrupted, causing stress conditions. Under such stress, the plant activates its defense mechanisms and employs a wide range of survival strategies developed over many years of evolution.

If the toxins produced by the pathogen do not have a lethal effect on plant cells, and if the host genotype is either non-susceptible or only slightly susceptible to the toxin, the plant is considered resistant. The incompatibility between the parasite and host cells is a key prerequisite for disease resistance.

The intensity of disease development and the level of plant resistance largely depend on the interaction of three main factors: the pathogen, the host plant, and environmental conditions. The relationship among these three components—the pathogen, the host, and the environment—forms the so-called “disease triangle.” This triangle determines both disease development and the degree of plant resistance. The interdependence of these components affects the overall strength of the plant and the dynamics of the disease. Environmental changes can alter this balance, either strengthening or weakening the plant’s defense mechanisms.

The interaction among the plant, the environment, and the pathogen was defined by Scholthof ((Scholthof, 2007)) as the “disease triangle.” The concept of the evolution of the plant disease triangle has been discussed by various researchers (Leach, 1979; Nelson, 1994; Francl, 2001; Chatfield et al., 2004; Tronsmo et al., 2020; Roussin- Léveillé et al., 2024). These authors note that the outcomes of the interactions within the triangle depend on the physiological characteristics of both the plant and the pathogen, and that their interrelationship can be either strengthened or weakened by environmental factors.

For effective management and control of plant diseases, it is essential to understand the characteristics and mechanisms of each component within this triangle — the pathogen, the host plant, and the environment.



Mulberry phytoplasmas belong to the smallest prokaryotic organisms that lack a cell wall. They are pleomorphic and can easily change their shape. Their rounded bodies are surrounded by an elementary membrane that ensures structural integrity. Phytoplasmas lack independent biosynthetic capability and absorb nutrients directly from the host plant. Within mulberry plants, they are primarily concentrated in the phloem cells of the vascular system.

Transmission occurs exclusively through insects possessing piercing–sucking mouthparts (Kanchaveli, 2019). After contact with the plant, the insect feeds on cellular contents, allowing phytoplasmas present in the phloem to enter its digestive system (Lobzhanidze et al., 2015). Once inside the phloem, phytoplasmas multiply, and after a latent period, visible external symptoms appear on the plant. Such infected plants serve as both infection sources and reservoirs of phytoplasmas (Weintraub & Wilson, 2010).

The symptoms of the disease have been described by both foreign and Georgian researchers (Okabe, 1960; Chaduneli, 1972). Externally, the mulberry phytoplasma disease—commonly known as leaf curl—is easily recognizable by the appearance of small, deformed, and wrinkled leaves, vein distortion, and suppressed shoot growth leading to dwarfism (Kakulia, 1982).

The main insect vectors of mulberry phytoplasma are *Hishimonus sallatus* Uhler, *Hishimonus sallatiformis* Ishiara, and *Hishimonus discituttus* Waik. Under Georgian climatic conditions, these species produce up to three generations per year, feed on mulberry leaves and shoots, overwinter in the egg stage, and complete their entire life cycle on mulberry trees. Phytoplasma transmission can occur in all generations, although the most active carriers are adult insects (imago).

The sole host of the phytoplasma is the mulberry tree (*Morus spp.*), which requires a warm climate and suitable agrochemical conditions for normal growth and development. According to Aleksidze (1964), the massive budburst of mulberry in Georgia begins when the average daily temperature reaches 10°C, while intensive shoot growth occurs at 10–15°C. For optimal development, the plant requires 16–18 hours of daylight.

Kakulia (1982) noted that high air and soil humidity promotes the spread of the disease. Studies have shown that mulberry dwarfism is caused by the aster yellows phytoplasma “*Ca. P. asteris*,” belonging to the 16SrI-B subgroup (Namba, S. et al., 1993). Zakareishvili (1983) identified two strains of the disease in Georgia — №210 and №208.

Resistance of mulberry to phytoplasma infection may be associated with the plant’s immune response or the presence of specific tolerance markers. Giorgadze (1972) suggested that resistance depends on the osmotic pressure of plant cells: susceptible varieties have low osmotic pressure (4–11 atm), whereas resistant varieties show nearly double that value (19–26 atm). Shalamberidze (1998) found that cultivars with high osmotic pressure have xeromorphic, small-celled structures, whereas non-resistant types possess larger, loose cells.

According to Dunin's (1966) theory, immunogenesis depends on the plant's genetic characteristics and its interaction phase with the parasite. Khamidi (2004) noted that plant immunity correlates with cell sap acidity (pH) and sugar content — higher acidity inhibits the development of pathogens.

Many researchers consider the high silicon content in plant cells as an indicator of vitality and resistance, as it stabilizes the energy balance and regulates metabolic processes, especially under stress conditions (Epstein, 2009; Колесников, 2001; Heather et al., 2007; Wang & Galletta, 1998).

The development of phytoplasma disease also depends on the age of the plant and its leaves. Kakulia (Kakulia, 1982; Kakulia, 1982a) found that insect vectors primarily settle on young, immature leaves with higher moisture content. Kafiani (1977) showed experimentally that the disease spreads more intensively among young plants compared to older ones, and prolonged exploitation accelerates infection and its dissemination.

## 2. Relevance of the Study

Among the mulberry species (*Morus* spp.) distributed in Georgia, high resistance to phytoplasma disease has been observed only in *Morus bombycis* Koidz. and *Morus multicaulis* Perr. Identifying these resistant forms, establishing a collection plot, determining biochemical and physiological markers of resistance, and developing a formula (resistance coefficient) to quantify resistance are of great scientific and practical importance. This research provides a foundation for evaluating the resistance potential of new mulberry varieties and forms against phytoplasma diseases.

## 3. Research Objective

The aim of this study is to identify resistance-related characteristics among mulberry species in Georgia and to develop a method for early-stage assessment of resistance in different forms. This will accelerate the evaluation and use of mulberry planting material resistant to phytoplasma diseases.

Selection criteria included the genetic and phenotypic traits of species, their variability, and environmental adaptability. Preference was given to forms with fine-cell anatomical structures, abundant physiologically active cells in petiole and stem vascular tissues, and high cell sap acidity.

Based on resistance markers, a formula — the Resistance Coefficient (K) — was developed to assess the degree of resistance of mulberry forms to phytoplasma disease. Identifying and propagating resistant genotypes will support farmers by providing high-quality, disease-tolerant planting material.

### Research Object

The research object is the mulberry (*Morus*), classified as follows: Kingdom – Plantae; Division – Angiospermae; Class – Dicotyledoneae; Order – Rosales; Family – Moraceae; Genus – *Morus*. The Moraceae family includes about 65 genera and up to 2,000 species, mostly distributed across tropical and subtropical regions. Most are woody plants (trees or shrubs), though some are vines or herbs. The family includes both monoecious and dioecious plants, and the mulberry is typically unisexual.

Mulberry species exhibit a high capacity for hybridization and are wind-pollinated (anemophilous). They have a wide distribution range and easily form hybrid and intermediate types through cross-pollination.

## 4. Research Methods

The study was conducted at the Jighaura experimental base of the Scientific-Research Center of Agriculture (SRCA), where a mulberry collection plot with phytoplasma-resistant forms was established.

The research employed multiple methods:

- Field experiments;
- Laboratory, pomological, and phenological observations;

- Anatomical, physiological, and biochemical analyses;
- Determination of cell sap acidity (pH).

Annual observations included the development of phenological phases, vegetation period duration, growth of one-year shoots, and yield structure. Climatic data were obtained from the National Environmental Agency's agrometeorological bulletins. Based on these data, cumulative active temperatures and phase occurrence periods were determined.

The main resistance markers of mulberry against phytoplasma disease were identified, and a resistance coefficient (K) was developed to evaluate newly discovered forms.

Chlorophyll fluorescence parameters in leaf chloroplasts were measured using a PAM-2100 fluorometer (Waltz, Germany): minimal (Fo), maximal (Fm), and variable (Fv) fluorescence intensities, as well as electron transport rate (ETR) under both dark-adapted and light conditions.

## 5. Results and Discussion

Long-term field experiments revealed that resistance of mulberry forms to phytoplasma disease is mainly determined by two markers:

1. The number of phloem cells in the vascular system of the leaf petiole;
2. The acidity level (pH) of the cell sap.

These markers represent stable genetic traits that remain relatively constant throughout the vegetation period.

Based on the collection plot, 42 new mulberry forms were selected. Anatomical studies showed variations in phloem cell count per mm, leading to classification into four categories:

- I: 5–9 cells/mm
- II: 10–14 cells/mm
- III: 15–19 cells/mm
- IV: 20 or more cells/mm

Cell sap acidity ranged from pH 4.5–8.5, also divided into four subgroups:

- I: Slightly alkaline (pH 7.6–8.5)
- II: Weakly acidic (pH 6.6–7.5)
- III: Acidic (pH 5.6–6.5)
- IV: Strongly acidic (pH 4.6–5.5)

Thus, the resistance evaluation of mulberry forms is based on these two parameters — phloem cell number and cell sap acidity — which are presented in Table 1 as the primary resistance markers.

**Table 1.** Main Markers of Mulberry Form Resistance and Their Categories

Category No.	Number of Phloem Cells per 1 mm (pcs)	Number of Forms (pcs)	Forms (%)	pH Range of Leaf Cell Sap	Number of Forms (pcs)	Forms (%)
I	5–9	7	16.6%	7.6–8.5	9	21.4%
II	10–14	16	38.1%	6.6–7.5	15	35.7%
III	15–19	13	30.9%	5.6–6.5	11	26.1%
IV	20 or more	6	14.3%	4.6–5.5	7	16.6%
Total	—	42	100%	—	42	100%

Mulberry forms that possess a large number of phloem cells in the petiole's vascular system and exhibit high acidity of cell sap potentially demonstrate resistant characteristics against phytoplasma disease. These

resistance markers correspond to Group IV in the presented table (14.3–16.6%). Other forms with fewer phloem cells and lower acidity were mainly distributed within Groups II and III.


Thus, special attention in our research was focused on the plants belonging to the fourth category. Their detailed analysis revealed that there is no direct correlation between the two main resistance markers. A high number of small phloem cells in the petiole's vascular system does not always correspond to a high acidity of cell sap, and vice versa. Among the seven plants showing high acidity (Group IV), only four had a high number of phloem cells in the petiole's conductive system, while the remaining three belonged to other categorical groups.

Consequently, to determine the resistance of mulberry forms more precisely, it became necessary to develop a criterion that accurately defines the interrelationship between the two main markers. For this purpose, the following formula was proposed:

$$K=APK = \frac{A}{P} K=PA$$

where K is the coefficient of resistance of mulberry to phytoplasma disease, A represents the number of additional parenchyma cells in the mesopetiole of the leaf, and P indicates the pH value of the cell sap.

Using this formula, the resistance coefficients of the categories presented in Table 1 were calculated and are illustrated in Figure 1.




**Fig. 1.** Resistance coefficient values (%).

If the resistance coefficient (K) exceeds 2.5 units, the mulberry variety or form can be considered resistant to phytoplasma disease. Conversely, when the coefficient (K) is below 1.0, the variety or form is regarded as non-resistant. Using this formula, seven promising forms of mulberry were selected from the collection plot at the Jighaura Scientific-Research Base. These forms were studied in detail for their growth and development, leaf productivity, and chemical composition, and were subsequently tested under field conditions in two regions of Western Georgia — Samtredia, Chokhatauri, and Adigeni.

Physiological analyses of the leaves from resistant and non-resistant forms revealed that, in resistant mulberry plants, the reaction center (PS-II) and the electron transport rate (ETR) function more actively. This suggests that the variable fluorescence amplitude (Fv) and electron transport intensity (TR) can serve as reliable indicators for evaluating the degree of mulberry resistance to phytoplasma infection.

Zonality also influences physiological processes in mulberry forms. As shown in Figure 2, both variable fluorescence (Fv) and electron transport intensity (ETR) are higher in plants grown at lower altitude zones, indicating that elevation may affect photosynthetic activity and, consequently, disease resistance.





**Fig. 2.** Zonation and leaf fluorescence characteristics.


Another important resistance marker characteristic of resistant mulberry forms is ascorbic acid (vitamin C), which plays a crucial role in the plant's oxidative system and is considered one of the key indicators of plant vitality. The concentration of ascorbic acid in the leaves of resistant forms was 31.5% higher compared to the control. Furthermore, the dry matter content in the leaves of resistant forms exceeded that of the control by 14.1%, suggesting that resistant forms may possess higher nutritional and metabolic value.

Environmental factors play a significant role in both the spread of phytoplasma disease and the resistance of plants. Numerous studies have shown that high air and soil humidity promotes the development and activity of the mulberry phytoplasma, whereas high temperatures and harsh climatic conditions tend to suppress its proliferation.

According to our data, in Georgian climatic zones, bud swelling in mulberry trees begins when the average daily temperature sum reaches 880–900°C, the appearance of the fifth leaf occurs at 2400–2500°C, and fruit ripening requires a total temperature accumulation of 6300–6400°C. Based on these data, the timing of phenological phases was determined for each zone.

Phytoplasma disease spread is particularly favored by late pruning and exploitation of mulberry trees in spring, which leads to maximum vector insect population density on newly developed shoots, while unexploited plants exhibit significantly lower insect colonization.

The sex of the plant also affects disease resistance, with the difference becoming more evident as the plants mature. Our observations at the Kutaisi Sericulture Zonal Station revealed that female mulberry plants (♀) demonstrated relatively high resistance (65–70%), whereas male plants (♂) showed significantly lower resistance (15–20%) to phytoplasma infection (see Figure 3).



**Fig. 3.** Influence of plant sex on resistance to phytoplasma disease in mulberry.

Among the 42 resistant mulberry forms selected in the collection plot, **26 forms (62%)** were **female (♀)** plants, while **12 forms (28%)** were **male (♂)**. Of the 26 female plants, **5 (19.2%)** belonged to **Category I**, **11 (42.3%)** to **Category II**, **7 (26.9%)** to **Category III**, and **3 (7.1%)** to **Category IV** of resistance. Among the 12 male plants, **2 (16.6%)** were classified under **Category I**, **6 (50.0%)** under **Category II**, **3 (25.0%)** under **Category III**, and **1 (8.3%)** under **Category IV**.

Improper **agrotechnical management practices** can significantly reduce plant resistance. Our research demonstrated that **appropriate cultivation and care measures** strengthen the resistance of mulberry forms to phytoplasma disease, while improper practices sharply increase disease incidence. High doses of **nitrogen fertilizer** ( $N \geq 120$  kg/ha) were found to **intensify the development** of the disease (see Figure 3), whereas the application of **balanced compound fertilizers** ( $N_{90}P_{60}K_{40}$ ) **enhanced plant resistance**. Furthermore, **excessive exploitation of one-year shoots** during the active growing season had a distinctly **negative effect** on resistance, leading to a decline in overall plant vigor and an increase in disease severity.

Therefore, the **resistance of mulberry to phytoplasma disease** is largely determined by the **plant's physiological and structural characteristics**, the **quantitative values of resistance markers**, and the **conditions of growth and maintenance**. The **early assessment** of resistance in mulberry varieties and forms can be effectively achieved using the **resistance coefficient formula (K)** developed in this study, which enables the **identification of highly resistant forms** at an early stage and their **targeted utilization** in breeding and propagation programs.

## 6. Conclusion

The present study demonstrates that mulberry resistance to phytoplasma disease is a complex trait determined by both anatomical and physiological factors, as well as by environmental and agrotechnical conditions. Two main resistance markers were identified — the number of phloem cells in the petiole's vascular system and the acidity of the cell sap — which together form a reliable basis for evaluating plant resistance.

The proposed resistance coefficient formula ( $K = A/P$ ) allows for early and quantitative assessment of resistant forms, facilitating the selection of genotypes with strong adaptive potential. Field and physiological studies further confirmed that female mulberry plants (♀) exhibit higher resistance levels than male plants (♂), and that balanced nutrient management and proper cultivation practices significantly enhance disease tolerance. These findings contribute to the development of scientifically grounded breeding strategies and the establishment of phytoplasma-resistant mulberry cultivars adapted to the climatic conditions of Georgia.

## References:

- Aleksidze, G. (1964). *Publication on mulberry budburst and growth conditions*.  
Chaduneli, M. D. (1972). *Materials for the study of mulberry leaf curl disease. Proceedings of the Georgian Agricultural Institute*, Vol. LXXXIV.  
Chatfield, J. A., Draper, E. A., & Boggs, J. F. (2004). The power of the triangle. *Special Circular – Ohio Agricultural Research and Development Center*, 181–191.  
Currie, H. A., & Perry, C. C. (2007). Silica in plants: Biological, biochemical and chemical studies. *Annals of Botany*.  
Dunin, M. S. (1966). *Immunogenesis and its practical application*. Moscow, Russia.  
Epstein, E. (2009). Silicon: Its manifold roles in plants. *Annals of Applied Biology*, 155, 155–160.

- Francel, L. J. (2001). The disease triangle: A plant pathological paradigm revisited. *The Plant Health Instructor*, 10.
- Giorgadze, D. G. (1972). *Influence of the vector of mulberry leaf curl and study of its possible connection with the disease pathogen*. Dissertation Abstract (PhD in Biology). Tbilisi, Georgia.
- Kafiani, A. G. (1977). Influence of mulberry exploitation on the development of leaf curl disease. *Silk Journal*, No. 4.
- Kakulia, M. A. (1982). Some features of mulberry leaf curl disease. *Silk Journal*, No. 6.
- Kakulia, M. A. (1982a). *Recommendations and materials on the resistance of varieties, polyploids, and local forms of mulberry to leaf curl disease*. Tbilisi, Georgia.
- Khamidi, H. S. (2004). Changes in the nutritional quality of mulberry leaves during the growing season and their effect on the physiological and biochemical state, yield, and cocoon quality of the silkworm. *Scientific Works on Sericulture*. Tashkent, Uzbekistan.
- Kolesnikov, M. P. (2001). Forms of silicon in plants. *Advances in Biological Chemistry*, 41, 301–332.
- Leach, C. M. (1979). Evolution of the plant disease triangle. *Australasian Plant Pathology*, 8, 11–11.
- Lobzhanidze, M., Beruashvili, M., & Gakhokidze, G. (2015). *Plant Protection*.
- Namba, S., et al. (1993). Study on *Ca. P. asteris* subgroup 16SrI-B.
- Nelson, E. B. (1994). The disease triangle and the disease cycle. *Turf Grass Trends*, ISSN 1076–7207.
- Okabe, K. (1960). Causes of the viral disease of the mulberry tree, measures for its control and prevention. *Nogo Oebi Berugaku Journal*, 26(4). Japan.
- Qanchaveli, Z. (2019). *Phytoimmunology*. Tbilisi, Georgia.
- Roussin-Léveillé, C., Rossi, C. A., Castroverde, C. D. M., & Moffett, P. (2024). The plant disease triangle facing climate change: A molecular perspective. *Trends in Plant Science*.
- Scholthof, K. B. G. (2007). The disease triangle: Pathogens, the environment and society. *Nature Reviews Microbiology*, 5(2), 152–156.
- Shalamberidze, D. (1998). *Selection of new mulberry breeding material resistant to leaf curl using anatomical structure*. Dissertation Abstract.
- Tronsmo, A. M., Collinge, D. B., Djurle, A., Munk, L., Yuen, J., & Tronsmo, A. (2020). *Plant Pathology and Plant Diseases*. CABI.
- Wang, S. Y., & Galletta, G. J. (1998). Foliar application of potassium silicate induces metabolic changes in strawberry plants. *Journal of Plant Nutrition*, 21(1).
- Weintraub, P. G., & Wilson, M. R. (2010). Control of phytoplasma diseases and vectors. In *Phytoplasmas: Genomes, Plant Hosts and Vectors*.
- Zakareishvili, T. (1983). *Identification of phytoplasma strains in Georgia* (№210 and №208).

## მინი -კივის (*Actinidia arguta*) ბიოტექნოლოგიური მდგრადობა კლიმატის ცვლილების პირობებში

ნინო ჩიხრაძე<sup>1\*</sup>, ელენე მაღლაკელიძე<sup>2</sup>, ზვიად ბობოქაშვილი<sup>2</sup>, მარიამ ელიზბარაშვილი<sup>1</sup>

<sup>1</sup> ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი, 0179, თბილისი, საქართველო; nino.chikhradze719@ens.tsu.edu.ge, mariam.elizbarashvili@tsu.ge ;

<sup>2</sup> ხილის კვლევის სამსახური, სსიპ სოფლის მეურნეობის კვლევის ცენტრი, მარშალ გელოვანის გამზირი №36ბ, 0159, თბილისი, საქართველო; emaghlakelidze@yahoo.com , bobokashvili@hotmail.com

\*კორესპონდენტი ავტორი: ნინო ჩიხრაძე, nchikhradze@yahoo.com

**აბსტრაქტი.** კლიმატის ცვლილება თანამედროვე სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. არატრადიციული და კლიმატისადმი მდგრადი კულტურების გავრცელება შეიძლება გახდეს მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზა. მინი-კივი (*Actinidia arguta* Planch.) გამოირჩევა ყინვაგამძლეობით, მაღალი კვებითი ღირებულებით და სხვადასხვა კლიმატურ პირობებთან ადაპტაციის უნარით. ნაშრომში განხილულია ბიოტექნოლოგიური მიდგომები კივის მწარმოებელ ზოგიერთ ქვეყანაში კლიმატის ცვლილების ფონზე, მათ შორის საქართველოში, და მინი-კივის განვითარების ბიოტექნოლოგიური პერსპექტივები. ასევე ხაზგასმულია ბიოტექნოლოგიური მიდგომების პოტენციური ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და მეხილეობის მდგრადი განვითარებისთვის. მინი-კივი პერსპექტიული კულტურაა კლიმატის ცვლილების კონტექსტში, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში. მისი ადაპტირება და კვებითი ღირებულება ქმნის ხელსაყრელ პირობებს მისი ფართომასშტაბიანი პოპულარიზაციისთვის, განსაკუთრებით თუ ბიოტექნოლოგიური მიდგომები გამოიყენება სელექციასა და მართვაში. მინი-კივის პოპულარიზაცია შეიძლება გახდეს ერთ-ერთი გამოსავალი, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრადობას. მინი-კივი ასევე გამოირჩევა გამძლეობითა და სხვადასხვა ტიპის ნიადაგებთან ადაპტაციით, რაც მის კულტივაციას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ცვალებად კლიმატურ პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** მინი-კივი, კლიმატის ცვლილება, ბიოტექნოლოგია, მეხილეობა, ადაპტაცია.

### 1. შესავალი

კლიმატის ცვლილება პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სექტორზე, მათ შორის მეხილეობაზე. ტემპერატურის მატება, ნალექების ცვალებადი სქემები და ექსტრემალური მოვლენების ზრდა ტრადიციულ კულტურებს გამოწვევებს უქმნის. ამ პროცესის საპასუხოდ, არატრადიციული, კლიმატისადმი მდგრადი სახეობების ინტეგრაცია სულ უფრო აქტუალური ხდება.

მინი-კივი (*Actinidia arguta*), რომელსაც ხშირად „მდგრად კივის“ უწოდებენ, პატარა, ვიტამინებით მდიდარი ხილია, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იზრდება, სადაც ველურ ხილსაც კი ძალიან აფასებენ. მცენარეს კივი ეწოდება ნაყოფის ფრინველ კივისთან მსგავსების გამო. სწორედ ნაყოფის მაღალმა გემომ და კვებითმა ღირებულებამ განაპირობა კულტურის ფართოდ გავრცელება მოკლე დროში და დღეს აქტიუნიდიის (კივის) კულტურა დედამიწის როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ნახევარსფეროებშია მოყვანილი (Maghlakelidze et al., 2021).

კივის უმსხვილესი მწარმოებელი ჩინეთია (2.1 მილიონი ტონა). მასზე ამ კულტურის მთლიანი წარმოების 50%-ზე მეტი მოდის. მსოფლიოში სიდიდით მეორე მწარმოებელი იტალიაა (555 ათასი ტონა), შემდეგ მოდის ახალი ზელანდია (437 ათასი ტონა) (Maghlakelidze et al., 2021).

თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების (მიკროგამრავლება, გენეტიკური მარკერები და ინ ვიტრო კულტივაცია) როლი მინი-კივის ახალი ჯიშების შექმნისა და მოშენების პროცესში შესწავლილია მთელ მსოფლიოში. კერძოდ, ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა ქვეყანა - ჩინეთი, იტალია, აშშ, იაპონია და ახალი ზელანდია.

საქართველოში ეს კულტურა ჯერ კიდევ ახალია, თუმცა ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში უკვე დადასტურებულია მისი წარმატება (Maghlakelidze et al., 2021). საქართველო გამოირჩევა მდიდარი აგროკლიმატური მრავალფეროვნებით მისი მრავალფეროვანი ტოპოგრაფიისა და შავ ზღვასთან სიახლოვის გამო, რაც იწვევს გამორჩეულ ზონებს, როგორიცაა სანაპიროს გასწვრივ ნოტიო სუბტროპიკები და მთებში კონტინენტური პირობები, რომელთაგან თითოეული ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურების მოყვანას. ზონირების ძირითადი ფაქტორებია სიმაღლე (სიმაღლის ზონალობა) და ტემპერატურა (კერძოდ, 10°C-ზე მეტი აქტიური ტემპერატურის ჯამი), რაც განსაზღვრავს შესაფერის კულტურების მოსაყვანად შესაფერის არეალს, დაწყებული დასავლეთში ჩაითა და ციტრუსებით, დამთავრებული მთებში მარცვლეულითა და ხილით (Meladze et al. 2019; Elizbarashvili et al., 2006; Elizbarashvili et al., 2007). ამრიგად, საქართველოს მრავალფეროვანი ტოპოგრაფია ქმნის მიმზიდველ მიკროკლიმატს მინი-კივის მოსაყვანად.

მინი-კივის თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების - მიკროგამრავლების, ინ ვიტრო კულტივაციისა და გენეტიკური მარკერების - დანერგვა გადამწყვეტია დაავადებებისგან თავისუფალი ნერგების წარმოებისთვის (Liu et al., 2023), სტრესისადმი მდგრადობის მიზნით სელექციონირების დაჩქარებისთვის (Ferguson & Huang, 2007) და გენეტიკური მრავალფეროვნებისა და ჯიშის ავთენტიფიკაციის უზრუნველყოფისთვის (Testolin & Costa, 1999).

